პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
6 აპრილი შაბათი 2013
№080 (13 996) ფასი 80 თეთრი

# გორი საფეხბურთო ეპიცენტრად გადაიქცევა

## დილა VS ტორპედო

ქვედა ექვსეულშიც დიდი ბრძოლაა
მოფერიანებულთა ზღვისპირული დერბი



2-3




4

ლევან ყიფიანი: ჩვენი ფეხბურთი რომ განვითარდეს, ვალდებული ვარ, ფეხბურთის ფედერაციასთან და მის ხელმძღვანელობასთან საქმიანი და ყოველდღიური ურთიერთობა მქონდეს. აქ პირადი ინტერესები საზოგადოებრივზე მაღლა არ უნდა დააყენო.

[illegible]

[illegible]

როცა წყალბურთში პეტრე მშვენიერაძე და ნოდარ გვახარია, მოგვიანებით კი გივი ჩიქვანაია ბრწყინავდნენ, კერპის ძებნა რა საჭირო იყო...



11

# ფრე, რომელმაც პირველობის შანსი შეგვინარჩუნა

წყალბურთიც გამოცოცხლდა, ფავორიტსაც ვეომეთ

10



# გაიფორმებს ბაიერნი სინს?



შესაძლოა, ორწლიანი პაუზის შემდეგ მიუნხენელებმა დღეს ბუნდესლიგის ჩემპიონობა დაიბრუნონ

ევროთასები 5-9

● საქართველოს ჩემპიონატი

**06.04. განმუხური 16:00**
**ზუგდიდი–ზესტაფონი**
ურთიერთშეხვედრები:
19 მატჩი, 1 მოგება, 2 ფრე, 16 წაგება. ბურ. 9-39
პირველი ეტაპი: 0:1 (ს) 0:3 (შ)

**06.04. თბილისი. დინამო არენა 18:00**
**დინამო (თბ)–ჩიხურა**
ურთიერთშეხვედრები:
4 მატჩი, 3 მოგება, 1 ფრე, 0 წაგება. ბურ. 13-3
პირველი ეტაპი: 0:0 (ს) 5:2 (შ)

**06.04. გორი. თ. ბურჯანაძე 16:00**
**დილა–ტორპედო**
ურთიერთშეხვედრები:
43 მატჩი, 12 მოგება, 4 ფრე, 27 წაგება. ბურ. 44-89
პირველი ეტაპი: 1:0 (ს) 0:1 (შ)
პირდაპირი რეპორტაჟი II არხზე

**I-VI ადგილები**

| ად | გუნდი | სულ თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | გაშვ | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | გაშვ | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო (თბ) | 25 | 17 | 6 | 2 | 67 | 20 | 57 | 13 | 12 | 1 | 0 | 46 | 11 | 37 | 12 | 5 | 5 | 2 | 21 | 9 | 20 |
| 2 | დილა | 25 | 18 | 2 | 5 | 44 | 16 | 56 | 13 | 9 | 0 | 4 | 26 | 10 | 27 | 12 | 9 | 2 | 1 | 18 | 6 | 29 |
| 3 | ჩიხურა | 25 | 15 | 5 | 5 | 39 | 22 | 50 | 12 | 9 | 2 | 1 | 19 | 5 | 29 | 13 | 6 | 3 | 4 | 20 | 17 | 21 |
| 4 | ტორპედო | 25 | 14 | 6 | 5 | 42 | 19 | 48 | 13 | 9 | 3 | 1 | 26 | 8 | 30 | 12 | 5 | 3 | 4 | 16 | 11 | 18 |
| 5 | ზესტაფონი | 25 | 11 | 5 | 9 | 31 | 23 | 38 | 12 | 6 | 3 | 3 | 11 | 7 | 21 | 13 | 5 | 2 | 6 | 20 | 16 | 17 |
| 6 | ზუგდიდი | 25 | 10 | 5 | 10 | 28 | 38 | 35 | 12 | 8 | 2 | 2 | 20 | 13 | 26 | 13 | 2 | 3 | 8 | 8 | 25 | 9 |

**VII-XII ადგილები**

| ად | გუნდი | სულ თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | გაშვ | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | გაშვ | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | მეტალურგი | 25 | 11 | 5 | 9 | 26 | 29 | 38 | 13 | 6 | 3 | 4 | 15 | 15 | 21 | 12 | 5 | 2 | 5 | 11 | 14 | 17 |
| 8 | მერანი | 25 | 7 | 3 | 15 | 24 | 39 | 24 | 13 | 6 | 1 | 6 | 16 | 15 | 19 | 12 | 1 | 2 | 9 | 8 | 24 | 5 |
| 9 | ვიტ ჯორჯია | 25 | 5 | 7 | 13 | 17 | 36 | 22 | 13 | 1 | 5 | 7 | 9 | 17 | 8 | 12 | 4 | 2 | 6 | 8 | 19 | 14 |
| 10 | დინამო (ბთ) | 25 | 6 | 4 | 15 | 26 | 47 | 22 | 12 | 3 | 1 | 8 | 13 | 21 | 10 | 13 | 3 | 3 | 7 | 13 | 26 | 12 |
| 11 | სიონი | 25 | 5 | 6 | 14 | 17 | 41 | 21 | 12 | 1 | 5 | 6 | 5 | 19 | 8 | 13 | 4 | 1 | 8 | 12 | 22 | 13 |
| 12 | კოლხეთი | 25 | 2 | 4 | 19 | 14 | 45 | 10 | 12 | 1 | 3 | 8 | 8 | 20 | 6 | 13 | 1 | 1 | 11 | 6 | 25 | 4 |

# ეჭვი და პრევენცია

**უმაღლეს ლიგაში გუნდების ზედა და ქვედა ექვსეულებად დაყოფას დადებითიც აქვს და უარყოფითიც; უფრო ზუსტად, უარყოფითი ბევრად მეტია და კვლავაც გვინდა უკვე არაერთგზის ნათქვამის გამეორება: სამომავლოდ (გნებავთ, მომავალი სეზონიდანვე) სხვა სისტემით რომ უნდა ჩატარდეს საქართველოს ჩემპიონატი, ამისათვის თითქმის ყველა წინაპირობაა შექმნილი. თანაც, არცთუ უმნიშვნელოა ის ფაქტორიც, რომ „ლელოს" გარდა, მოქმედი ფორმატის წინააღმდეგ ამ ბოლო დროს რამდენიმე მწვრთნელიც „ღიად" ალაპარაკდა. მოკლედ, ისეთი საკითხია, ჩვენი ფეხბურთის მესვეურებს კარგად დაფიქრება-გაანალიზება რომ მართებთ; თანაც, ამ შემთხვევაში მხოლოდ იმას კი არ ვგულისხმობთ, რომ ჩემპიონატი რამდენ წრედ ჩატარდეს და ექვსეულები იყოს თუ - არა, არამედ, იმასაც, თუ რამდენგუნდიანი პირველობაა ჩვენთვის ყველაზე ოპტიმალური. მართალია, სეზონის დასრულებამდე თვე-ნახევარია დარჩენილი და ვინმემ, შესაძლოა, ნაადრევადაც მიიჩნიოს ჩვენი „რეკომენდაციები", მაგრამ, ამ შემთხვევაში, ცოტა არ იყოს, პრევენციულ ზომებსაც მივმართავთ; უფრო მარტივად (ანუ საფეხბურთო „ენაზე") ვთქვათ: ნამდვილად არ გვინდა რომ სეზონის დარჩენილ ნაწილში უმოტივაციო თამაშების რაოდენობა გაიზარდოს! „უმოტივაციოს" კიდევ არა უშავს, აი, ცოტა არ იყოს, საეჭვო შინაარსით მიმდინარე შეხვედრების ცქერა კი ნამდვილად არავის სურს: იმ გულშემატკივრებსაც (ტურიდან ტურამდე რომ კლებულობს მათი რაოდენობა) და იმ თითო-ოროლა ჟურნალისტსაც, „თავისას რომ არ იშლიან" და ჩვენს ჩემპიონატს მაინც აშუქებენ თუ აპიარებენ. ჰო, მართლაც ულამაზო სიტუაციაა ხოლმე (რბილად ნათქვამია), როცა რომელიმე კონკრეტული მატჩის დაწყებამდე... წინასწარ არის ცნობილი ამ შეხვედრის საბოლოო შედეგი! რა თქმა უნდა, „ხელალებით" ძნელია დაამტკიცო, ესა თუ ის მატჩი არაპატიოსან ბრძოლაში წარიმართაო (ფაქტები უნდა „დაიდოს"!), მაგრამ კულუარებში ბევრს ლაპარაკობენ ამა თუ იმ გუნდ(ებ)ის შედარებით „ნაკლებადმოტივირებულ" დამოკიდებულებაზე კონკრეტული გუნდ(ებ)ის მიმართ. თანაც, ეს მხოლოდ ჩემპიონატის მატჩებს არ ეხება - არ დაგვავიწყდეს, რომ სათასო პაექრობები პირდაპირპროპორციულად არის „გადაჯაჭვული" ჩემპიონატის შეხვედრებთან და არახალი ამბავია, როცა ესა თუ ის გუნდი ამ ორ ტურნირს შორის პრიორიტეტს, ცოტა არ იყოს, „გაშიფრულად" ირჩევს. მოკლედ, ერთობ პრობლემატურ თემას მივადექით, თანაც არ დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაც არ უცქერს გულგრილად უკვე ჩატარებულ თუ ჩასატარებელ საეჭვო თამაშებს. აქვე დავამატებთ, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ უმაღლეს ლიგას არ ეხება: „ბოროტი ენების" თქმით, ჩვენს პირველ ლიგაში ხანდახან თურმე მართლაც „საოცრებები" ხდება! რა „საოცრებებია"? რა და თამაშის სცენარის მკვეთრი „შემოტრიალება", წითელ-ყვითელი ბარათებისა თუ პენალტების სიმრავლე, ალარაფერს ვამბობთ რვა, ცხრა თუ ათგოლიან მატჩებზე...**


2012 წლის 8 დეკემბერი. დილა-ტორპედო 0:1

### ინტრიგა მაინც დავიტოვოთ...

გუნდების ზედა და ქვედა ექვსეულებად დაყოფას, როგორც ალვნიშნეთ, უარყოფითის გარდა, დადებითიც შეიძლება „მოვუძებნოთ"; ოლონდ, არ დავმალავთ და მართლაც ალარ გვინდა ყბადალებულ ტერმინად ქცეულ „ინტრიგის" ხსენება: ბოლოს და ბოლოს, ინტრიგა მაინც ალარ უნდა ჰქონდეს ჩვენს ჩემპიონატს?

დადებითზე ვლაპარაკობდით და, უპირველეს ყოვლისა, ის ფაქტი უნდა ვახსენოთ, როცა თითქმის ყველა ტურში, სულ მცირე, ერთი მნიშვნელოვანი მატჩი გველოდება. მნიშვნელოვანი, რალა თქმა უნდა, სატურნირო თვალსაზრისითაც და სტრატეგიულადაც: ამ ტურში კი ასეთი „დილა" — „ტორპედოს" დაპირისპირებაა. ისიც კარგია, რომ ტურის ამ ცენტრალური შეხვედრის ხილვა „ნეიტრალურ" გულშემატკივარსაც შეეძლება: მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი საზოგადოებრივი მაუწყებლის II არხზეა. „დილამ" მეორე ეტაპი წარმატებულად დაიწყო და ეს იმის მიუხედავად, რომ გუნდში (კლუბშიც) უამრავი საკადრო ცვლილება მოხდა. თუმცა, ახალი მწვრთნელის, **ვალდას ივანაუსკასის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე გორელების თამაშზე ყოველივე ეს უარყოფითად არ ასახულა და „დილას" საჩემპიონო ამბიციაც სავსებით რეალურად მოჩანს. მეორე ეტაპზე „დილა" დაუმარცხებლად ასპარეზობს, თუმცა, წინა ტურისგან განსხვავებით, დღეს საკმაოდ რთული მატჩი ელოდება: წინა ტურში „ტორპედოს" სიძლიერე კიდევ ერთმა საჩემპიონო ფავორიტმა, თბილისის „დინამომაც" „გამოსცადა"! მასპინძლების მსგავსად, „ტორპედოც" ევროტურნირების საგზურის მოპოვების ერთ-ერთი რეალური კანდიდატია და, ვფიქრობთ, საინტერესო მატჩის მოლოდინში უნდა ვიყოთ. საინტერესოა, რომ პირველ ეტაპზე ამ გუნდების ორივე პაექრობა ერთნაირი ანგარიშით (0:1) დამთავრდა. პირველ წრეში, ქუთაისში ჩატარებულ შეხვედრაში ყველაფერი გადაწყვიტა **რომან ახალკაცის** ერთადერთმა გოლმა; შეგახსენებთ, რომ ამ მატჩამდე **გიორგი დარასელიას** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „დილამ" ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა „დინამო", „ზესტაფონი", „მეტალურგი" და ეს წარმატებული სერია ქუთაისშიც გააგრძელა. იმ გამარჯვების ერთ-ერთი შემოქმედი „დილას" მეკარე **მარინ სკენდერიც** გახლდათ, რამდენიმე რთული ბურთი რომ მოიგერია. თუმცა, მეორე წრის შეხვედრაში, 8 დეკემბერს რომ ჩატარდა გორში, სტუმრებმა ის ერთადერთი გოლი სწორედ სკენდერის... უხეში შეცდომის წყალობით გაიტანეს: **ელგუჯა გრიგალაშვილის** შორეული დარტყმის მერე ხორვატ მეკარეს ბურთი ხელიდან გაუვარდა და იქვე მყოფ **ნიკა საბანაძესაც** ანგარიშის გახსნა არ გასჭირვებია. აქვე, ერთი საინტერესო დეტალიც: მეორე წრის შეხვედრაში მსაჯებს არცთუ სასიამოვნო გარემოში უწევდათ საკუთარი პროფესიული მოვალეობების შესრულება; მასპინძელ ქომაგთა აგრესია-ალშფოთება კი პირველი ტაიმის მიწურულს მომხდარმა ფაქტმა გამოიწვია: „დილას" ფეხბურთელები და სამწვრთნელო შტაბი (რალა თქმა უნდა, ქომაგებიც) მიიჩნევდნენ, რომ სტუმართა მცველმა **ზაზა ჭელიძემ** საკუთარ საჯარიმოში წესების დარღვევით შეაჩერა რომან ახალკაცი და პენალტს მოითხოვდნენ. თუმცა, არბიტრმა წესების დარღვევა არ დააფიქსირა და ამიტომაც გახდა ობსტრუქციის საგანი. თუმცა, ყველაზე საინტერესო ის არის, რომ არბიტრი **ოთარ ხეცაძე** გახლდათ. აი, სულ ახლახან, წინა ტურში „ტორპედო" - „დინამოს" მატჩში სტუმართა კარში, თითქმის 100-პროცენტიანი პენალტი რომ არ დანიშნა...

### მოტივაციის ფასი

წესითა და რიგით, ზედა ექვსეულის კიდევ ერთი მატჩს უნდა ჰქონოდა გარკვეული ინტრიგა: ერთპიროვნული ლიდერი თბილისის „დინამო" ხომ მესამეადგილოსან „ჩიხურას" მასპინძლობს; ანუ, უშელავათო ბრძოლის მოლოდინი უნდა გვქონოდა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო საჩხერელთა გუნდი ამ დაპირისპირებას სერიოზულზე-სერიოზული საკადრო პრობლემით ხვდება. თავად განსაჯეთ: ტრავმების, დისკვალიფიკაციისა თუ ამ ორ გუნდს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე „ჩიხურას" ვერ დაეხმარებიან **დავით ბოლქვაძე, დავით დილმელაშვილი, დავით კირკიტაძე, დავით ოდიკაძე და გიორგი რეხვიაშვილი.** თანაც, ეს ფეხბურთელები **სოსო ფრუიძის** გუნდის ძირითად მოთამაშეებად მოიაზრებიან და ამიტომაც ყველა საფუძველი გვაქვს იმის თქმისა, რომ ამ წყვილში გამოკვეთილი ფავორიტი სწორედ „დინამოა". არც ის დაგვავიწყდეს, რომ **დუშან უჰრინის** გუნდმა მეორე ეტაპზე მხოლოდ ერთი მატჩი მოიგო და მერე, ზედიზედ ორი ფრეც „მოაყოლა". სხვათა შორის, ამ გუნდებს შორის მეორე წრის მატჩი ერთობ თვალსასეირო და უხვგოლიანი გამოდგა: ანგარიში სტუმარმა სწრაფი გოლით **ლაშა ჩიკვაიძემ** გახსნა, რასაც **ჩისკოს** დუბლი მოჰყვა, პირველი ტაიმის მიწურულს დავით კირკიტაძემ ანგარიში გაათანაბრა, თუმცა მეორე ტაიმში იმავე **ჩისკოს, მიკელ ალვაროსა** და **ჯაბა დვალის** გოლებით „დინამომ" შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა (5:2).

ზედა ექვსეულის კიდევ ერთ მატჩში კი მეორე ეტაპის ყველაზე წარუმატებელი გუნდები ხვდებიან ერთმანეთს: „ზუგდიდმა" სამივე მატჩი წააგო (ბურთების სხვაობა 1:12), „ზესტაფონმა" კი ორ მარცხს მხოლოდ ერთი ფრე „მიამატა"...

● მატჩის წინ

## გიორგი სომხიშვილი: დინამო მხოლოდ ჩისკო არ არის

**ექვსეულებად დაყოფამ ეროვნული ჩემპიონატი კიდევ უფრო დაძაბა. დღეს "დინამო თბილისი" საჩხერის "ჩიხურას" მასპინძლობს, რომელსაც სეზონის მეორე ეტაპზე თამაში არ წაუგია და მესამე ადგილზეა. "ჩიხურა" ამ შეხვედრას დანაკლისით ხვდება, რაც დინამოელთა შანსებს კიდევ უფრო ზრდის, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ დუშან უჰრინის გუნდს თითქმის განალდებული აქვს სამი ქულა. "ჩიხურას" 32 წლის მეკარე გიორგი სომხიშვილი გუნდის ერთ-ერთი ლიდერია და გუშინდელი ვარჯიშის შემდეგ რამდენიმე კითხვა დავუსვით "დინამოსთან" მატჩზე.**

**- დათო კირკიტაძე და დავით დილმელაშვილი ტრავმირებულები არიან, დავით ბოლქვაძე დისკვალიფიცირებულია, გიორგი რეხვიაშვილი და დავით ოდიკაძე კი იმიტომ ვერ ითამაშებენ, რომ "დინამოსგან" არიან "ჩიხურაში" განათხოვრებულები – ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი "ჩიხურას" შანსი რა უნდა იყოს?**

- რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ რა შემადგენლობაც იქნება, მოედანზე ბოლომდე დაიხარჯება. ქულის ალებაც კარგი იქნება ამ შეხვედრაში, თუმცა ჩვენ ყოველთვის მოსაგებად ვიბრძვით. რაც შეეხება დანაკლისს, ედიკ საჯაიაც არ გვეყოლება, რომელსაც კუნთი აქვს დაჭიმული.

**- "დინამოს" წარმატებულ თამაშს მნიშვნელოვნად განაპირობებს ჩისკოს კლასი და გამოცდილება – მეტოქე გუნდის მეკარესა და დაცვას როგორ შეუძლია მისი განეიტრალება?**

- ჩისკო საკმაოდ მალალი კლასის ფეხბურთელია, თუმცა "დინამოს" სხვა კარგი შემსრულებლებიც ჰყავს, თუნდაც ჯაბა დვალი. მე მაინც მგონია, რომ "დინამო" უფრო გუნდურად თამაშობს და იქ ერთი კაცი არ წყვეტს ყველაფერს. მთავარი ალბათ ის არის, რომ მოდუნება დაუშვებელია, ასეთ მოწინააღმდეგესთან წამიერი უყურადლებობაც კი გაშვებულ გოლად დაგვიჯდება.

**- "ჩიხურას" მართლაც კარგი პერიოდი უდგას, ჩემპიონატში მესამე ადგილზე აინაცვლეთ, თასის მეოთხედფინალის პირველ შეხვედრაში კი "დილა" 3:0 დაამარცხეთ და ცალი ფეხით ნახევარფინალში ხართ - მიგაჩნია, რომ ფორმის პიკზე იმყოფებით?**

- არა მგონია, რომ ეს პიკი იყოს, ჩვენი პროგრამა-მინიმუმი ევროსარბიელზე გასვლაა, სეზონი კი ჯერ არ დასრულებულა და საინტერესო თამაშები ჯერ ისევ წინაა. "ჩიხურას" პიკი მაშინ იქნება, როცა ევროტურნირის საგზურს გავინალდებთ.

**დავით თავართქილაძე**

XXVI ტურის წინათქმა

**06.04. ფოთი. ფაზისი. 16:00**
**კოლხეთი–დინამო (ბთ)**
ურთიერთშეხვედრები:
43 მატჩი, 17 მოგება, 10 ფრე, 16 წაგება. ბურ. 48-50
პირველი ეტაპი: 1:3 (ს) 1:2 (შ)

**06.04. რუსთავი. ფოლადი. 16:00**
**მეტალურგი–სიონი**
ურთიერთშეხვედრები:
19 მატჩი, 11 მოგება, 4 ფრე, 4 წაგება. ბურ. 29-12
პირველი ეტაპი: 1:0 (შ) 0:0 (ს)

**06.04. მარტვილი. ცენტრალური. 16:00**
**მერანი–ვიტ ჯორჯია**
ურთიერთშეხვედრები:
4 მატჩი, 2 მოგება, 2 ფრე, 0 წაგება. ბურ. 4-0
პირველი ეტაპი: 1:0 (შ) 0:0 (ს)

აი, რაც შეეხება ქვედა ექვსეულს, უპირველეს ყოვლისა, ზღვისპირულა დერბი უნდა ვახსენოთ: „კოლხეთმა" ზედიზედ ორი მოგებით უმაღლეს ლიგაში დარჩენის თეორიული შანსი შეინარჩუნა, ბათუმის „დინამო" კი სულაც ერთადერთი გუნდია მეორე ეტაპზე (ორივე ექვსეულში), ქულათა მაქსიმუმი რომ მოაგროვა! არანაკლებ მნიშვნელოვანია მარტვილური მატჩიც: მეორე ეტაპზე „მერანმა" მხოლოდ ერთადერთი ქულა მოიპოვა, „ვიტ ჯორჯიამ" კი სულაც სამივე წააგო! აქვე, შეგახსენებთ, რომ „ვეტერინარებს" ამ შეხვედრაში ძველ-ახალი მწვრთნელი, **ზურაბ ბერიძე** დამოძღვრავთ, რომელმაც სამიოდე დღის წინათ ამ პოსტზე **მერაბ კოჭლაშვილი** შეცვალა. დაბოლოს, ქვემოქართლურ „დერბიზეც": ჩემპიონატში ყოველგვარ მოტივაციამოკლებულმა „მეტალურგმა" „სიონს" უნდა უმასპინძლოს. გუნდს, რომელსაც სატურნირო თვალსაზრისით განსაკუთრებული მოტივირება არ სჭირდება - ზედიზედ ორი წაგების მერე ბოლნისელთათვის ახლა ყველა მატჩი უმნიშვნელოვანესია!..

**გია ტუხაშვილი**

● სიტუაცია

## ნავსიანი რობერტინიო

თითქმის გადაწყვეტილი ამბავია: თბილისის „დინამოს" ყოფილ გარემარბს, 24 წლის **რობერტინიოს (რობერტო სოარეშ ანგინეტი)** სეზონის ბოლომდე უქმობა მოუწევს. არადა, ეს სწრაფი და ტექნიკური ბრაზილიელი ფეხბურთელი სულ ახლახან აზერბაიჯანის ჩემპიონატის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბში, ბაქოს „ინტერში" ჩაირიცხა. რობერტინიოსა და აზერბაიჯანის ყველაზე ქართული კლუბის „ურთიერთობა" თურქეთში დაიწყო, სადაც „ინტერი" ზამთრის მოსამზადებელ შეკრებას გადიოდა და ბრაზილიელიც, ფაქტობრივად, შეკრების ბოლო დღეს მივიდა **კახა ცხადაძისა და ზაურ სვანაძის** („ინტერის" მწვრთნელები) გუნდში. არ დაგვავიწყდეს, რომ რობერტინიო არც თბილისის „დინამოს" გაჰყოლია თურქულ შეკრებაზე და „ინტერში" ისე მივიდა, მოსამზადებელი პერიოდი არ ჰქონდა გავლილი. თავიდანვე ცნობილი იყო, რომ თბილისის „დინამოდან" თავისუფალი აგენტის სტატუსით წასული რობერტინიო ბაქოს „ინტერში" მაისის ბოლომდე უნდა დარჩენილიყო. აზერბაიჯანის ჩემპიონობისათვის მებრძოლი გუნდის ქართველი მწვრთნელების გათვლაც გამართლებული იყო: სეზონის მსვლელობისას გუნდის ორმა ფორვარდმა, 32 წლის **გიორგი ადამიამ** და 31 წლის **ტალეს შუტცმა** ტრავმები მიიღეს და რობერტინიოს მათი სრულფასოვანი თუ არა, ნაწილობრივ შეცვლა უნდა მოეხერხებინა. თუმცა, ამის გარდა „ინტერში" ისედაც მძაფრი კონკურენცია იყო, ზამთრის მოსამზადებელი შეკრების გაცდენამაც უარყოფითი როლი ითამაშა, თვითონ რობერტინიომაც (ისე როგორც - თბილისის „დინამოში") მაქსიმალურად არ მოინდომა და აი, „ინტერისა" და მისი ხანმოკლე ურთიერთობა, ფაქტობრივად, დასრულებულია. თუმცა, ამ ყველაფერზე გავლენა ერთმა ფაქტმაც მოახდინა: 3 მარტს, „ყარაბაღთან" უპრინციპულეს მატჩში კახა ცხადაძემ რობერტინიო შეცვლაზე შეიყვანა (64-ე წუთზე გუნდის საუკეთესო ბომბარდირის **ბაჩანა ცხადაძის** ნაცვლად). ეს მატჩი ფრედ, 0:0 მორჩა, მაგრამ მთავარი მოვლენები გასახდელში განვითარდა: მასპინძელთა კაპიტანის, **რაშად სადიქოვის** ძმამ და კიდევ ერთმა უცხო პირმა, რობერტინიოს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს! რა თქმა უნდა, „ჩვენებურ" ბრაზილიელს მაშინათვე გამოექომაგნენ „ინტერის" ქართველი ფეხბურთელები და სხვა თანაგუნდელები, შემდეგ კი უკვე სამართალდამცავების მცდელობით, ხელჩართული ჩხუბი, როგორც იქნა, გაშველებით დამთავრდა. თურმე, მატჩის ბოლოს, ერთ-ერთ ეპიზოდში სადიქოვსა და რობერტინიოს შორის სიტყვიერი შელაპარაკება მომხდარა და მასპინძლებმაც ასე დააპირეს „შურისძიება"...

აი, ეს იყო რობერტინიოს პირველი და ბოლო მატჩი „ინტერის" შემადგენლობაში. არადა, ეს სეზონი მისთვის მართლაც დანავსულია: პირველ ეტაპზე თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში 14 მატჩი ჩაატარა და ყველა შემთხვევაში... შეცვლაზე შემოდიოდა! შეგახსენებთ, რომ რობერტინიო „დინამოში" 2009/10 წლების სეზონში ჩაირიცხა და უმაღლეს ლიგაში 72 ჩატარებულ შეხვედრაში 5 გოლი გაიტანა.

**გია გაგოშიძე**


რობერტინიო

ინტერვიუ ლევან ყიფიანთან

# ფედერაციასთან საქმიანი ურთიერთობა ჩემი ვალდებულებაა

**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი ბოლნისს ესტუმრა, ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩს დაესწრო და საკუთარი თვალით იხილა, რა მდგომარეობაშია თამაზ სტეფანიას სახელობის სტადიონის საფარი. ბოლნისელების სატკივარი სახელმწიფო დოტაციაზე მყოფ სხვა კლუბებსაც აწუხებთ და ამიტომ განვაზოგადეთ პრობლემა. ასეთი კლუბები მოელიან, ახალ პოლიტიკურ ვითარებაში რა ცვლილება იქნება – მოედნების დაგებას კვლავ სახელმწიფო დააფინანსებს თუ ამის გაკეთება რაიონს მოუწევს? ლევან ყიფიანს სხვა თემებზეც ველაპარაკეთ.**



**- ბოლნისის მოედანი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. მაგრამ ანალოგიური პრობლემა მხოლოდ რამდენიმე ქალაქსა თუ რაიონში მოგვარდა. როგორია ამ საკითხისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულება?**

- ცხადია, სამინისტრო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში მაქსიმალურად არის ჩართული, რადგან ჩვენი სურვილია, სტადიონები სწრაფად და ხარისხიანად მოვაწესრიგოთ და უეფას სტანდარტებს გავუთანაბროთ. სამწუხაროდ, ამ კუთხით იდეალური მდგომარეობა ნამდვილად არ გვაქვს. რა თქმა უნდა, ბევრი რამ იგეგმება, მაგრამ ვითარების გამოსასწორებლად საჭიროა სწორი კონცეფცია, გარკვეული დრო და ფინანსები.

**- გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს, 2013 წლიდან ფეხბურთის ფედერაციას სახელმწიფოსგან 7-მილიონიანი დაფინანსება შეუწყდა და ამიერიდან საფეხბურთო პროექტებს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო განახორციელებს.**

- არ არის მართალი. უბრალოდ, ფედერაციასთან და უეფასთან შეთანხმებით გადავწყვიტეთ, რომ ყველაფერს გადავხედოთ და ეს პროექტები ახლებური ხედვით განვახორციელოთ. ალბათ, მალე, ჩვენი ფეხბურთისა და მისი ინფრასტრუქტურის განვითარების რეალურ გეგმას წარმოვადგენთ.

**- წინა ორი წლის განმავლობაში, სახელმწიფოს ფინანსებით რამდენიმე სტადიონი გარემონტდა, რამდენიმეს მოედნის საფარი შეუცვალეს. წლეულს ეს პროექტები არ განხორციელდება?**

- სპორტის სამინისტროს აქვს ძველი ხელმძღვანელების დატოვებული ბიუჯეტი, სადაც მოედნების დაგება გათვალისწინებული არ იყო. არადა, აუცილებელიც არის, რომ სახელმწიფომ სწორედ ინფრასტრუქტურაზე იზრუნოს და შექმნას საფეხბურთო მეურნეობის გამართული მუშაობის წინაპირობა. სხვათა შორის, ამის შესახებ უეფასთან და ფეხბურთის ფედერაციასთან მუშაობა უკვე დავიწყეთ. უეფა ქვეყანაში ალიარებს ერთ საფეხბურთო ორგანიზაციას და ჩვენი ფედერაციის გარეშე, პროექტების განხორციელება შეუძლებელი იქნება. მთავარია, სწორი კონცეფცია დაიდოს.

**- ევრო-2020-ის თამაშების მასპინძლობა სომხებსაც სურთ, რომლებიც ადრე ამ თემაზე გვაქილიკებდნენ. თუმცა, ამჯერად არაფერი ისმის საქართველოზე - საინტერესოა, ამ საკითხზე ჩვენი პოზიცია უცვლელია და ევროფორუმის მასპინძლობისთვის ბრძოლას ისევ ვაპირებთ?**

- ცხადია, ამ უფლებისთვის ვიბრძოლებთ. ჯერ უეფა კანდიდატურის წარდგენას არც ითხოვს. მისმა მმართველებმა მონაწილე ქვეყნებს გაუგზავნეს მოთხოვნები, თუ რა პირობები უნდა დააკმაყოფილონ. ჩვენ ხომ უნდა ვიცოდეთ, რა კრიტერიუმებია. თუმცა, ვფიქრობ, საქართველოს ევროპის ჩემპიონატის ერთი შეხვედრის მასპინძლობის სურვილი და უნარი მაინც შესწევს.

**- ყოფილ ფეხბურთელთან ინტერვიუში საქართველოს ნაკრებს გვერდს ვერ ავუქცევთ. საფრანგეთში გუნდის გამოსვლას როგორ შეაფასებთ?**

- როგორც საჯარო მოხელე, თავს შევიკავებდი. თუმცა, რა თქმა უნდა, ამ საკითხზე ჩემი მოსაზრება გამაჩნია.

**- მართალია, თითქოს თქვენსა და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს შორის არსებული დაძაბულობა წარსულს ჩაბარდა და ურთიერთობა მოაგვარეთ?**

- მე ვარ საქართველოში სპორტის განვითარებაზე პასუხისმგებელი საჯარო პირი. გამომდინარე აქედან, ჩვენი ფეხბურთი რომ განვითარდეს, ვალდებულიც ვარ, ფეხბურთის ფედერაციასთან და მის ხელმძღვანელობასთან საქმიანი და ყოველდღიური ურთიერთობები მქონდეს. აქ პირადი ინტერესები საზოგადოებრივზე მაღლა არ უნდა დააყენო.

**მერაბ მამულაშვილი**

# 1000 კვირის ჩვრილმანი

დავით თავართქილაძე

## დეკორატიული დანამატი

**კვირის** მთავარი ამბავი **ლევან კობიაშვილისა და ალექსანდრე იაშვილის** განცხადება იყო. რატომ მოხდა ასე, რამ გამოიწვია ეს ყველაფერი - ამაზე „ლელოშიც“ დაიწერა და საფეხბურთო სამყარომაც ყბად ილო კობიაშვილისა და იაშვილის პოზიცია.

ფეხბურთის ფედერაცია რამდენად არის დამნაშავე იმაში, რომ კობიაშვილსა და იაშვილს დროულად არ გადაუხადა მადლობა ნაკრებული კარიერის გამო, ამაზე დავა ალბათ შეიძლება, ოღონდაც ეს ძალიან დელიკატური საკითხია, იმდენად დელიკატური, რომ ყველა უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ბევრი ძალიან კარგი ფეხბურთელი წასულა სარბიელიდან ისე, რომ მისთვის ოფიციალური მადლობა არ უთქვამთ და არც გამოსამშვიდობებელი მატჩი ღირსებიათ. ასე მომხდარა საქართველოში და არა მხოლოდ.

მადლობა და დამშვიდობება კი აუცილებელი ეტიკეტია, რადგან საქმე ადამიანის ადამიანურად დაფასებას ეხება. გულისტკივილიც აქედან მოდის.

ფედერაციამ კობიაშვილისა და იაშვილის განცხადების მერე თქვა, ნოემბერში მოვუწყობთ გაცილებასო.

რაღაც ვერ გამოვიდა კარგად და ცხადია, ამ ყველაფერს თავისი მიზეზები აქვს. მიზეზებზე წერამ, ყველაფრისთვის ყურადღების მიქცევამ, ვარაუდების გამოთქმამ კი კიდევ ერთი წყენა გამოიწვია - განცხადებას კუდები რატომ გამოაბითო.

კობიაშვილისა და იაშვილის ნაკრებიდან წასვლამ სევდაც გააჩინა. მათ ბევრი იშრომეს ჩვენი ეროვნული ნაკრებისთვის, მაგრამ აქედან არაფერი არ გამოვიდა - საქართველოს ნაკრებმა ვერასდროს მოახერხა, რომ შესარჩევი ციკლის შუისითვის მაინც ყოფილიყო ჯგუფიდან გასვლის რეალური პრეტენდენტი.

დინამოელი იაშვილის გოლი **კრისტოფ დაუმის** „ლევერკუზენთან“, ფრაიბურგელი კობიაშვილის უზადოდ შესრულებული ჯარიმა **ოლივერ კანის** კარში...

კობიაშვილსა და იაშვილს ნაკრებშიც გაუტანიათ გოლები, წინა შესარჩევში სწორედ კობის გოლით მოვუგეთ ხორვატიას, ნამეტანი გემრიელი გამარჯვება გამოვიდა.

საფრანგეთთან კი ძალიან კარგად გამოჩნდა, რა კლასიც აქვთ იმ ნაკრებელებს, კობიაშვილისა და იაშვილის მაგივრად რომ თამაშობენ დღეს საქართველოს ეროვნულ გუნდში, ოღონდაც **თემურ ქეცბაიას** პასუხს მაინც ვერავინ მოჰკითხავს - ის ხელშეუხებელია.

■ ■ ■

საქართველოს ქალთა ნაკრებმა კი შესარჩევის პირველ მატჩში ლიტვას სტუმრად მოუგო. ქართველ ქალებს ფეხბურთის თამაში დიდად არ უყვართ და ქალთა ფეხბურთიც ჩვენთან სპორტის ოდენ პერიფერიული სახეობა უნდა იყოს.

დღეს აღარ კამათობენ იმაზე, თუ რამდენად ესთეტიურია ქალების ფეხბურთი, რადგან ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალთა ფეხბურთი უკვე კარგა ხანია, რაც საკმაოდ პოპულარულია. ესეც რომ არა, ქალებს არ უყვართ, როცა მათ განიხილავენ როგორც მხოლოდ დეკორატიულ სქესს.

ქალებს ფეხბურთში სათქმელი მართლაც არაფერი აქვთ, ქალებს ალბათ არასდროს ეყოლებათ თავიანთი მესი და რონალდო, მაგრამ მათი თამაშის ნახვა მაინც მიმზიდველია.

ქალთა ფეხბურთი საქართველოში ფეხბურთის დანამატია - ჯერ ასეა და ვნახოთ, მერე რა იქნება. ეს დანამატი კი აუცილებელია, თუნდაც ფეხბურთის პოპულარიზაციის თვალსაზრისით.

■ ■ ■

ეროვნული ჩემპიონატის წინა ტურმა დაგვანახა, რომ მსაჯობა ისევ თემაა. როცა მსაჯს სულ ერთი და იგივე გუნდის სასარგებლოდ მოსდის შეცდომები, როცა მსაჯი ცოცხალ კედელს ლამის 12-13 მეტრზე წევს იმავე გუნდის სასარგებლოდ, რატომ ინიშნება ეს მსაჯი ისევ ამ გუნდის ძალიან მნიშვნელოვან თამაშზე?

ეს ის შემთხვევაა, როცა არანაირ აუცილებლობას არ წარმოადგენს პროკურატურისთვის რაღაც მასალების გადაგზავნა. არის საკითხები, რომელთა მოგვარება მარტივადაც შეიძლება.

მე მაინც მგონია, რომ წინ მივდივართ. გასულ უქმეებზე ქუთაისში გახლდით ქართულ კლასიკოზე და „ტორპედო“-„დინამოს“ ის ყველაფერი დაიტია, რასაც ფეხბურთი ჰქვია. კარგი თამაში, გულშემატკივრობა, დრამატული ეპიზოდები, მართლაც რომ საფეხბურთო ატმოსფერო...

ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობიდან კი სტადიონზე ვერავინ დავინახე.

ქომაგები

# ფეხბურთი, წიგნი და ემოციები

რა კავშირი შეიძლება ჰქონდეთ ბიბლიოთეკას, მის დირექტორ ქალბატონსა და ფეხბურთის ფანებს? თურმე ასეთი წარმოუდგენელი კომბინაციაც შესაძლებელი ყოფილა და სწორედ ამ კავშირის დამსახურებაა, გამსახურდიას გამზირზე მდებარე "წიგნის სახლში" (33-ე ბიბლიოთეკა) ერთი ლამაზი საფეხბურთო საღამო რომ გაიმართა.

ეს ბიბლიოთეკა სპორტის დიდი "ბუდეა". მისი დირექტორი ქალბატონი **ნინო ჩეკურიშვილი** ყოფილი მორბენალია და სპორტისადმი სიყვარული დღემდე არ განელებია. ერთი წლის წინათ, 2012 წლის 4 აპრილს, "წიგნის სახლში" ახალი სპორტული ვებგვერდის, geosports.ge სწორედ მისი ხელშეწყობით ამოქმედდა და **დათო ტურაშვილის** წიგნის, „მე რომ ფეხბურთელი ვიყო“ პრეზენტაციას დაამთხვია.

ინტერნეტჟურნალზე დაბადების დღე ორიგინალურად აღნიშნეს: პირველად საქართველოში, ფეხბურთის გულშემატკივრები და ბიბლიოთეკა (33-ე ბიბლიოთეკა და „გლადიატორები“) დამეგობრდნენ. "წიგნის სახლში" მიწვეულები იყვნენ თბილისის დინამოს" მოთამაშეები (**გიორგი ლორია, გია კვარაცხელია, ლევან ხმალაძე, გიორგი მერებაშვილი, ჯაბა დვალი**), გუნდის ფანკლუბის, "გლადიატორის" წევრები, ჟურნალისტები და მწერალი დავით ტურაშვილი.

*"ფეხბურთის გულშემატკივრებზე წარმოდგენა ძალიან არასწორია. უმრავლესობას ეს ხალხი ხულიგნები და გაუნათლებლები ჰგონია. არადა, ბევრი მათგანი გვსტუმრობს და აღმოვაჩინე, რომ ძალიან ინტელექტუალი ბიჭები და გოგონები არიან, რომელთაც ფეხბურთი უზომოდ უყვართ"* – თქვა ნინო ჩეკურიშვილმა.

*"დავით ყიფიანი უდიდესი ფეხბურთელი იმიტომაც იყო, რომ წიგნი უყვარდა და აზროვნებდა. ჩვენს უმრავლესობასაც ორი ყველაზე მთავარი სიამოვნება აქვს – წიგნი და ფეხბურთი"* – დაეთანხმა "დინამოს" ფან-კლუბის ლიდერი **როლანდ გაფრინდაშვილი**.

თბილ და მეგობრულ საღამოზე ზღვარი წაიშალა. საუბარი იყო ფეხბურთზე, მედიაზე, გულშემატკივრებზე, იყო ხუმრობაც. მერებაშვილის ნათქვამს, წლეულს "დინამო" აუცილებლად ჩემპიონი გახდებაო, გაფრინდაშვილი ირონიული რეპლიკით გამოეხმარა: - რა ვიცი, ოთხი წელია ამას გვპირდებითო.

გიორგის გაეცინა, მაგრამ არ უპასუხა. მეგობარს ლორია გამოექომაგა: *"მართალი ხარ, გპირდებით, მაგრამ წლეულს უკვე დანამდვილებით გეტყვით, რომ ამ ოცნებას აგისრულებთ"*.

*"ეს ბიჭები ზამთარ-ზაფხულ, სიცხესა თუ სიცივეში გვქომაგობდნენ. როდესაც თამაშობთ და მათი შეძახილები გესმით, უფრო მეტი გულით თამაშის სურვილი არ გიჩნდებათ?"* – იკითხა ბიბლიოთეკარმა ქალბატონმა.

*"საქართველოში გუნდს შინ თუ გარეთ ასეთი აქტიური და ერთგული მხარდამჭერი რომ ჰყავს, შეუძლებელია, ამან ჩვენზე დადებითად არ იმოქმედოს და მეტი მონდომებით არ ვითამაშოთ. ბოლო ტურში ქუთაისში ჩვენთვის "გლადიატორების" მხარდაჭერა ძალიან ბევრს ნიშნავდა. მათ ლამაზი ფაიერშოუ დადგეს. ასეთი ქომაგობა ჩვენთვისაც დიდი სტიმულია და თავად შეხვედრასაც ალამაზებს"* – უპასუხა ისევ ლორიამ.

იყო კიდევ ბევრი გამოსვლა, ცხადია, შამპანურიც, რომლითაც ჩვენს კოლეგებს ერთი წელი და შემდგომი საქმიანობა დაულოცეს.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები



გიორგი მაკარიძე კვლავ "ლე მანის" ძირითადში იყო

# ქასიმფაშა სამეულს მიღმა, ბოხუმი კატასტროფის პირას

**თურქეთის** სუპერლიგაში **შოთა არველაძის** მიერ გაწვრთნილი "ქასიმფაშა" სტუმრად "ანთალიასფორთან" დამარცხდა, რითაც სუპერლიგაში მესამე საფეხური დაკარგა. "ქასიმფაშასთვის" არც მატჩის მიმდინარეობა იყო სახარბიელო – არველაძის გუნდი ჯერ 0:2-ს, შემდეგ კი 1:3-ს აგებდა.

უკრაინის პრემიერლიგაში "ზარია" შინ "ჩერნომორეცს" 1:1 დაუზავდა. ჯაბა **ლიპარტია** მასპინძელთა სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

დანიის სუპერლიგაში "ორჰუსი" საკუთარ მოედანზე "ესბიერგთან" 0:1 დამარცხდა. ორჰუსელმა **მათე ვაწაძემ**, როგორც იცით, კოჭი მოიტეხა და ფეხბურთს ხანგრძლივი ვადით ჩამოშორდა, მისი თანაგუნდელები, დავით **დევდარიანი** და **დავით სხირტლაძე** კი სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ. სხირტლაძემ სრულად ითამაშა, ხოლო დევდარიანი 75-ე წუთზე შეცვალეს.

გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში "ბოხუმი" საკუთარ კედლებში 0:3 განადგურდა "აუესთან" და საქმე კიდევ უფრო გაირთულა. **ალექსანდრე იაშვილი** "ბოხუმის" ძირითად შემადგენლობაში იყო და შესვენებისას შეცვალეს, მისი თანაგუნდელი **ნიკოლოზ გელაშვილი** კი 18-კაციან განაცხადშიც არ შეუყვანიათ.

საფრანგეთის ლიგა 2-ში **გიორგი მაკარიძის** "ლე მანმა" "ტურს" უმასპინძლა და 1:0 მოუგო, ქართველმა მეკარემ კი გუნდის ძირითადში დაბრუნების შემდეგ ზედიზედ მეორე მატჩი ჩაატარა.

აზერბაიჯანის პრემიერლიგაში **გიორგი ჩიხრაძის** "სიმურგი" სტუმრად "გაბალას" 1:1 დაუზავდა და ევროპის ლიგის საგზურისთვის ბრძოლას განაგრძობს.

სამხრეთაფრიკულ პრემიერლიგაში "მოროკა სვოლოვსი" საკუთარ კედლებში "ვიტს უნივერსიტის" დაუზავდა – 1:1. მასპინძელთა რიგებში **გიორგი ნერგაძემ** შეუცვლელად ითამაშა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXII ტურის წინ

# ჩემპიონების ჭიდილი თეატრის სცენაზე

## ტოტენჰემი გარეთ ბეილის გარეშე დარჩა

### 6 აპრილი

**რედინგი–საუთჰემპტონი 15:45**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** შონ მორისონი, ჰოუპ აკპანი, ნიკ არნოლდი, გოზი უგვუ, ჯონათან ჰენლი, დიმონიკ სამუელი, მეტ პეტრიჯი - ადამ ლალანა, არტურ ბორუცი

ბოლო 6 მატჩი

+0=0-6 +3=1-2

ურთიერთშეხვედრები

**სულ 7 თამაში: +2=3-2 (8-6)**

**ნორვიჩი–სუონსი 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ჯონ რადი, ენდრიუ სერმანი, ენტონი პიკლინგტონი - ნილ ტეილორი, ანხელ რანხელი, დარნელ შიტუ, კემი აგუსტიენი

ბოლო 6 მატჩი

+1=3-2 +2=0-4

ურთიერთშეხვედრები

**სულ 9 თამაში: +5=0-4 (16-18)**

**სტოკი–ასტონ ვილა 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** მეტიუ ეთერინგტონი - რიჩარდ დანი, კირან კლარკი, მარკ ოლბრაიტონი, სტილიან პეტროვი, კრის ჰერდი, გარი გარდნერი

ბოლო 6 მატჩი

+1=1-4 +3=0-3

ურთიერთშეხვედრები

**სულ 68 თამაში: +22=18-28 (78-105)**

**ვესტ ბრომვიჩი–არსენალი 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** იუსუფ მულუმბუ (ვესტ)

**ტრავმა:** ჯეიმს მორისონი, ჯორჯ ტორნი, ზოლტან გერა - ვასირიკი დიაბი, ჯეკ უილშირი, თეო უოლკოტი

ბოლო 6 მატჩი

+3=1-2 +5=0-1

ურთიერთშეხვედრები

**სულ 117 თამაში: +31=27-59 (151-208)**

### 7 აპრილი

**ლივერპული–ვესტ ჰემი 16:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ჯო ალენი, ფაბიო ბორინი, მარტინ კელი ჯონ ფლენაგანი - ჯორჯ მაკარტი, მარკ ნოუბლი, დანიელ პოტსი

ბოლო 6 მატჩი

+4=0-2 +3=0-3

ურთიერთშეხვედრები

**სულ 102 თამაში: +56=26-20 (174-95)**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 30 | 25 | 2 | 3 | 70-31 | 77 |
| 2. სიტი | 30 | 18 | 8 | 4 | 55-26 | 62 |
| 3. ტოტენჰემი | 31 | 17 | 6 | 8 | 53-38 | 57 |
| 4. ჩელსი | 30 | 16 | 7 | 7 | 59-32 | 55 |
| 5. არსენალი | 30 | 15 | 8 | 7 | 59-33 | 53 |
| 6. ევერტონი | 30 | 13 | 12 | 5 | 47-35 | 51 |
| 7. ლივერპული | 31 | 13 | 9 | 9 | 59-40 | 48 |
| 8. ვესტ ბრომვიჩი | 31 | 13 | 5 | 13 | 41-41 | 44 |
| 9. სუონსი | 31 | 10 | 10 | 11 | 41-40 | 40 |
| 10. ფულჰემი | 30 | 10 | 9 | 11 | 43-46 | 39 |
| 11. ვესტ ჰემი | 30 | 10 | 6 | 14 | 35-44 | 36 |
| 12. საუთჰემპტონი | 31 | 8 | 10 | 13 | 44-53 | 34 |
| 13. სტოკ სიტი | 31 | 7 | 13 | 11 | 27-36 | 34 |
| 14. ნორვიჩი | 31 | 7 | 13 | 11 | 28-47 | 34 |
| 15. ნიუკასლი | 31 | 9 | 6 | 16 | 41-56 | 33 |
| 16. სანდერლენდი | 31 | 7 | 10 | 14 | 33-43 | 31 |
| 17. უიგანი | 30 | 8 | 6 | 16 | 36-56 | 30 |
| 18. ასტონ ვილა | 31 | 7 | 9 | 15 | 32-58 | 30 |
| 19. ქუინზ პარკი | 31 | 4 | 11 | 16 | 28-51 | 23 |
| 20. რედინგი | 31 | 5 | 8 | 18 | 36-61 | 23 |

ბომბარდირები: 22 - ლუის სუარესი (ლივერპული), 19 - რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი), 17 - გარეთ ბეილი (ტოტენჰემი), 16 - მიგელ მიჩუ (სუონსი), 15 - დემბა ბა (ნიუკასლი/ჩელსი) 14 - რიკი ლამბერტი (საუთჰემპტონი)

**XXXII ტური სამ დღეზეა გადანაწილებული. ყველაზე მნიშვნელოვანი თამაში მანჩესტერულ გრანდებს შორის ორშაბათს გვიან ღამით გაიმართება. არანაირი მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ „იუნაიტედისა" და „სიტის" დაპირისპირება სატურნირო ინტრიგას პრაქტიკულად მოკლებულია. სტუმარმა თუნდაც წაიღოს სამი ქულა „ოლდ ტრეფორდიდან", დარჩენილ 7 თამაშში (ცხრილის ლიდერებს თითო თამაში გამოტოვებული აქვთ) 12 ქულის გაბათილებას რობერტო მანჩინის გუნდი ვერ მოახერხებს. „ეშმაკების" წარმატების შემთხვევაში კი ისინი ჩემპიონობას თეორიულად ვერ ინალდებენ. მანჩესტერულ დერბიში ეს ყველაფერი მეორეხარისხოვანია. მთავარი აქ გამარჯვებულის სახელია.**

„იუნაიტედის" თავკაცი **ალექს ფერგიუსონი** წინა დღეებში აცხადებდა, რომ მას რთული გადაწყვეტილებების მიღება მართებდა. **რობინ ვან პერსი** ცუდ ფორმაშია, **უეინ რუნიმ** კი ტრავმის გამო რამდენიმე დღე გამოტოვა და იდეალური კონდიციებისგან შორს არის. *„დერბიში თამაში ყველა ფეხბურთელს სულითა და გულით სურს. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში კი ჩვენმა შეხვედრებმა უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა. ამჯერად ჩვენ რთულ სიტუაციაში გვიწევს ასპარეზობა. შაბათს „სანდერლენდთან" მატჩიდან ორ დღეში „ჩელსისთან" მოგვიხდა დაპირისპირება, იქამდე კი ფეხბურთელების უმრავლესობა ნაკრებებში იყო წასული. მსგავსი სიტუაცია ჩვენთვის უცხო არ არის. მოთამაშეთა ფიზიკური კონდიციების გათვალისწინება და შემადგენლობის ისე შერჩევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია,"* - თქვა ფერგიუსონმა.

„სიტიზე" რისი თქმა შეიძლება? რობერტო მანჩინისა და კომპანიას დასაკარგი უკვე აღარაფერი აქვთ. მათ შეუძლიათ გამოვიდნენ და ითამაშონ ისე, როგორც იციან და შეუძლიათ. კუთხეში მიმწყვდეული მტერი კი ნამდვილად ძალიან საშიშია. თუკი იტალიელი მწვრთნელი დღევანდელ დაპირისპირებას მოიგებს და ამას ასოციაციის თასის მოგებასაც მიაყოლებს, ნამდვილად შეუძლია „ეტიჰადზე" დარჩენის იმედი ჰქონდეს.



პირველ წრეში „ეტიჰადზე" დერბის საბოლოო შედეგი (2:3) ბოლო წუთზე რობინ ვან პერსიმ დააფიქსირა

### ჩრდილოლონდონელები

ახლა კი, მოდი, სხვა მატჩებზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა. დღეს ჩემპიონატის ერთი ლიდერი თამაშობს - „ვესტ ბრომვიჩს" „არსენალი" ესტუმრება. „მეთოფეები" „ტოტენჰემს" ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში მხოლოდ ერთი დაკარგული ქულით ჩამორჩებიან და ის, რომ „ბაზელთან" ევროპა ლიგის შეხვედრაში „დეზებმა" **გარეთ ბეილი** ტრავმის გამო დაკარგეს, სწორედ **არსენ ვენგერის** წისქვილზე ასხამს წყალს. თავის მხრივ „არსენალი" საფინიშო სპურტს კარგ ფორმაში შეხვდა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ფრანგის სამწვრთნელო კვალიფიკაციას.

**ანდრე ვილაშ ბოაშს** კოჭის ტრავმის გამოისობით ბეილი გამოაკლდა. გამორიცხულია **ჯერმეინ დეფოს** თამაშიც. „უაით ჰართ ლეინზე" ვერც **დევიდ მოიესი** ითამაშებს ოპტიმალური შემადგენლობით. 16 მარტს „მანჩესტერ სიტისთან" შეხვედრაში (2:0) **მარუან ფელაინიმ** სეზონში მე-10 ყვითელი ბარათი მიიღო, **სტივენ პიენაარი** კი გააძევეს. მერსისაიდელთა ნახევარდაცვის ლიდერებმა ამის გამო 2-2 თამაშიანი დისკვალიფიკაციები მიიღეს. ასე რომ, უქმეების ცენტრალურ დაპირისპირებაში გუნდების შანსებს ეს ათანაბრებს.



„ტოტენჰემი" გარეთ ბეილის გარეშე დარჩა

### დი კანიო და სხვები

წინა ტურის შემდეგ ბრიტანული პრესა თუკი რამეზე დიდი გატაცებით წერდა, ეს „სანდერლენდის" ახალი მთავარი მწვრთნელი **პაოლო დი კანიო** იყო. კუნძულზე ზოგადად ძალიან უყვართ სკანდალისტი პერსონაჟები. სწორედ ამიტომ იყო, რომ ჟურნალისტებს გული დასწყდათ **მარიო ბალოტელის** „მილანში" გადასვლის გამო. თუმცა ერთი იტალიელი მეორე არანაკლებ კოლორიტულმა ფიგურამ ჩაანაცვლა და ბრიტანეთშიც შვებით ამოისუნთქეს. 44 წლის აპენინელს ურთულესი ამოცანა აქვს გადასაჭრელი. მისი ერთადერთი შანსი „სტემფორდ ბრიჯზე" „ჩელსის" რთული გრაფიკია. 8 დღეში დედაქალაქელებისთვის ეს უკვე მე-4 თამაში იქნება. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ, ჯერჯერობით, **რაფა ბენიტესის** შეგირდები ღირსეულად აბარებენ გამოცდას. შუა კვირაში მათ ჯერ „მანჩესტერ იუნაიტედს" სძლიეს, შემდეგ ყაზანის „რუბინს". ასე რომ, არ გვგონია, „შავ კატებს" იოლი საქმე დახვდეთ.

დაბოლოს, „ლოფტუს როუდზე" აუტსაიდერთა შორის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თამაში გაიმართება: „ქუინზ პარკი" „უიგანს" მიიღებს. „რეინჯერებს" ნამდვილად ერთ-ერთი ბოლო შანსი აქვთ, რომ პრემიერლიგაში დასარჩენად ბრძოლას არ გამოაკლდნენ. **ჰარი რედნაპმა** ამ დღეებში კლუბის მეპატრონისგან გარანტია მიიღო, რომ დაქვეითების შემთხვევაშიც კი მას არაფერი ემუქრება.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

### 7 აპრილი

**ტოტენჰემი–ევერტონი 17:05**

**დისკვალიფიკაცია:** პიენაარი, ფელაინი (ევერ)

**ტრავმა:** იუნეს კაბული, ჯერმეინ დეფო, უგო ლორისი, გარეთ ბეილი, რანიერ სანდრო - ტონი ჰიბერტი

**დისკვალიფიკაცია:** - მარუან ფელაინი, სტივენ პიენაარი

ბოლო 6 მატჩი

+4=0-2 +3=1-2

ურთიერთშეხვედრები

**სულ 150 თამაში: +55=47-48 (229-198)**

**ჩელსი–სანდერლენდი 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ეშლი კოული, ორიოლ რომეუ, გარი კეჰილი - ვეს ბრაუნი, ლი კატერმოული, დევიდ ვონი, კარლოს კუელიარი, სტივენ ფლეტჩერი

ბოლო 6 მატჩი

+3=0-3 +0=2-4

ურთიერთშეხვედრები

**სულ 103 თამაში: +51=18-34 (189-155)**

**ნიუკასლი–ფულჰემი 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ფაბრისიო კოლოჩინი, დავიდე სანტონი, ჰატემ ბენ არფა, რაიან ტეილორი, მასაიდო აიდარა, შეიკ ტიოტე, მატიო დებუში, ჰარის ვუკჩიჩი - მაჰამადუ დიარა, ნილ ეთერიჯი

**დისკვალიფიკაცია:** - სტივ სიდუელი

ბოლო 6 მატჩი

+2=0-4 +3=2-1

ურთიერთშეხვედრები

**სულ 37 თამაში: +11=7-19 (55-63)**

**ქუინზ პარკი–უიგანი 19:10**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** რობერტ გრინი, სამბა დიაკიტე, არმან ტრაორე, ენდრიუ ჯონსონი - ალბერტ კრუსატი, ბენ უოტსონი, მაიკლ პოლიტი, ივან რამისი, რიო მიაიჩი

ბოლო 6 მატჩი

+2=0-4 +3=1-2

ურთიერთშეხვედრები

**სულ 9 თამაში: +3=4-2 (10-9)**

### 8 აპრილი

**იუნაიტედი–სიტი 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** რაფაელ და სილვა, ჯონი ევანსი, ნემანია ვიდიჩი, პოლ სქოულზი, დარენ ფლეტჩერი - მიკა რიჩარდსი, სისენანდო მაიკონი, ჯეკ როდუელი, მატეა ნასტასიჩი

ბოლო 6 მატჩი

+6=0-0 +3=1-2

ურთიერთშეხვედრები

**სულ 140 თამაში: +56=45-39 (202-192)**

## უცხოური ფეხბურთი

### საფრანგეთი. ლიგა 1. XXXI ტურის წინ

# პარიზელთა ბრეტანული კომპლექსი

## პსჟ-ს რენში 11 წელიწადია, არ მოუგია

| მარსელი-ბორდო | 1:0 |
|---|---|
| **6 აპრილი** | |
| რენი-პსჟ | 19:00 |
| ნანსი-ტრუა | 22:00 |
| სოშო-აიაჩო | 22:00 |
| მონპელიე-ვალანსიენი | 22:00 |
| ბასტია-ბრესტი | 22:00 |
| ტულუზი-ნიცა | 22:00 |
| **7 აპრილი** | |
| სტ. ეტიენი-ევიანი | 16:00 |
| რეიმსი-ლიონი | 19:00 |
| ლილი-ლორიანი | 23:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 30 | 18 | 7 | 5 | 54-20 | 61 |
| 2. მარსელი | 31 | 17 | 6 | 8 | 36-32 | 57 |
| 3. ლიონი | 30 | 15 | 8 | 7 | 49-32 | 53 |
| 4. სტ. ეტიენი | 30 | 13 | 11 | 6 | 50-25 | 50 |
| 5. ლილი | 30 | 13 | 10 | 7 | 43-31 | 49 |
| 6. ნიცა | 30 | 13 | 9 | 8 | 41-34 | 48 |
| 7. მონპელიე | 30 | 13 | 6 | 11 | 44-36 | 45 |
| 8. ლორიანი | 30 | 11 | 11 | 8 | 48-45 | 44 |
| 9. ბორდო | 31 | 10 | 13 | 8 | 29-26 | 43 |
| 10. რენი | 30 | 12 | 6 | 12 | 41-41 | 42 |
| 11. ტულუზი | 30 | 10 | 11 | 9 | 36-34 | 41 |
| 12. ვალანსიენი | 30 | 9 | 9 | 12 | 40-45 | 36 |
| 13. ბასტია | 30 | 10 | 6 | 14 | 38-56 | 36 |
| 14. აიაჩო | 30 | 8 | 11 | 11 | 32-40 | 33 |
| 15. ევიანი | 30 | 7 | 10 | 13 | 34-43 | 31 |
| 16. რეიმსი | 30 | 7 | 10 | 13 | 28-37 | 31 |
| 17. სოშო | 30 | 8 | 7 | 15 | 32-47 | 31 |
| 18. ბრესტი | 30 | 8 | 5 | 16 | 29-44 | 29 |
| 19. ნანსი | 30 | 6 | 9 | 15 | 28-47 | 27 |
| 20. ტრუა | 30 | 4 | 13 | 13 | 36-53 | 25 |

**შენიშვნა:** „აიაჩოს" - 2 ქულა

**ბომბარდირები:** 25 - იბრაჰიმოვიჩი (პარი სენ ჟერმენი); 17 - ობამეიანი (სენტ ეტიენი); 12 - ალიადიერი (ლორიანი), ცვიტანიჩი (ნიცა), გომისი (ლიონი); 10 - ალესანდრინი (რენი), ბენ ბასატი (ბრესტი/ტულუზი), ბრანდაო (სენტ ეტიენი), მოდესტი (ბასტია), პაიე (ლილი), ჟინიაკი (მარსელი).



პირველ წრეში, 9-კაციანმა „რენმა" ჟულიენ ფერეს (მარცხნივ) და რომენ ალესანდრინის (მარჯვენივ) გოლებით მოიგო

### ლიდერი უხერხული მეტოქის წინააღმდეგ

„ბარსელონასთან" ნაომარი პსჟ ამ ტურში ხვდება „რენს", რომელსაც უკვე 6 მატჩია არ მოუგია და საკმაოდ ცუდ ფორმაშია. **ფრედერიკ ანტონეტის** გუნდს **რომენ ალესანდრინის** ტრავმის შემდეგ გაუჭირდა - ახალგაზრდა ფეხბურთელი „ლილთან" მატჩში დაშავდა, რომელიც „რენმა" 0:2 წააგო. ამის შემდეგ გუნდმა კიდევ ხუთი მატჩი გამართა და მხოლოდ 2 ქულა აიღო (2 ფრე და 3 წაგება).

„პარი სენ ჟერმენს" რენში 2002 წლის იანვრის შემდეგ არ მოუგია. მაშინ, **რონალდინიოს** კარგი თამაშის წყალობით, პარიზელებმა 2:1 იმარჯვეს. იქიდან მოყოლებული, ბრეტანელების მოედანზე 10 თამაში გაიმართა და აქედან 7-ჯერ „რენმა" იძალა, 3 მატჩი კი ფრედ დასრულდა. ამ პერიოდში, პსჟ-მ რენში მხოლოდ 4 გოლის გატანა მოახერხა. ბრეტანელებს იმედი აქვთ, რომ ამ სერიას გააგრძელებენ და ამ იმედს, პირველ რიგში, სტუმართა კალენდარი აძლევთ. შეგახსენებთ, რომ ოთხშაბათს **კარლო ანჩელოტის** გუნდი სათამაშოდ „ნოუ კამპზე" გავა, შესაბამისად, „სტად დე ლა რუტ დე ლორიანზე" იტალიელი სპეციალისტი შერეულ შემადგენლობას გამოიყვანს და რამდენიმე ლიდერს დასვენების საშუალებას მისცემს. დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ **გრეგორი ვან დერ ვილი, მამადუ სახო, ჟერემი მენეზი, კლემან შანტომი** და **კევინ გამეირო** სასტარტო შემადგენლობაში იქნებიან.

„რენის" რიგებში საეჭვოა **ალუ დიარას, კევინ ტეოფილ-კატერინის** და **ჟან ილ მაკუნის** თამაში. ანტონეტის გუნდს ორ კვირაში ლიგის თასის ფინალი ელის („სენტ ეტიენს" დაუპირისპირდება) და ბრეტანული კლუბიც ამ თამაშზე უფრო ფიქრობს, ვიდრე ლიგა 1-ის დარჩენილ ტურებზე.

პირველ წრეში, მიუხედავად იმისა, რომ უკვე 52-ე წუთისთვის „რენი" მოედანზე 9 კაცით იყო (არბიტრმა **ბენუა კოსტილი** და ჟან მაკუნი გააძევა), სტუმრებმა ერთბურთიანი უპირატესობა (2:1) შეინარჩუნეს და სახლში სამი ქულა წაიღეს. პსჟ-ს „რენთან" თამაში არა მარტო სტუმრად, შინაც საკმაოდ უჭირს. ამას შემდეგ სტატისტიკა ადასტურებს: ამ გუნდების ბოლო 12 მატჩიდან პსჟ-მ მხოლოდ 1 მოიგო, 3 ფრედ დაასრულა და 8 წააგო. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, დღეს პარიზელები ფავორიტებად არ უნდა მივიჩნიოთ.

### სენტ ეტიენს მოგება მოენატრა

ცოტა უცნაურია ასეთი რამის თქმა ისეთ გუნდზე, ვისაც 2013 წელს თამაში არ წაუგია, მაგრამ ფაქტია - „სენტ ეტიენმა" ბოლო სამი მატჩი ფრედ დაასრულა და ვერაფრით წამოეწია „ლიონს", ვინც ბოლო 4 მატჩი ვერ მოიგო. ამ ტურში „მწვანეები" „ევიანს" მასპინძლობენ და 3-მატჩიანი მოუგებელი სერიის დასრულებას ეცდებიან. **კრისტოფ გალტიეს ბრანდაოს** იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომელმაც სადისციპლინო კომიტეტისგან 2-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. **მაქს-ალენ გრადელის** და **ჟერემი კლემანის** ტრავმები უკვე დიდი ხნის ამბავია, სამაგიეროდ მწყობრშია **პიერ-ემერიკ ობამეიანი**, ვინც საკუთარი გუნდის ქომაგებმა მარტის თვის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. გაბონელი ფორვარდი შესანიშნავ ფორმაშია - საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო 9 ტურში მის ანგარიშზე 9 გოლია, თანაც ობამეიანმა გატანა 8 შეხვედრაში შეძლო.

კარგ ფორმაშია „ევიანიც", რომელმაც ბოლოს 23 თებერვალს წააგო და ამის გამო გასავარდნი ზონა დატოვა. „ევიანს" 10 დღეში საფრანგეთის თასის 1/4 ფინალი ელის, სადაც შინ პსჟ-ს უნდა დაუპირისპირდეს და ნუ გაგვიკვირდება, თუ სტუმრები აქედანვე იმ შეხვედრაზე იფიქრებენ.

### რუდი გარსიას ჩემპიონთა ლიგა სურს

საფრანგეთის თასის 1/4-ფინალშია გასული „ლორიანიც", რომელიც 16 აპრილს სტუმრად „სენტ ეტიენს" შეხვდება. ამ ტურში კი „ლორიანი" ლილს სტუმრობს და **რუდი გარსიას** შესანიშნავ ფორმაში მყოფ გუნდს ხვდება. „ლილმა" ბოლო 7 მატჩიდან 6 მოიგო (ის ერთი მატჩიც „ევიანთან" წააგო), რის გამოც მე-5 ადგილზე გადავიდა და ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შანსი გაიჩინა. „ძაღლები" არც თასზე თამაშობენ და არც ევროტურნირებზე, შესაბამისად, მთლიანად ლიგა 1-ზე არიან კონცენტრირებულნი, თანაც მომდევნო ტურში „ლილი" ერთ-ერთ კონკურენტ „მარსელს" მასპინძლობს, ასე რომ, მათი ბედი მათივე ხელშია.

### ნიცას და ლიონს რთული გასვლები ელით

ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლი კიდევ ერთი გუნდია „ნიცა", რომელმაც ბოლო 4 თამაშიდან 3 წააგო, ამ ტურში კი სტუმრად „ტულუზს" ეთამაშება. **ალენ კაზანოვას** გუნდი საკმაოდ კარგ ფორმაშია და უკვე 6 ტურია არ წაუგია. შესაძლოა „ტულუზი" უმოტივაციოდ არის, მაგრამ „ნიცას" რთული მატჩი ელის და სამი ქულის აღება ძალიან უნდა გაუჭირდეს.

**რემი გარდის** „ლიონი" კი „რეიმსს" ხვდება, რომელიც გასავარდნ ზონაში მყოფ „ბრესტს" მხოლოდ ორი ქულით უსწრებს. „ლიონმა" ბოლო ორი თამაში წააგო და მესამე ადგილზე ჩამოქვეითდა. თუ ასე გააგრძელა, შესაძლოა გუნდი ჩემპიონთა ლიგაში ვერ მოხვდეს, რაც რემი გარდს ძვირად დაუჯდება - საეჭვოა, გუნდის ხელმძღვანელებმა ახალგაზრდა სპეციალისტს ზედიზედ მეორე სეზონის ჩაგდება აპატიონ. შეგახსენებთ, რომ „ლიონი" შარშან მე-4 ადგილზე გავიდა.

### სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი

ამ ტურში არის ერთი მატჩი, რომლის საბოლოო შედეგმაც შესაძლოა ერთი გუნდი ლიგა 2-ში დაქვეითებისკენ გაწიროს. ნანსიში ერთმანეთს ბოლო ორ ადგილზე მყოფი გუნდი ხვდება. მართალია, „ტრუას" ზედიზედ სამი ტურია არ წაუგია, მაგრამ გუნდი მე-19 პოზიციიდან მე-20 ადგილზე დაეშვა, რადგან უფრო კარგ ფორმაშია „ნანსი", ვინც ბოლო 4 მატჩიდან 3 მოიგო (ის ერთი მატჩიც პსჟ-სთან წააგო, თანაც სტუმრად). აღსანიშნავია, რომ ეს გუნდები ერთმანეთს თასის 1/4-ფინალშიც ხვდებიან, ოღონდ იმ შეხვედრის მასპინძელი „ტრუა" იქნება.

ლიგა 1-ში გამართული ბოლო 5 შეხვედრიდან „ნანსიმ" „ტრუას" 3 მოუგო, 2 კი ფრედ დასრულდა. აქედან ერთი ამ სეზონის პირველი წრის მატჩი იყო, რომელსაც „ნანსი" 3:1-ს იგებდა, მაგრამ ბოლო წუთებზე ორი გოლი გაუშვა და მხოლოდ ქულას დასჯერდა (3:3). თამაშის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ასეთ ლაღ და სანახაობრივ თამაშს არ უნდა ველოდოთ, რადგან სასწორზე პრაქტიკულად ყველაფერია შემოდებული.

### ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი

# სიკვდილის ჯგუფში ინტრიგა მოკვდა

## არსენალს კი ჯგუფიდან გასვლის შანსი გაუჩნდა

**I ჯგუფი. V ტური**

| ნასიონალი-ტოლუკა | 4:0 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 გ. ბუენო (11), 2:0 დამონტე (34), 3:0 ივან ალონსო (74-პენ), 4:0 გ. ბუენო (89).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნასიონალი | 5 | 3 | 1 | 1 | 10-5 | 10 |
| 2. ბოკა | 5 | 3 | 0 | 2 | 5-4 | 9 |
| 3. ტოლუკა | 5 | 1 | 2 | 2 | 5-9 | 5 |
| 4. ბარსელონა | 5 | 0 | 3 | 2 | 4-6 | 3 |

**ბოლო ტური (18 აპრილი):** ბარსელონა-ნასიონალი, ტოლუკა-ბოკა ხუნიორსი.

**III ჯგუფი. V ტური**

| სტრონგესტი-სან პაულო | 2:1 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 ნ. სოლისი (15), 1:1 როჟერიო სენი (44-პენ), 2:1 კრისტალდო (66).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლ. მინეირო | 5 | 5 | 0 | 0 | 16-7 | 15 |
| 2. სტრონგესტ | 5 | 2 | 0 | 3 | 7-8 | 6 |
| 3. სან პაულო | 5 | 1 | 1 | 3 | 6-8 | 4 |
| 4. არსენალი | 5 | 1 | 1 | 3 | 8-14 | 4 |

**ბოლო ტური (18 აპრილი):** არსენალი-სტრონგესტი, სან პაულო-ატლეტიკო მინეირო

**VII ჯგუფი. V ტური**

| ნიუელსი-დეპ. ლარა | 3:1 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 პ. პერესი (4), 2:0 სკოკო (43), 2:1 პერეს გრეკო (79), 3:1 სკოკო (89).

| უნივ. დე ჩილე-ოლიმპია | 0:1 |
|---|---|

**გოლი:** 0:1 რ. ორტისი (50).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპია | 5 | 3 | 1 | 1 | 12-6 | 10 |
| 2. ნიუელსი | 5 | 3 | 0 | 2 | 10-6 | 9 |
| 3. უნივ. დე ჩილე | 5 | 2 | 0 | 3 | 4-7 | 6 |
| 4. დეპ. ლარა | 5 | 1 | 1 | 3 | 6-13 | 4 |

**ბოლო ტური (12 აპრილი):** დეპორტივო ლარა-უნივერსიდად დე ჩილე, ოლიმპია-ნიუელს ოლდ ბოისი.

**ბომბარდირები:** 5 - ბ. როდრიგესი (უაჩიპატო); 4 - ბარეირო (ოლიმპია), ვილიალობოსი (დეპორტეს იკიკე), სკოკო (ნიუელს ოლდ ბოისი); 3 - ავილა (სპორტინგ კრისტალი), ბენედეტო (არსენალი), ბერნარდი (ატლეტიკო მინეირო), რონალდინიო (ატლეტიკო მინეირო), ჟო (ატლეტიკო მინეირო), დიეგო ტარდელი (ატლეტიკო მინეირო), გერერო (კორინთიანსი), ლაიხტვაისი (დეპორტეს ტოლიმა), ა. პენია (კარაკასი), საუსედო (სან ხოსე), ივან ალონსო (ნასიონალი).

ლიბერტადორესის თასის გუშინდელმა შეხვედრებმა ორ ჯგუფში ინტრიგა პრაქტიკულად მოკლა, ერთში კი გაალვივა.

I ჯგუფში „ნასიონალმა" „ტოლუკას" უმასპინძლა და პირველი წრის მსგავსად, ამჯერადაც მოუგო. ურუგვაელები მთელი შეხვედრის განმავლობაში დომინირებდნენ, რაც საბოლოო ანგარიშშიც აისახა. მორიგი, უკვე მესამე გოლი გაიტანა **ივან ალონსომ**, ვინც ბომბარდირთა დავაში გაერია. დუბლი შეასრულა 20 წლის **გონსალო ბუენომ**, ერთი ბურთი კი გამოცდილმა არგენტინელმა **ისრაელ დამონტემ** გაიტანა. საბოლოოდ, 4:0 და ამ ჯგუფიდან მომდევნო ეტაპზე „ნასიონალი" და „ბოკა ხუნიორსი" გააგრძელებენ ასპარეზობას. გასარკვევია პირველი ადგილის მფლობელის ვინაობა, რასაც, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს.

კიდევ ერთი შესანიშნავი მატჩი ჩაატარა ბოლივიურმა „სტრონგესტმა", თან ამჯერად ქულების აღებაც მოახერხა. აქამდეც არაერთხელ გვითქვამს, რომ ბოლივიელები სასიამოვნოდ კარგად თამაშობდნენ და შინ თუ გარეთ, ყველგან ბოლომდე იბრძოდნენ. ამჯერად, ლა პასში გამართული შეხვედრა მათთვის წარმატების მომტანი აღმოჩნდა და ამ გამარჯვების წყალობით, ბოლო ტურის წინ „სტრონგესტი" ჯგუფში მეორე ადგილზე გადავიდა. ბოლივიაში დაფიქსირებული შედეგით ყველაზე მეტად სარანდის „არსენალმა" გაიხარა, რომელსაც ჯგუფიდან გასვლის საკმაოდ კარგი შანსი გაუჩნდა. აქ ყველაფერი ბოლო ტურში გადაწყდება.



იგნასიო სკოკოს ვერც არგენტინაში აჩერებენ, ვერც ლიბერტადორესის თასზე

მნიშვნელოვანი მატჩები მოიგეს „ოლიმპიამ" და „ნიუელს ოლდ ბოისმა". პარაგვაელებმა სტუმრად „უნივერსიდად დე ჩილე" დაამარცხეს და 1/8-ფინალის საგზური გაინაღდეს, **ხერარდო მარტინოს** გუნდმა კი „დეპორტივო ლარას" სძლია და მომდევნო ეტაპის საგზური 90 პროცენტით გაინაღდა. იმისთვის, რომ ჯგუფში ჩარჩეს, „ნიუელსმა" ბოლო ტურში უმოტივაციო „ოლიმპიასთან" უნდა წააგოს, ხოლო „უნივერსიდად დე ჩილემ" „დეპორტივო ლარას" ასტრონომიული ანგარიშით მოუგოს. მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად სავარაუდოდ გვეჩვენება.

მორიგი გოლები გაიტანა **იგნასიო სკოკომ**, ვინც დუბლი შეასრულა და ახლა მის ანგარიშზე 4 გოლია. 28 წლის არგენტინელი შესანიშნავად თამაშობს და მიუხედავად იმისა, რომ არგენტინის ნაკრებში თავდამსხმელის პოზიციაზე არანორმალური კონკურენციაა, სკოკო ყოველ თამაშში ამტკიცებს, რომ მისი გამოძახება სერიოზულ შეხვედრებშიც შეიძლება. პრინციპში, **ერნან ბარკოსზე** ცუდად ნამდვილად არ უნდა ითამაშოს...

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XXX ტურის წინ

# მარსელო მეცხრე ცაზე

## ლეო მესი 19-ზე გაჩერდება

**შენიშვნა:** + მოგება, = ფრე, - წაგება () ბურთების სხვაობა

**შენიშვნა:** ურთიერთშეხვედრები ჩემპიონატისა და თასის მატჩები 1994 წლიდან

**გრანადა-ბეტისი 1:5**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 29 | 24 | 3 | 2 | 90-33 | 75 |
| 2. რეალი | 29 | 19 | 5 | 5 | 72-28 | 62 |
| 3. ატლეტიკო | 29 | 19 | 4 | 6 | 51-25 | 61 |
| 4. სოსიედადი | 29 | 13 | 9 | 7 | 51-37 | 48 |
| 5. მალაგა | 29 | 13 | 8 | 8 | 41-28 | 47 |
| 6. ბეტისი | 30 | 14 | 5 | 11 | 44-43 | 47 |
| 7. ვალენსია | 29 | 13 | 7 | 9 | 42-41 | 46 |
| 8. ხეტაფე | 29 | 12 | 7 | 10 | 38-44 | 43 |
| 9. ვალეკანო | 29 | 13 | 2 | 14 | 38-49 | 41 |
| 10. ლევანტე | 29 | 11 | 7 | 11 | 34-41 | 40 |
| 11. სევილია | 29 | 11 | 5 | 13 | 43-41 | 38 |
| 12. ესპანიოლი | 29 | 9 | 9 | 11 | 35-39 | 36 |
| 13. ვალიადოლიდი | 29 | 9 | 8 | 12 | 37-41 | 35 |
| 14. ბილბაო | 29 | 10 | 5 | 14 | 33-51 | 35 |
| 15. ოსასუნა | 29 | 8 | 7 | 14 | 26-33 | 31 |
| 16. გრანადა | 30 | 7 | 7 | 16 | 27-45 | 28 |
| 17. სარაგოსა | 29 | 7 | 6 | 16 | 26-43 | 27 |
| 18. სელტა | 29 | 6 | 6 | 17 | 29-43 | 24 |
| 19. მალიორკა | 29 | 6 | 6 | 17 | 32-58 | 24 |
| 20. დეპორტივო | 29 | 5 | 8 | 16 | 35-61 | 23 |

**ბომბარდირები:** 43 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 28 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 22 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 15 - ალვარო ნეგრედო (სევილია); 14 - რობერტო სოლდადო (ვალენსია).

### 6 აპრილი

**სოსიედადი-მალაგა 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** პრიეტო (?), ბრავო (?), კასტრო (?), ველა (?) - ელიზეუ

ბოლო 6 მატჩი
+3=3-0 +2=2-2
ურთიერთშეხვედრები
**სულ 23 თამაში: +12=5-6, (40-30)**

**რეალი-ლევანტე 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** ნავარო (ლევ)
**ტრავმა:** არავინ

ბოლო 6 მატჩი
+5=1-0 +1=4-1
ურთიერთშეხვედრები
**სულ 13 თამაში: +9=1-3, (34-10)**

**დეპორტივო-სარაგოსა 22:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ლაურე - ალამო, ობრადოვიჩი, სუკულინი

ბოლო 6 მატჩი
+2=1-3 +0=3-3
ურთიერთშეხვედრები
**სულ 33 თამაში: +13=10-10, (48-44)**

**ბარსელონა-მალიორკა 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** ვალდესი - ჟერომელი
**ტრავმა:** მესი, მასკერანო, პუიოლი, პედრო, ადრიანო - ჟ. ვიქტორი, ალვარო, არისმენდი (?); ლოპესი

ბოლო 6 მატჩი
+4=1-1 +2=0-4
ურთიერთშეხვედრები
**სულ 33 თამაში: +21=5-7, (66-30)**

### 7 აპრილი

**სელტა-ვალეკანო 14:00**

**დისკვალიფიკაცია:** ასპასი (სელ)
**ტრავმა:** ლიორკა, ალვარესი, ტუნიესი, მალიო - ტამუდო, როდრი

ბოლო 6 მატჩი
+1=1-4 +1=1-4
ურთიერთშეხვედრები
**სულ 21 თამაში: +5=7-9, (19-25)**

**ოსასუნა-ესპანიოლი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** სანჩესი (ესპ)
**ტრავმა:** სისი, ლო - კაპდევილა (?)

ბოლო 6 მატჩი
+3=0-3 +2=2-2
ურთიერთშეხვედრები
**სულ 25 თამაში: +12=5-8, (33-25)**

**ხეტაფე-ატლეტიკო 21:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ტორესლი, ლოპესი, ესკუდერო (?), მოია - არდა თურანი

ბოლო 6 მატჩი
+4=2-0 +3=2-1
ურთიერთშეხვედრები
**სულ 21 თამაში: +4=6-11, (17-32)**

**ვალენსია-ვალიადოლიდი 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** სოლდადო (?), რუისი (?) - ებერტი (?), პერესი (?), ლარსონი (?)

ბოლო 6 მატჩი
+2=3-1 +1=2-3
ურთიერთშეხვედრები
**სულ 29 თამაში: +12=8-9, (42-31)**

### 8 აპრილი

**სევილია-ბილბაო 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** ნავასი - სუსაეტა
**ტრავმა:** ტროხოვსკი, პეროტი, კამპანია - ამორებიეტა (?), გალარეტა, პერესი

ბოლო 6 მატჩი
+3=0-3 +3=0-3
ურთიერთშეხვედრები
**სულ 35 თამაში: +16=10-9, (56-39)**

**წინა ტურში პირველ ოთხ ადგილზე განლაგებულმა გუნდებმა ფრედ ითამაშეს და სტატუს-კვო შეინარჩუნეს. ლიდერი „ბარსელონა" ბალეარულ „მალიორკას" მასპინძლობს, რომელსაც გასავარდნად აქვს საქმე. ჩემპიონი „რეალი" კი ვალენსიურ „ლევანტეს" დაუხვდება, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩა შანსი, იბრძოლოს ევროპალიგის საგზურისთვის. წინასწარ არავინ იცის, რა მოხდება ტურში, მაგრამ ერთი რამ ცხადია - წინა ტურში შეკრული ჯადოსნური წრე აქ გაწყდება, ზედიზედ 19 ტურში გატანის შემდეგ ლეო მესი იმ უბრალო მიზეზის გამო ვერ მოახერხებს მე-20-ედაც გატანას, რომ ტრავმირებულია...**

### აბიდალის შანსი

„მალიორკასთან" მატჩის წინ მედიას ისევ **ჟორდი როურა** წარუდგა, რომელიც კვლავ ითავსებს **ტიტო ვილანოვას** გარკვეულ ფუნქციებს, რადგან ტიტო ჯერაც სუსტად არის. ასისტენტმა გამორიცხა **მესის** მონაწილეობა კუნძულელებთან მატჩში, მან ისიც დააყოლა, რომ ჯერ გარკვეული არც ისაა, შეძლებს თუ არა არგენტინელი „პარი სენ-ჟერმენთან" საპასუხო მატჩში მონაწილეობას, სამაგიეროდ, არის შანსი, რომ წელიწადზე მეტი ხნის მერე პირველად ვიხილოთ მოედანზე **ერიკ აბიდალი** - კაცი, რომელმაც ღვიძლი გადაინერგა, აცხადებს, რომ მზადაა. როურამ თქვა: *„ამის შანსი მართლაც არსებობს, ტიტოსთან ერთად გადავწყვეტთ, ითამაშებს თუ არა ერიკი".*

ვილანოვასა და როურას მართლაც მოუმრავლდათ საკადრო პრობლემები, თუმცა, წესით, „მალიორკას" გამოხშირული „ბარსელონაც" უნდა ეყოს, იმდენად უსუსურად თამაშობს ბოლო დროს ბალეარული გუნდი.

ახლა რაც შეეხება „ბარსას" პრობლემებს - მესის გარეშე დარჩენილ გუნდს **პედრო როდრიგესი** დროულად ვერ გამოუჯანმრთელდა, ძალიან მცირეა შანსი, რომ ფორვარდმა თუნდაც განაცხადში დაიმკვიდროს ადგილი. **ვიქტორ ვალდესი** 4-მატჩიანი დისკვალიფიკაციის ბოლო მატჩს ტოვებს. მაგრამ ყველაზე დიდი გაუგებრობა დაცვაშია - გუნდს არ ეყოლება **კარლეს პუიოლი**, **ხავიერ მასკერანო** და **ადრიანო**. ასეთ პირობებში, მართლა არ გამოვრიცხავთ, რომ მეორე ტაიმში აბიდალისთვისაც გამოიძებნოს დრო. სავარაუდოდ, **ჟერარდ პიკეს** დაცვის ცენტრში ახალგაზრდა **მარკ ბარტრა** შეუწყვილდება, ფლანგებზე კი **დანი ალვეში** და **მარტინ მონტოია** იმოქმედებენ.

„მალიორკა" ბრაზილიელი მცველის, **პედრო ჟერომელის** გარეშე ითამაშებს, რადგან ეს უკანასკნელი დისკვალიფიცირებულია (მე-10 ყვითელი ბარათი სეზონში). სამაგიეროდ, გუნდს უბრუნდებიან **კევინ გარსია** და **პედრო ბიგასი**.

* ლა ლიგაში „ბარსელონამ" ზედიზედ ბოლო 10 მატჩი მოიგო.

* კატალონიური გუნდი ლეო მესის გარეშეც ბრწყინვალედ თამაშობს. 14 ასეთი თამაშიდან „ბარსელონამ" 13 მოიგო და ერთი ფრედ დაასრულა.

* „ბარსელონამ" „მალიორკას" ბოლო 4 მატჩი მოუგო, ბურთების შეფარდებით 14:2.

* „მალიორკამ" „ლა ლიგაში" ბოლო 6 საგარეო მატჩიდან 5 წააგო.

* „მალიორკაზე" მეტი გოლი მხოლოდ ბოლოადგილოსანმა „დეპორტივომ" გაუშვა - 58 და 61.

* ბოლო 4 შეხვედრაში „მალიორკას" რიგებში 4-ჯერ გამოიჩინა თავი **ალეხანდრო ალფარომ.**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბარსელონა:** *პინტო - დ. ალვეში, პიკე, ბარტრა, მონტოია - ტ. ალკანტარა, სონგი, ფაბრეგასი - ა. სანჩესი, ვილია, ტელიო.*

**მალიორკა:** *ავატე - ჰატონი, ნუნიეში, ბიგასი, ლუნა - პინა, ტისონე, მარტი - ალფარო, ვიქტორი, ჯოვ. დოს სანტოსი.*

### ზედიზედ მეშვიდე გამარჯვებისთვის

„ლოს მერენგესის" ერთი წევრი განსაკუთრებული განწყობით ხვდება „ლევანტესთან" მატჩს - 24 წლის ბრაზილიელ **მარსელოს** კლუბმა ხელშეკრულება 2018 წლამდე გაუგრძელა (2015-ში უსრულდებოდა). პირობებიც შეიცვალა და ახლა მარსელო სეზონში 4 მილიონ ევროს მიიღებს გასამრჯელოდ, რაც ლამის ერთიორად მეტია აქამდელ ხელფასზე. მოკლედ, „რეალმა" ამ ხელშეკრულებით ნათლად დაგვანახა, რომ მომავალში დაცვის მარცხენა ფრთაზე კლუბი აქცენტს მარსელოზე გააკეთებს. შეგახსენებთ, რომ კიდევ ერთი მარცხენა მცველი კლუბში **ფაბიო კოენტრაოა.**

თუკი **ჟოზე მოურინიოს** გუნდი „ლევანტეს" დაამარცხებს, ეს ლა ლიგაში „რეალის" ზედიზედ მე-7 საშინაო გამარჯვება იქნება. მართალია, „გალათასარაისთან" საპასუხო მატჩი თითქმის ფორმალობაა, მაგრამ ჟოზე მაინც მისცემს ლიდერებს დასვენების საშუალებას. ასე რომ, შემადგენლობაში შეიძლება გამოჩნდნენ **არბელოა, კაკა,** მარსელო და **პეპე.**

„ლევანტეს" ნახევარმცველი **ვალდო** გამოუჯანმრთელდა, მაგრამ ბრაზილიელი სათადარიგოთა სკამს დასჯერდება. **დავიდ ნავარო** დისკვალიფიცირებულია.

* მადრიდის „რეალმა" ბოლო 8 შეხვედრიდან (ყველა შეჯიბრში) 7 მოიგო.

* ლა ლიგაში ბოლო 8 შეხვედრაში „რეალმა" კარი მშრალად მხოლოდ ერთხელ შეინარჩუნა.

* „სანტიაგო ბერნაბეუზე" **კრიშტიანო რონალდომ** 94 მატჩი ითამაშა და 106 გოლი გაიტანა.

* ბოლო ტურში „ლევანტემ" 7-მატჩიანი მოუგებელი სერია, „სევილიას" 1:0 დამარცხებით შეწყვიტა.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**რეალი:** *დ. ლოპესი - არბელოა, პეპე, ალბიოლი, მარსელო - ესიენი, მოდრიჩი - კალეხონი, კაკა, რონალდო - ბენზემა.*

**ლევანტე:** *მუნუა - ლელი, ბალესტეროსი, ვინტრა, ხუანფრანი - დიოპი, იბორა - რიოსი, ბარკერო, რუბენ გარსია - აკვაფრესკა.*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



მარსელომ „რეალთან" 2018 წლამდე გაახანგრძლივა კონტრაქტი

## ამბები

### პრობლემები ოლდ ტრეფორდზე

ცხადია, „მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელობას სიამოვნებს, რომ „ოლდ ტრეფორდზე" ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში დასწრება სტაბილურად მაღალ დონეზეა, მაგრამ, მეორე მხრივ, „ოცნებათა თეატრში" სულ უფრო მეტი უცხოელი და კორპორატიული კლიენტი დადის, რისი წყალობითაც ტრიბუნებზე ხმაურმა თვალში საცემად იკლო. ამ დღეებში კლუბმა სტადიონზე სპეციალისტები მიიწვია, რომლებიც აკუსტიკის გაძლიერებაზე იზრუნებენ. მათ დასკვნის დასადებად გარკვეული დრო დასჭირდებათ, რის შემდეგ გეგმა შედგება და მუშაობა დაიწყება.

### რაიტ ფილიპსმა სეზონი დაასრულა

„ქუინზ პარკის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, 31 წლის გარემარბმა **შონ რაიტ ფილიპსმა** კოჭის წვივ-სახსრის ტრავმა მარტის დასაწყისში ვარჯიშზე მიიღო და მას შემდეგ არ უთამაშია. ექიმები ელოდებოდნენ, რომ ვეტერანის ჯანმრთელობის მდგომარეობა ეტაპობრივად გაუმჯობესდებოდა, მაგრამ რაკი პროგრესმა დაახანა, ოპერაცია დაიგეგმა. ცხადია, რომ ფეხბურთელისთვის სეზონი დასრულებულია. *„ძალიან გვინდოდა, რომ ის ბოლომდე დაგვხმარებოდა, მაგრამ სიტუაცია უკვე კრიტიკული იყო. შონი ვარჯიშსაც ველარ ახერხებდა. ტკივილი უკვე აუტანელი იყო და ექიმებმა ქირურგიული ჩარევა აუცილებლად მიიჩნიეს,"* - განაცხადა „რეინჯერების" თავკაცმა **ჰარი რედნაპმა.**

### კიდევ ერთხელ უარყვეს

„ლივერპულის" თავდამსხმელმა **ფაბიო ბორინიმ** მიმდინარე სეზონში „ენფილდზე" საკუთარი პოტენციალი ვერ გამოავლინა. 22 წლის თავდამსხმელს ამაში ადაპტაციის გაჭიანურებულმა პროცესმა და ორმა სერიოზულმა ტრავმამ შეუშალა ხელი. „სკუადრა აძურას" კანდიდატს იტალიური პრესა სამშობლოში დაბრუნებას უწინასწარმეტყველებს. ფეხბურთელის აგენტმა **მარკო დე მერჩიმ** კიდევ ერთხელ უარყო ეს ვერსია და დაადასტურა, რომ მისი კლიენტი „ლივერპულში" რჩება.

### სანია ლონდონიდან მიდის

„არსენალის" 30 წლის ფრანგი მცველი **ბაკარი სანია** „ემირიტსზე" ერთ-ერთ ყველაზე სუსტ სეზონს ატარებს. ტრადიციულად მას ტრავმები წელსაც აწუხებდა, მაგრამ ამ გარემოებას ყველაფერს ვერ დავაბრალებთ. ამას დაუმატეთ, რომ „მეთოფეების" რიგებში **კარლ ჯენკინსონი** გამოჩნდა. ვეტერანი რეალური საშიშროების წინაშე დადგა, რომ სათადარიგო ფეხბურთელად ქცეულიყო. თანაც მის კონტრაქტს ვადა 2014 წლის ზაფხულზე ვადა გასდის, კლუბი კი თანამშრომლობის გაგრძელებას არ სთავაზობს. ერთი სიტყვით, ბაკარიმ ყველაფრის გათვალისწინებით წასვლა გადაწყვიტა. სამშობლოში პსჟ მას სარფიან კონტრაქტს სთავაზობს. პარიზელებს ფეხბურთელის კონტრაქტის გამოსყიდვა 8 მილიონ ფუნტად შეუძლიათ. თუკი გარიგება შედგა, **არსენ ვენგერი** კონკურენციის შენარჩუნების მიზნით „სოშოდან" **სებასტიენ კორშიას** შეიძენს. 22 წლის განაპირა მცველი 5 მილიონად არის შეფასებული.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

გერმანია. ბუნდესლიგა. XXVIII ტურის წინ

# ბაიერნის ბედი ბაიერნის ხელშია

## მოგება ფრანკფურტში და სინს მიუნხენში ჩაიტანენ

**ჰოფენჰაიმი–ფორტუნა 3:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 27 | 23 | 3 | 1 | 78-13 | 72 |
| 2. დორტმუნდი | 27 | 15 | 7 | 5 | 62-32 | 52 |
| 3. ლევერკუზენი | 27 | 14 | 6 | 7 | 50-35 | 48 |
| 4. შალკე | 27 | 12 | 6 | 9 | 46-43 | 42 |
| 5. აინტრახტი | 27 | 12 | 6 | 9 | 42-39 | 42 |
| 6. მაინცი | 27 | 10 | 9 | 8 | 34-30 | 39 |
| 7. ფრაიბურგი | 27 | 10 | 9 | 8 | 35-33 | 39 |
| 8. გლადბახი | 27 | 9 | 11 | 7 | 35-37 | 38 |
| 9. ჰამბურგი | 27 | 11 | 5 | 11 | 32-43 | 38 |
| 10. ჰანოვერი | 27 | 11 | 4 | 12 | 49-46 | 37 |
| 11. ნიურნბერგი | 27 | 8 | 11 | 8 | 31-34 | 35 |
| 12. ვოლფსბურგი | 27 | 8 | 8 | 11 | 32-42 | 32 |
| 13. შტუტგარტი | 27 | 9 | 5 | 13 | 29-46 | 32 |
| 14. ვერდერი | 27 | 8 | 7 | 12 | 43-52 | 31 |
| 15. ფორტუნა | 28 | 7 | 8 | 13 | 33-43 | 29 |
| 16. აუგსბურგი | 27 | 5 | 9 | 13 | 23-40 | 24 |
| 17. ჰოფენჰაიმი | 28 | 6 | 5 | 17 | 33-52 | 23 |
| 18. ფიურტი | 27 | 2 | 9 | 16 | 18-45 | 15 |

**ბომბარდირები:** 20 - ლევანდოვსკი (დორტმუნდი); 18 - კისლინგი (ლევერკუზენი); 15 - მანჯუკიჩი (ბაიერნი); 13 - მაიერი (აინტრახტი), სალაი (მაინცი); 12 - იბიშევიჩი (შტუტგარტი), თ. მიულერი (ბაიერნი).

### 6 აპრილი

**დორტმუნდი–აუგსბურგი 17:30**

**ტრავმა:** ოვომოიელა - იენტცში, ფიპლი, კოო

ბოლო 6 მატჩი

+4=1-1 +3=0-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 3 თამაში: +2=1-0, (7:1)

**გლადბახი–ფიურტი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** შტრანცლი, დემსი (ორივე გლადბახი)

**ტრავმა:** ჰეფელე, შმიდტგალი, შტიბერი (ყველა ფიურტი)

ბოლო 6 მატჩი

+2=2-2 +0=3-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 1 თამაში: +1=0-0, (4:2)

**ლევერკუზენი–ვოლფსბურგი 17:30**

**ტრავმა:** თოფრაქი, ბელარაბი - პერიშიჩი, პილარი

ბოლო 6 მატჩი

+3=1-2 +1=3-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 31 თამაში: +16=4-11, (57:44)

**ვერდერი–შალკე 17:30**

**ტრავმა:** ვოლფი, შმიტცი, ფრიტცი, იუნუზოვიჩი, ფიულკრუგი - უნერშტალი, კ. პაპადოპულოსი, აფელაი, ბარნეტა, ჯონსი, ჰუნტელაარი, ობასი

ბოლო 6 მატჩი

+0=3-3 +4=1-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 87 თამაში: +38=18-31, (127:101)

**აინტრახტი–ბაიერნი 17:30**

**ტრავმა:** ტრაპი - ბადშტუბერი, კროოსი, ვაინრაუხი

ბოლო 6 მატჩი

+1=2-3 +6=0-0

ურთიერთშეხვედრები

სულ 83 თამაში: +21=20-42, (110:158)

**ჰამბურგი–ფრაიბურგი 20:30**

**დისკვალიფიკაცია:** ბაისტერი (ჰამბურგი)

**ტრავმა:** ლამი, ილიჩევიჩი - კალვენტე, მაკიადი, ფრაისი

ბოლო 6 მატჩი

+2=1-3 +2=2-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 27 თამაში: +12=9-6, (45:23)

### 7 აპრილი

**ნიურნბერგი–მაინცი 17:30**

**ტრავმა:** მარკოს ანტონიო, გებჰარტი, ჰლუშეკი, ნგანკამი - ბუნგერტი, მ. კალიჯური, რუკავიცა, კლასნიჩი

ბოლო 6 მატჩი

+2=4-0 +1=5-0

ურთიერთშეხვედრები

სულ 13 თამაში: +3=3-7, (15:20)

**ჰანოვერი–შტუტგარტი 19:30**

**დისკვალიფიკაცია:** ნიდერმაიერი, ჰარნიკი (შტუტგარტი)

**ტრავმა:** ეგიმანი, ანდრეასენი, ფრანკა, ჰუსტი, შტინდლი - ბა, დიდავი, კაკაუ, თორუნი

ბოლო 6 მატჩი

+2=2-2 +2=1-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 47 თამაში: +18=7-22, (72:82)

**„ბაიერნს" გერმანიის ჩემპიონობა ჯერ კიდევ არ გაუნაღდებია და შესაბამისად, ბუნდესლიგის 28-ე ტურის მთავარი თემა კვლავ რეკორდმაისტერის შესაძლო ნაადრევი ჩემპიონობაა. მიუნხენელები „ვერცხლის სინის" ოფიციალურად დასაკუთრებასთან ახლა უკვე ძალიან ახლოს არიან - თუკი წინა ტურში „ბაიერნის" გაჩემპიონება დორტმუნდის „ბორუსიას" თამაშსა და შედეგზე იყო დამოკიდებული, ახლა „ბაიერნის" ბედი „ბაიერნის" ხელშია: თუ იუპ ჰაინკესის გუნდი ფრანკფურტში მოიგებს, გერმანიის ჩემპიონი გახდება (მნიშვნელობა აღარ აქვს, როგორ ითამაშებს დორტმუნდი აუგსბურგთან) და შეგახსენებთ, რომ ორი წელია, ბავარიული გრანდს ჩემპიონობა არ ღირსებია. სხვა მხრივ, რა თქმა უნდა საინტერესოა ევროსაგზურებისთვის ბრძოლაც: მე-4, მე-5 და მე-6 ადგილების დაკავების პრეტენზია ერთდროულად შვიდ გუნდს აქვს.**



„ბაიერნმა" ნინა ტურში „ჰამბურგი" 9:2 გაანადგურა, სამშაბათს კი, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის პირველ რაუნდში „იუვენტუსი" 2:0 დაამარცხა

### აუგსბურგის შანსი

ამრიგად, დიდი შანსია, რომ დორტმუნდის „ბორუსიას" მოქმედ ჩემპიონად მოხსენიება უკანასკნელად გვიხდებოდეს. **იურგენ კლოპის** გუნდი დღეს მე-16 ადგილზე მყოფ „აუგსბურგს" მასპინძლობს და შეგახსენებთ, რომ „ბორუსიამ" ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „მალაგასთან" პირველი ბრძოლა (0:0) გადაიტანა. აუგსბურგელები გადარჩენისთვის გააფთრებით იბრძვიან და ამ ტურში შედარებით კომფორტულ მდგომარეობაში არიან, რადგან უშუალო კონკურენტებმა, „ჰოფენჰაიმმა" და „ფორტუნამ" გუშინ ითამაშეს, რაც იმას ნიშნავს, რომ აუგსბურგელებს ან მე-17 ადგილოსანთან უპირატესობის გაზრდის შანსი მიეცემათ, ანაც „ფორტუნასთან" მიახლოების შანსი გაუჩნდებათ. თუმცა ამ შანსის გამოსაყენებლად დორტმუნდში წარმატების მიღწევაა საჭირო.

*„დასაკარგი არაფერი გვაქვს, მაქსიმუმი უნდა გავაკეთოთ,"* - აცხადებს „აუგსბურგის" მენეჯერი **შტეფან როიტერი**, რომელიც, სხვათა შორის, ყოფილი და თამამად შეიძლება ითქვას, ლეგენდარული დორტმუნდელია...

### გლადბახი: არანგოსთან ერთად ევროპისკენ?

მიონხენგლადბახის „ბორუსიამ" შარშან ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა, თუმცა ჯგუფურ ეტაპზე ვერ მოხვდა. „გლადბახს" არც წელს დაუკარგავს მეოთხე ადგილის დაკავების შანსი - **ლუსიენ ფავრის** ბიჭები „შალკეს" და „აინტრახტს" 4 ქულით ჩამორჩებიან. თუმცა „გლადბახის" პროგრამა მინიმუმი საუკეთესო ექვსეულში მოხვედრაა. ფავრის გუნდი ახლა მე-8 ადგილზეა და ამ სეზონში არაერთხელ იყო ექვსეულში ადგილის დამკვიდრებასთან ახლოს, მაგრამ მიონხენგლადბახელებს წელს სტაბილურობა აკლიათ, რის გამოც ახლა მდევრის როლში არიან. ამჯერად „ბორუსიას" მეტოქე აუტსაიდერი „ფიურტია", რომელიც ცალი ფეხით უკვე მეორე ბუნდესლიგაშია და შესაბამისად, „გლადბახს" სამი ქულის მოპოვება ნესით არ უნდა გაუჭირდეს. ფავრს **დემსი** და **შტრანცლი** ჰყავს დისკვალიფიცირებული. სამაგიეროდ, ბრუნდება **ხუან არანგო.**

### კისლინგი და დიეგო ყურადღების ცენტრში

„ლევერკუზენს" მესამე ადგილს ალბათ ველარავინ წაართმევს, რაც „ბაიერნისთვის" წარმატებაა, მაგრამ „ფარმაცევტებს" მაინც ემოციებით დატვირთული კვირა ჰქონდათ. გადაწყდა, რომ მომდევნო სეზონში გუნდს **სამი ჰიიპიასა** და **საშა ლევანდოვსკის** დუეტი კი აღარ უხელმძღვანელებს, არამედ მთავარი მწვრთნელი ერთპიროვნულად ჰიიპია იქნება, ლევანდოვსკი კი მოყვარულთა გუნდში დაბრუნდება. ამასთან, არ წყდება საუბრები იმის შესახებ, რომ **ანდრე შიურლეს** გადაბირება „ჩელსის" უნდა, **ლარს ბენდერით** კი ლონდონის „არსენალია" დაინტერესებული. „ვოლფსბურგთან" საშინაო მატჩში ლევერკუზენელები შეეცდებიან, რომ წინა პლანზე ისევ სპორტული მხარე წამოსწიონ და პირველ რიგში **შტეფან კისლინგის** იმედი აქვთ, რომელმაც ამ სეზონში ანგარიში 9-ჯერ გახსნა, ჯამში კი 18 გოლი აქვს გატანილი და ბუნდესლიგის ბომბარდირთა დავაში დორტმუნდელ **რობერტ ლევანდოვსკის** (20 გოლი) ერთადერთი სერიოზული კონკურენტია. „ვოლფსბურგში" კი ლამის ყველაფერი **დიეგოზეა** დამოკიდებული: ბრაზილიელი გამთამაშებლის გარეშე „მგლებს" ბევრი არაფერი გამოსდით ხოლმე. სხვათა შორის, ბუნდესლიგაში თამაშის წესები ყველაზე ხშირად სწორედ 28 წლის დიეგოს წინააღმდეგ ირღვევა (96 ფოლი).

### შალკეს მიზანი მეოთხე ადგილია

27 ტურის შემდეგ ყველაზე მეტი გოლი „ვერდერის" კარშია გასული (52) და ლოგიკურია, რომ ბრემენული კლუბი მე-14 ადგილზეა. ერთი-ორი წარუმატებლობა და შესაძლოა, „ვერდერს" მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხეც დაემუქროს. თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის, რომ **თომას შააფის** გუნდს სამმატჩიანი წაუგებელი სერია აქვს - სხვა საქმეა ის, რომ „მუსიკოსებმა" ეს სამივე მატჩი ფრედ დაასრულეს, მოგებით კი, ექვსი ტურია არ მოუგიათ. დღეს „ვერდერი" იმ „შალკეს" მასპინძლობს, რომელიც საუკეთესო ოთხეულში მოსახვედრად, ანუ, ჩემპიონთა ლიგის მეოთხე საგზურისთვის იბრძვის და შეგახსენებთ, რომ პირველ წრეში, გელზენკირხენში „შალკემ" მოიგო (2:1) და ბარემ იმასაც გაგახსენებთ, რომ იმ შეხვედრაში პირველი ტაიმი ბრემენელებმა მოიგეს...

### გაინაღდებს ბაიერნი ჩემპიონობას?

თავი დავანებოთ იმას, რომ „ბაიერნს" 2013 წელს ყველა შეხვედრა მოგებული აქვს, „ჰამბურგთან" 9:2-მა და „იუვენტუსთან" 2:0-მა მთელი ევროპა კიდევ ერთხელ დაარწმუნა იმაში, რომ რეკორდმაისტერი ზღაპრულ ფორმაშია. დიდი ხანია ცხადია, რომ რეკორდმაისტერის ჩემპიონობას წყალი არ გაუვა - საინტერესო მხოლოდ ისაა, როდის გაინაღდებენ მიუნხენელები „ვერცხლის სინის" დაბრუნებას. წინა ტურისგან განსხვავებით, ახლა „ბაიერნის" ბედი „ბაიერნის" ხელშია - **ჰაინკესის** გუნდი ფრანკფურტის „აინტრახტს" სტუმრობს და მოგების შემთხვევაში ორწლიანი პაუზის შემდეგ გაჩემპიონდება. თუმცა **არმინ ფეეს** „აინტრახტი" იოლად დასამარცხებელი მეტოქე არც თვით „ბაიერნისთვისაა". ფრანკფურტელებს მეოთხე ადგილის დაკავებისა და ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის სენსაციური შანსი აქვს, პროგრამა მინიმუმი კი ექვსეულში მოხვედრა და ევროპალიგის საგზურის მოპოვებაა.

### ჰამბურგის პირველი თამაში 2:9-ის შემდეგ

მიუხედავად იმისა, რომ წინა ტურში „ბაიერნთან" ისტორიულად სამარცხვინო მარცხი (2:9) განიცადა, ექვსეულში მოხვედრისთვის „ჰამბურგიც" იბრძვის. მეკარე **რენე ადლერმა** თქვა, ასეთი წაგების შემდეგ ევროპალიგაზე საუბარი სირცხვილიაო, მაგრამ ფაქტია, რომ ჩრდილოგერმანელები მიზნად სწორედ ექვსეულში მოხვედრას ისახავენ და დღეს ამ ბრძოლაში უშუალო კონკურენტ „ფრაიბურგს" (მე-7 ადგილი) მასპინძლობენ. ასე რომ, თუ „ჰამბურგმა" „ფრაიბურგი" დაამარცხა, ამით ფანებს გარკვეულწილად მოუბოდიშებს.

### ნიურნბერგი ნეიტრალურ ზონაში

„ნიურნბერგი" მე-11 ადგილზეა და შეიძლება ითქვას, რომ ფრანკები ნეიტრალურ ზონაში არიან, რადგან ევროზონას 4 ქულით ჩამორჩებიან (რაც ბევრი არაა, მაგრამ კონკურენტია ბევრი), სარელეგაციო მე-16 ადგილს კი 11 ქულით უსწრებენ. ამასთან, ფრანკებს საკუთარ მოედანზე ათმატჩიანი წაუგებელი სერია აქვთ. „ნიურნბერგის" მეტოქე „მაინცი" კი სწორედ ევროზონაში მოხვედრისთვის გაჩაღებულ ბრძოლაშია ჩაბმული და 7 ტურია, არ დამარცხებულა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ „მაინცმა" ამ შვიდი შეხვედრიდან ერთი მოიგო და 6 (!) ფრედ დაასრულა, ბოლო 4 შეხვედრაში კი **თომას ტუხელის** გუნდმა მხოლოდ სამი გოლი გაიტანა...

### შტუტგარტი ნიდერმაიერისა და ჰარნიკის გარეშე

ტურის ბოლო შეხვედრაც ევროპალიგის საგზურისთვის ბრძოლაა: მე-10 ადგილზე მყოფი „ჰანოვერი", რომელსაც საუკეთესო ექვსეულამდე მხოლოდ ორი ქულა აშორებს, მე-13 ადგილზე მყოფ „შტუტგარტს" მასპინძლობს. შვაბები ევროზონისთვის ალბათ ველარ გაიბრძოლებენ, „ჰანოვერი" კი იმედიანადაა და ამ მატჩის მოგებას გეგმავს: „წითლები" საკუთარ მოედანზე ხომ უმეტესად ძალიან კარგად თამაშობენ (8 მოგება, 27 ქულა). სამაგიეროდ, „შტუტგარტი" გასვლით მატჩებში უფრო წარმატებული (6 მოგება, 20 ქულა), მაგრამ **ბრუნო ლაბადიას** დღეს ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები, **ნიდერმაიერი** და **ჰარნიკი** დისკვალიფიცირებული ჰყავს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● იტალია. სერია A. XXXI ტურის წინ

# სასწორზე ჩემპიონთა ლიგის საგზურია

## ორი დიდი დუელის მოლოდინში

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 30 | 21 | 5 | 4 | 59-19 | 68 |
| 2. ნაპოლი | 30 | 17 | 8 | 5 | 55-29 | 59 |
| 3. მილანი | 30 | 17 | 6 | 7 | 52-31 | 57 |
| 4. ფიორენტინა | 30 | 15 | 6 | 9 | 54-37 | 51 |
| 5. ინტერი | 30 | 15 | 5 | 10 | 46-38 | 50 |
| 6. ლაციო | 30 | 15 | 5 | 10 | 38-35 | 50 |
| 7. რომა | 30 | 14 | 5 | 11 | 59-51 | 47 |
| 8. კატანია | 30 | 13 | 6 | 11 | 40-38 | 45 |
| 9. უდინეზე | 30 | 10 | 12 | 8 | 38-38 | 42 |
| 10. პარმა | 30 | 10 | 8 | 12 | 39-39 | 38 |
| 11. კალიარი | 30 | 10 | 8 | 12 | 37-49 | 38 |
| 12. ბოლონია | 30 | 10 | 6 | 14 | 39-38 | 36 |
| 13. სამპდორია | 30 | 10 | 7 | 13 | 35-35 | 36 |
| 14. ტორინო | 30 | 8 | 12 | 10 | 37-41 | 35 |
| 15. კიევო | 30 | 10 | 5 | 15 | 31-45 | 35 |
| 16. ატალანტა | 30 | 10 | 6 | 14 | 30-42 | 34 |
| 17. ჯენოა | 30 | 6 | 9 | 15 | 31-46 | 27 |
| 18. სიენა | 30 | 8 | 8 | 14 | 31-42 | 26 |
| 19. პალერმო | 30 | 4 | 12 | 14 | 25-43 | 24 |
| 20. პესკარა | 30 | 6 | 3 | 21 | 21-61 | 21 |

*შენიშვნა:* სიენა - 6 ქულა, ატალანტა - 2, სამპდორია - 1, ტორინო - 1.

**ბომბარდირები:** 22 - კავანი (ნაპოლი); 16 - ელ შაარავი (მილანი); 15 - დი ნატალე (უდინეზე); 13 - პაცინი (მილანი), ლამელა (რომა); 12 - დენისი (ატალანტა), იოვეტიჩი (ფიორენტინა); 11 - ოსვალდო (რომა), საუ (კალიარი), ჯილარდინო (ბოლონია), ტოტი (რომა).

**XXXI ტურის ცენტრალური მატჩი „სტადიო ოლიმპიკოზე" გაიმართება, სადაც დედაქალაქურ დერბის ვიხილავთ. „რომა" „ლაციოს" წინააღმდეგ ყოველთვის საინტერესოა, განურჩევლად იმისა, რა ვითარებაა სატურნირო ცხრილში. თუმცა, ერთი კია, ეს მატჩი ორშაბათს გაიმართება, იქამდე კი მთელი 9 ჯახია...**

### 6 აპრილი

**იუვენტუსი-პესკარა 20.00**

**დისკვალიფიკაცია:** ბარცალი, კიელინი - სელიკი.

**ტრავმა:** ისლა, კასერესი, ბენდტნერი, პეპე - ბოკეტი, ვივესი, ბალცანო, დაგოსტინო, ვუკუსიჩი, ძაური.

ბოლო 6 მატჩი

+4=1-1 +0=0-6

ურთიერთშეხვედრები

**სულ 3 თამაში: +3=0-0, (9-1)**

**ბოლონია-ტორინო 22.45**

**დისკვალიფიკაცია:** მოტა - როდრიგესი.

**ტრავმა:** პერესი - ბრიგი, ბირსა, ვივესი.

ბოლო 6 მატჩი

+3=1-2 +2=1-3

ურთიერთშეხვედრები

**სულ 11 თამაში: +2=6-3, (13-12)**

### 7 აპრილი

**ფიორენტინა-მილანი 14.30**

**დისკვალიფიკაცია:** გონსალო (ფიორენტინა).

**ტრავმა:** იოვეტიჩი, როსი, კამპორეზე, აგაცი, მატი ფერნანდესი - დე იონგი.

ბოლო 6 მატჩი

+4=0-2 +5=1-0

ურთიერთშეხვედრები

**სულ 34 თამაში: +11=8-15, (41-49)**

**კატანია-კალიარი 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** ბარიენტოსი - კოსუ, მურუ.

**ტრავმა:** აუგუსტინი, კაპუანო, შაკა, ალმირონი (კატანია).

ბოლო 6 მატჩი

+3=0-3 +4=1-1

ურთიერთშეხვედრები

**სულ 17 თამაში: +7=3-7, (17-22)**

**სამპდორია-პალერმო 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** პოლი - მუნიოსი.

**ტრავმა:** ერნანდესი, მანტოვანი, სორენტინო.

ბოლო 6 მატჩი

+2=2-2 +1=3-2

ურთიერთშეხვედრები

**სულ 21 თამაში: +9=5-7, (26-20)**

**სიენა-პარმა 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** ვიტიელო, ფელიპე, დელა როკა (სიენა).

**ტრავმა:** ტერლიცი, მატეუ - მარიგა, კოდა, მესბა, პალადინო, მაჩეაკენი.

ბოლო 6 მატჩი

+2=2-2 +2=0-4

ურთიერთშეხვედრები

**სულ 15 თამაში: +1=8-6, (13-19)**

**უდინეზე-კიევო 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** ანდრეოლი, დაინელი, კოფიე, დრამე (კიევო).

**ტრავმა:** პინცი - სპუროპულოსი.

ბოლო 6 მატჩი

+1=3-2 +2=1-3

ურთიერთშეხვედრები

**სულ 23 თამაში: +8=9-6, (26-24)**

**ინტერი-ატალანტა 22.45**

**დისკვალიფიკაცია:** გარგანო - ლუკინი, კონსილი.

**ტრავმა:** ობი, მუდინგაი, მილიტო, კასტელაცი, კივუ, ნაგატომო, სტანკოვიჩი, პალასიო - ბელინი, ბუდანი, მორალესი, მარილუნგო.

ბოლო 6 მატჩი

+2=1-3 +2=1-3

ურთიერთშეხვედრები

**სულ 29 თამაში: +17=7-5, (51-29)**

**ნაპოლი-ჯენოა 22.45**

**დისკვალიფიკაცია:** მანფრედინი (ჯენოა).

**ტრავმა:** როსი, ბოვო, ფერონეტი (ჯენოა).

ბოლო 6 მატჩი

+2=3-1 +1=2-3

ურთიერთშეხვედრები

**სულ 27 თამაში: +9=10-8, (38-36)**

### 8 აპრილი

**რომა-ლაციო 22.45**

**დისკვალიფიკაცია:** ოსვალდო, პირისი, გუბერტი (რომა).

**ტრავმა:** ლოპესი - კონკო, ფლოკარი, დიასი, სტანკევიჩუსი, ბროკი.

ბოლო 6 მატჩი

+4=1-1 +2=0-4

ურთიერთშეხვედრები

**სულ 40 თამაში: +15=12-13, (58-50)**

### პირველი VS ბოლო

მიუნხენის „ბაიერნთან" დაჩაგრული „იუვენტუსი" „პესკარას" უმასპინძლებს და ბუნებრივია, სამი ქულის მოპოვებას შეეცდება. ერთმანეთის პირისპირ სატურნირო ცხრილში პირველი და ბოლო ადგილზე მყოფი გუნდები წარდგებიან, რაც ყველაფერზე ნათლად მეტყველებს - „ვეკია სენიორა" ფავორიტია და თუ სადმე ლოგიკაა, უნდა მოიგოს კიდეც.

**ანტონიო კონტეს** დაცვის ხაზში აქვს პრობლემები, რადგან **ანდრეა ბარცალი** და **ჯორჯო კიელინი** დისკვალიფიცირებულნი არიან. შესაბამისად, დაცვის ცენტრში **ლეონარდო ბიონუჩისთან** ერთად **ლუკა მარონე** და **ფედერიკო პელუზო** გაირჯებიან. სხვა მხრივ, ტურინელებს ყველაფერი რიგზე აქვთ და მოსაგებადაც ემზადებიან. „ბაიერნთან" მარცხის „პესკარასთან" გამარჯვებით რეაბილიტირება შეუძლებელია, მაგრამ გერმანელებთან განმეორებითი მატჩის წინ ხასიათის გამოკეთება რომ მნიშვნელოვანესია, ესეც ფაქტია.

### თამაში 6 ქულაზე

სატურნირო ცხრილით თუ ვიმსჯელებთ, ტურის ცენტრალური მატჩი ფლორენციაში გაიმართება და არა რომში... „არტემიო ფრანკიზე" ერთმანეთის პირისპირ მესამე და მეოთხე ადგილზე მყოფი გუნდები წარდგებიან. „ფიორენტინას" გამარჯვება ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში ვითარებას გაამწვავებს, მილანელთა წარმატება კი ლიდერთა სამეულს სხვებისგან კიდევ უფრო დააშორებს. მოკლედ, ასეთ დროს ამბობენ, რომ თამაში 6 ქულაზეა...

რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, „მილანს" მხოლოდ ერთი ფეხბურთელი აკლია და ეს ერთი ტრავმირებული **ნაიჯელ დე იონგი** გახლავთ. **მასიმილიანო ალეგრის** გუნდმა გადალახა კატალონიური ფიასკო და ფლორენციაში იმედებით ჩადის. ლომბარდიელები სამი შემტევით ითამაშებენ, მარჯვნიდან **კევინ პრინს ბოატენგი**, მარცხნიდან **სტეფან ელ შაარავი** და ცენტრში **მარიო ბალოტელი**. სავარაუდოდ, თადარიგში იჯდება **ჯამპაოლო პაცინი**, რომელიც მომჯობინდა და შესაძლოა, მეორე ტაიმში გამოჩნდეს მინდორზე.

ფლორენციელებს სერიოზული საკადრო პრობლემები აქვთ და მარტო ის რად ღირს, რომ „მილანის" წინააღმდეგ **სტევან იოვეტიჩი** ვერ ითამაშებს. შესაბამისად, **კუადრადოსთან** და **ადემ ლიაიჩთან** ერთად, „როსონერის" **ლუკა ტონი** შეუტევს. ეს იმ შემთხვევაში თუ **ვინჩენცო მონტელა** 4-3-3 ტაქტიკას აირჩევს და არის მეორე ვარიანტიც, როდესაც „ვიოლა" ძველ, 3-5-2 სქემას დაუბრუნდება და ამ შემთხვევაში, კუადრადო უფრო უკნიდან გაირჯება. მოკლედ, მონტელა არჩევანის წინაშეა და ვნახოთ, რას მოიფიქრებს... ფლორენციაში დიდი ფეხბურთია, დანარჩენი კი მოედანზე გამოჩნდება.

### რომაული დერბი

მიუხედავად იმისა, რომ რომაული დერბი ორშაბათს გაიმართება და იქამდე ტურის მიმოხილვასაც გავეცნობით, ამ მატჩზეც აუცილებლად უნდა ვთქვათ ორიოდე სიტყვა. იტალიელ ჟურნალისტთა მტკიცებით, დამარცხებული გუნდი საბოლოოდ გამოეთიშება ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლას და თავად განსაჯეთ, რამხელა მნიშვნელობა აქვს ისედაც პრინციპულ პაექრობას.

„გაძეტა დელლო სპორტის" ვერსიით, „რომა" მეტად უცნაური შემადგენლობით ითამაშებს - ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდი **ფრანჩესკო ტოტი** იქნება, უკნიდან კი მას **სიმონე პეროტა** და **ალესანდრო ფლორენცი** დაეხმარებიან. მოკლედ, „რომას" ერთადერთი ნომინალური შემტევი ეყოლება, რაც **აურელიო ანდრეაცოლის** სიფრთხილეზე მიუთითებს. თურქეთში შერცხვენილი „ლაციო" 4-4-1-1 სქემით გაირჯება, ერთადერთი და გამოკვეთილი ფორვარდი კი სავარაუდოდ **ლუის საა** იქნება. დიახ, ბოლო პერიოდში **ვლადიმირ პეტკოვიჩი** ფრანგს სულ უფრო ხშირად სწყალობს და ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, დერბიშიც მას დაეყრდნობა. „სტადიო ოლიმპიკოზე" დიდი ამბავი იქნება...

● ამბები

### პალასიოს სეზონი დაასრულა

გაჭირვებულს ქვა ალმართში მიეწიაო, ისეა „ინტერის" საქმე... **ანდრეა სტრამაჩონი** ისედაც ძლივს აკოწიწებდა შემადგენლობას თითოეული თამაშის წინ და აგერ, **როდრიგო პალასიოც** დაუშავდა, თანაც შესანიშნავ ფორმაში მყოფი. 31 წლის არგენტინელი ფორვარდი „სამპდორიასთან" შეხვედრაში დაშავდა და თამაშის დასრულებისთანავე ექიმთა ხელში გადაინაცვლა...

პირველადი დიაგნოზით, ტრავმა დაახლოებით ერთთვიანი უნდა ყოფილიყო, თუმცა შემდეგ, კიდევ უფრო დამძიმდა ვითარება. საბოლოო დიაგნოზი ჯერ კიდევ არ დასმულა, თუმცა გავრცელებული ინფორმაციით, როდრიგო სეზონის ბოლომდე ველარ ითამაშებს. ამრიგად, სტრამაჩონის განკარგულებაში ორი თავდამსხმელი რჩება: **ანტონიო კასანო**, რომელსაც შერყეული ჯანმრთელობის გამო 90 წუთი თამაში უჭირს და 35 წლის **ტომაზო როკი**. დასკვნები თავად გამოიტანეთ...

### ლავეცის იტალია მოენატრა და... მილანი ახსენა

„ნაპოლიდან" პსჟ-ში გადაბარგებულ **ესეკილ ლავეცის** თურმე იტალია ენატრება და ამას „კორიერე დელო სპორტის" ჟურნალისტთან არც მალავს. 27 წლის არგენტინელმა დაუფარავად განაცხადა, რომ აპენინებზე დაბრუნებას ფიქრობს და შესაძლოა ეს იმაზე უფრო ადრე მოხდეს, ვიდრე ეს ბევრს წარმოუდგენია:

*„ძალიან რთულია დაივიწყო ის პერიოდი, რომელიც ნეაპოლში გავატარე. ეს იყო საუკეთესო დრო, რომელიც, გამოვტყდები და, მენატრება. ვფიქრობ თუ არა იტალიაში დაბრუნებაზე? - დიახ, ვფიქრობ და შესაძლოა ეს ახლო მომავალში მოხდეს. რომელ აპენინურ გუნდში ვისურვებდი კარიერის გაგრძელებას? - „ნაპოლის" თუ არ ჩავთვლით, „მილანში", რადგან ამ გუნდს განსაკუთრებული ხიბლი აქვს, ბევრად უფრო მეტი, ვიდრე თუნდაც „ინტერს". ვნახოთ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



ფლორენციაში დიდი ჯახია

წყალბურთი



# ზავი პირველობის პერსპექტივით

**საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში" გუშინ წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მეორე-მესამე ტურის შეხვედრები გაიმართა. ცენტრალური პაექრობა საღამოს ჩატარდა — ერთმანეთს ქართველები და სლოვაკები დაუპირისპირდნენ. სტუმრები ამ დროისთვის ლიდერები იყვნენ, რადგან დილით ჩეხებს სძლიეს და 6 ქულით გათამაშების ცხრილის სათავეში მოექცნენ.**

**საქართველო – სლოვაკეთი 7:7**

3:2, 2:3, 1:2, 1:0

**საქართველო:** ჭუმბურიძე, ქენქაძე, ჩიქვინიძე, რუსიშვილი, ლაითაძე (1), ელეზი (2), ხვედელიანი, ბალათურია (1), რურუა (2), გეგელაშვილი, ყაზახიშვილი, ელაჩა, სრეპულია (1).

მთავარი მწვრთნელი: ისელიძე, მწვრთნელი პოპოვიჩი.

**სლოვაკეთი:** გოგოლა, ფამერა (2), იანიჩეკი (1), ნედბალი, დურიკი, ნაგი, მოლნარი, მრავიკი (2), გრუტკა, პოლოვიჩი, ტკაჩი (2), გიურესი, კოჩნერი.

**მწვრთნელი: სიროტნი.**

ჯერ კიდევ თბილისის ტურნირის დაწყებამდე სპეციალისტები „A" ჯგუფში ფავორიტებად საქართველოს და სლოვაკეთს მიიჩნევდნენ. გუშინდელმა მატჩმა ეს ვარაუდი დაადასტურა. პაექრობა მასპინძლების იერიშებით დაიწყო. მე-2 წუთზე ჩერნოგორიის ჩემპიონმა სრეპულიამ ანგარიში გახსნა, თუმცა სტუმართა მცველმა იანიჩეკმა მალევე წონასწორობა აღადგინა. ერთი წუთის შემდეგ გეგელაშვილთან უხეში თამაშის გამო სლოვაკების კარში პენალტი დაინიშნა, მაგრამ ელაჩას დარტყმამ მიზანს ვერ მიაღწია, სამაგიეროდ, კონტრშეტევისას უმეთვალყურეოდ დარჩენილმა მრავიკმა მე-4 წუთზე თავისიანები დააწინაურა — 2:1. ამის შემდეგ ინიციატივას ისევ ქართველები დაეუფლნენ.



ნაკრების კაპიტანმა რურუამ და ელეზიმ "ჯვაროსნები" ისევ წინ გაიყვანეს. პირველი მეოთხედი ისელიძის შეგირდებმა 3:2 მოიგეს. მეორე რვაწუთიანი მონაკვეთის დასაწყისში ელეზიმ ანგარიშში სხვაობა ორამდე გაზარდა (მესამე პერიოდის დასაწყისში ეს გამოცდილი წყალბურთელი არბიტრებმა უხეში საქციელისთვის შეცვლის უფლებით მატჩის ბოლომდე გააძევეს). თითქოს ინიციატივას მასპინძლები ფლობდნენ, მაგრამ თამაშის სადავეები მალე ხელთ იგდეს სტუმრებმა და შესვენებამდე წონასწორობა აღადგინეს - 5:5.

დარჩენილ ორ პერიოდში თამაშის სცენარი შეიცვალა — სლოვაკების კარნახით მიდიოდა მატჩი, ერთი პერიოდი ისინი ორი ბურთითაც დაწინაურდნენ, მაგრამ ლაითაძემ და რურუამ ანგარიში გაათანაბრეს. საფინალო სასტვენამდე დარჩენილ შვიდ წუთში ორივე გუნდს შეეძლო, წარმატებისთვის მიეღწია, მაგრამ შეტევების ბოლო მომენტში წყალბურთელებს სიზუსტე აკლდათ. ჭუმბურიძემაც რამდენჯერმე იხსნა გოლისაგან საკუთარი კარი. საბოლოოდ პაექრობა ფრედ — 7:7 დამთავრდა, რაც ამ დაძაბული შეხვედრის ლოგიკური დასასრული იყო. აქვე ერთ უსიამოვნო ინციდენტზეც გვინდა გავამახვილოთ ყურადღება: "ოლიმპიკში" მრავლად მოსული გულშემატკივრები სლოვაკი წყალბურთელების გამომწვევმა საქციელმა აღაშფოთა, თუმცა ჩვენი ბიჭების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი პროვოკაციას არ აჰყვნენ. სტუმართა გალიზიანება მატჩის ფრედ დამთავრებამ გამოიწვია. საქმე ის არის, რომ საქართველო და სლოვაკეთი ტურნირს ერთნაირი ქულებით დაასრულებენ, რაც მოსალოდნელია, მაშინ პირველი ადგილის ბედს ბურთების უკეთესი სხვაობა გადაწყვეტს. დარჩენილ ორ ტურში (სლოვაკებს ერთი მატჩი დარჩათ ბრიტანელებთან), ჩვენებს მეტი შანსი აქვთ, უპირატესობას მიაღწიონ.

გუშინ დილით მე-2 ტურის შეხვედრები გაიმართა.

**ჩეხეთი – სლოვაკეთი 3:12**

0:3, 0:3, 1:4, 2:2

**ჩეხეთი:** სრაჯერი, კოპენეცი (2), ი. ვოლაკი, ა. ვოლაკი, ვოლოშჩუკი, ჰოლესი, სნასილი, მრაჟეკი, ნეჟლუბა (1), იანეჩეკი, რეჟეკი, ზიკმუნდი, შუსტრი.
**მწვრთნელი: ფამერა.**

**სლოვაკეთი:** გოგოლა, ფამერა, იანიჩეკი (1), ნედბალი, დურიკი, ნაგი (2), მოლნარი (2), მრავიკი (2), გრუტკა (1), პოლოვიჩი (3), ტკაჩი (1), გიურესი, კოჩნერი.

**მწვრთნელი: სიროტნი.**

წინასწარვე ვიცოდით, რომ უწინდელი ერთი ქვეყნის ამ ორი განაყოფიდან სლოვაკეთის წყალბურთელთა ნაკრები უფრო ძლიერი იყო და ეს გუშინდელმა პაექრობამაც დაადასტურა. მართალია, ანგარიში მხოლოდ მე-3 წუთზე გაიხსნა (გოლი პოლოვიჩმა გაიტანა), მაგრამ პირველი რვაწუთიანი მონაკვეთის დასასრულამდე სლოვაკებმა კიდევ ორი ბურთი (პოლოვიჩი და მოლნარი) გაიტანეს. ჩეხებმა მატჩის მესამე მონაკვეთში შეძლეს გამოფხიზლება (კოპენეცი), როცა პაექრობას 0:8-ს აგებდნენ.

**პოლონეთი – დიდი ბრიტანეთი 3:11**

1:3, 1:3, 0:4, 1:1

**პოლონეთი:** დიაკონოვი, რაძინსკი, ბედნარეკი, კოვალევსკი, პიატეკი, სზუმანსკი, მიჩალსკი, ბარი, ლავნიჩაკი (1), მარცინ ბარი, ლუსჩაკი (2), ლესჩეკი, სზაბლოვსკი.

**მწვრთნელი: ქუჟავა.**

**დიდი ბრიტანეთი:** სკოტი, ჯეიმსი (1), კარვენი (3), კინგი (1), ფიგესი (2), უაელერი (2), არმსტრონგი, ვინსენტი, პარკერი (2), ჩოლეფილდი, რიდერი, ორეგანი, ჰოლანდი.

**მთავარი მწვრთნელი: დანსბი.**

შესარჩევი ეტაპის სტარტზე საქართველოსთან განცდილი მარცხის შემდეგ ბრიტანელები მალევე მოეგნენ გონს და ჯავრი პოლონელებზე იყარეს. მატჩის პირველსავე წუთზე კუნძულელებმა — პარკერმა და კარვენმა ზედიზედ ორი ბურთი მოათავსეს დიაკონოვის კარში. ვერ ვიტყვით, რომ ამ ორმა ელვისებურმა შედეგიანმა შეტევამ სლავები დააბნია ან წელში გატეხა. მთელმა მატჩმა ცხადყო, რომ ბრიტანელი წყალბურთელები პოლონელ კოლეგებზე მთელი თავით მაღლა დგანან. არც არის გასაკვირი — შარშან ლონდონის თამაშებისთვის ინგლისელთა გუნდი გაძლიერდა და ოლიმპიადაზეც მდიდარი გამოცდილება შეიძინა.

გუშინ მესამე ტურის ბოლო ორთაბრძოლა A ჯგუფის აუტსაიდერებს — ჩეხეთსა და პოლონეთს შორის გაიმართა.

**პოლონეთი – ჩეხეთი 8:5**

3:3, 1:0, 2:2, 2:0

**პოლონეთი:** დიაკონოვი, რაძინსკი (1), ბედნარეკი, კოვალევსკი, პიატეკი, სზუმანსკი, მიჩალსკი (2), მიხალ ბარი (3), ლავნიჩაკი (2), მარცინ ბარი, ლუსჩაკი, ლესჩეკი, სზაბლოვსკი.
**მწვრთნელი: ქუჯავა.**

**ჩეხეთი:** სრაჯერი, კოპენეცი (2), ი. ვოლაკი (1), ა. ვოლაკი (1), ვოლოშჩუკი, ჰოლესი, სნასილი, მრაჟეკი, ნეჟლუბა, იანეჩეკი, რეჟეკი (1), ზიკმუნდი, შუსტრი.

**მწვრთნელი: ფამერა.**

ტურნირის აუტსაიდერთა დაპირისპირებას დიდი დაინტერესება არ გამოუწვევია, თუმცა მატჩი ამ დონის გუნდებისთვის შესაფერისი დაძაბულობით წარიმართა. განვლილი ტურებიდან გამომდინარე, ჩეხები უკეთესი გუნდის შტაბეჭდილებას ტოვებდნენ. მატჩიც მათი იერიშებით დაიწყო და ი. ვოლაკმა პირველსავე წუთზე თავისიანები დააწინაურა. ანგარიშის გახსნით გამოწვეული სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან მიჩალსკიმ წონასწორობა აღადგინა. პირველი პერიოდი ფრედ (3:3) დასრულდა. მერე უპირატესობას პოლონელები დაეუფლნენ და გაიმარჯვეს კიდეც - 8:5.

დღეს ერთმანეთს დაუპირისპირდებიან:
**ჩეხეთი-დიდი ბრიტანეთი (17.00),**
**საქართველო-პოლონეთი (18.30).**

**ვაჟა დანელია**

**თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები**

ტყვიის სროლა. მსოფლიოს თასი

# სალუქვაძის მეშვიდე



ნინო სალუქვაძემ მეშვიდე ადგილზე დაასრულა გამოსვლა კორეულ ჩანჯოუში, მსოფლიოს თასის პირველ ეტაპზე სპორტული პისტოლეტიდან სროლაში. ის ტურნირში 4 აპრილს ჩაება და როგორც გუშინ გაცნობეთ, შეჯიბრების პირველი ნახევრის შემდეგ 295 ქულით მეორე იყო. რაკი ფინალში შესარჩევში ნაჩვენები შედეგები უქმდება, მოწინავე ოქტეტში ჩვენებურის გასვლას წინ არაფერი უნდა დადგომოდა და კიდეც გავიდა, მაგრამ გუშინ შედარებით ცუდად ისროლა - 289 ქულა დააგროვა და საკვალიფიკაციო ეტაპი მეხუთე ადგილზე დაასრულა. აქ სერიების მიხედვით 95, 98 და 96 ქულა აჩვენა. სამწუხაროდ, ეს საგრძნობლად ნაკლებია პირველი დღის მონაგარზე, როცა, მაგალითად, მესამე სერიაში მაქსიმუმი - 100 დაიმსახურა.

ფინალი განსხვავებული წესებით ჩატარდა - თავდაპირველი სროლების მერე გაირკვა დაწინაურებული ოთხეული, რომელმაც პლეი ოფის სისტემით გააგრძელა მედლებისთვის ბრძოლა. ვერ გეტყვით, ამის ბრალი იყო თუ რისი, მაგრამ სალუქვაძემ მხოლოდ 9 ქულა დააგროვა, რაც მეშვიდე მაჩვენებელი აღმოჩნდა - მარტოოდენ 7-ქულიან სერბ მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიურ ჩემპიონ **იასნა სეკარიჩს** გაუსწრო და ტურნირსაც გამოეთიშა.

საპლეიოფო რაუნდში ოქროს მედლისთვის ერთმანეთს პირველ-მეორე ადგილზე გასულები შეხვდნენ, მესამე-მეოთხეადგილოსნებმა კი ბრინჯაო გაითამაშეს. აზიელები სხვა კონტინენტებზე პირველობენ, ხოლო სახლიდან რას გამოგატანენ და ჩანჯოუშიც საუკეთესო კვარტეტში მხოლოდ იქაურები შევიდნენ. მოულოდნელი ის გახლდათ, რომ მათ შორის ფავორიტი, ლონდონის ოლიმპიადის კორეელი ჩემპიონი სწორედ სპორტული პისტოლეტიდან სროლაში **იანგმი კიმი** მესამე აღმოჩნდა და ნუგეშად ბრინჯაოსთვის ბრძოლა დარჩა, სადაც მის პირისპირ „სტრატეგიული მეტოქე" - ჩინელი **ჯინჯინ ჟაო** აღიმართა. თუმცა მასპინძლები მთავარი ფინალის გარეშე მაინც არ დარჩნენ - იქ **კიეონგაე კიმი** და ინდოელი **რაჰი სარნობატი** გავიდნენ, მაგრამ მასპინძლები საბოლოოდ მაინც გულდაწყვეტილნი დარჩნენ - ფინალი ინდოელმა 8:6 მოიგო და მთავარი თასი მასპინძლებს ცხვირწინ ააცალა. არადა, იმ ოთხეულში უკეთესი შედეგი კორეელს ჰქონდა. მასპინძლებს გული ისევ ოლიმპიურმა ჩემპიონმა კიმმა მოუოხა, რომელმაც ჩინელს ასევე 8:6 სძლია და ბრინჯაო დაისაკუთრა.

დღეს კორეაში **ლევან ქადაგიძე** ისვრის პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში, სალუქვაძე კი ამავე დისტანციაზე ხვალ იასპარეზებს.

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო. საბერძნეთის ტურნირი

# ძმა ძმის კვალზე



ბექა ლვინიაშვილი (თეთრი)

ამ უქმეებზე სალონიკში ევროპის თასი ტარდება ახალგაზრდა ძიუდოისტთა შორის, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც იასპარეზებს. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა გიორგი გუგავამ საბერძნეთში შემდეგი ფალავნები წაიყვანა: **ლერი ჭელიძე, მინდია ლოლიჯაშვილი, გიორგი საჩალელი, ივანე ჯავახიშვილი** (ოთხივე - 55), **ვაჟა მარგველაშვილი, ბექა შავდათუაშვილი, გიგა ბერიაშვილი** (სამივე - 60), **ტრისტან ფეიქრიშვილი, ანდრო ბერუაშვილი, გიორგი მუზაშვილი, ზურაბ ყორყიკაშვილი, ირაკლი გაბადაძე** (ხუთივე - 66), **ფრიდონ გიგანი, ლევან გუგავა, თომა თავზარაშვილი, თედო ჯიშკარიანი** (ოთხივე - 73), **ბექა დონლვანი, თეიმურაზ ხაჩიძე** (ორივე - 81), **ბექა ლვინიაშვილი, ლაშა ტაველური** (90), **გურამ თუშიშვილი, გიორგი ქავთარაძე, შმაგი ონიანი** (სამივე - 100), **ლევან მატიაშვილი, გიორგი ზაქარიაძე, როსტომ ხახალეიშვილი** (+100).

ამ შემადგენლობიდან ყურადღებას იქცევს თუშიშვილის დაბრუნება - ჭაბუკებში მსოფლიოს ჩემპიონსა და მართლაც ნიჭიერ ფალავანს 100 კილოგრამში არსებული ჩავარდნის დაძლევის იმედი უკავშირდება. ბოლო თვეებში მას ტრავმა აწუხებდა და ბევრი გაუცდა. როგორც ჩანს, ჭაბუკებში ყველაფრის მომგები კიდევ ერთი ტალანტი - ბექა ლვინიაშვილი სეზონის დარჩენილ ნაწილში მთლიანად ახალგაზრდულ გუნდზე იქნება კონცენტრირებული. ის ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა გიორგი გუგავამაც გამოსცადა უფროსებში, მაგრამ დამარცხდა და სწორედ მაშინ გვითხრა გუგავამ, ლვინიაშვილისთვის ეროვნული ნაკრები ჯერ ადრეაო. საბერძნეთში იჭიდავებს ოლიმპიურ ჩემპიონ **ლაშა შავდათუაშვილის** უმცროსი ძმა **ბექა შავდათუაშვილიც** და ვუსურვოთ, ძმის წარმატება გაიმეოროს.

**ირაკლი თავაძე**

ლელოს სტუმარი

# ლერი გოგოლაძე



# შავლაყაძის გაჩემპიონებამ სანაძლეო მომაგებინა

**სპორტს გვიან დაუმეგობრდა — მე-9 კლასში იყო, ცურვაზე რომ დაიწყო სიარული, მაგრამ ჯანმაგარმა ჭაბუკმა წყალბურთში გადანაცვლების შემდეგ მალევე მიაღწია წარმატებებს. 1956 წელს ერთბაშად ორი ჯილდო ერგო — ჯერ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის მოსწავლეთა სპარტაკიადაზე მე-2 ადგილი დაიკავა და სკოლაც ვერცხლის მედალზე დაამთავრა. მერე თბილისის „დინამოს“ ოსტატ წყალბურთელთა გუნდში მიიწვიეს, რომლის ღირსებასაც 1972 წლამდე იცავდა, ხოლო საბჭოთა ნაკრებში 1958-1964 წლებში გამოდიოდა. ამ ხნის განმავლობაში ბევრჯერ ისახელა თავი: რომის ოლიმპიურ თამაშებში (1960 წ.), ევროპის ჩემპიონატსა (1962) და მსოფლიო უნივერსიადაზე (1963) ვერცხლის მედლები დაიმსახურა, საკავშირო ჩემპიონატებსა და საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადებზე რვაჯერ მეორე-მესამე ადგილებზე გავიდა, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულია. მისი ჯილდოების კოლექციას მნიშვნელოვან შეჯიბრებებზე მიღებული საუკეთესო მეკარის პრიზებიც ამშვენებს. 1958-1964 წლებში საბჭოთა კავშირის 21 საუკეთესო წყალბურთელთა შორის ხუთჯერ დაასახელეს. სახელოვანი წყალბურთელი და ცნობილი მათემატიკოსი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლერი გოგოლაძე დღეს „ლელოს“ სტუმარია.**

— 1954 წელს ცურვის მწვრთნელ პეტრე დადიანთან მიმიყვანა მამამ, იქნებ ცოტა მოძლიერდესო, — გაიხსენა ბავშვობის წლები ბატონმა ლერიმ. — ერთ დღეს წყალბურთელებთან ერთად ვივარჯიშე. ორკარას თამაშისას გოლკიპერი დააკლდათ. როსტომ ჩაჩავამ შემომთავაზა, კაცნაკლულ გუნდში მეთამაშა. ჩავდექი კარში და იმ დღიდან 1972 წლამდე სპორტული „პროფილი“ არ შემიცვლია.

**— პირველ წარმატებას როდის მიაღწიეთ?**

— 1956 წელს მოსკოვში საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებმა საკავშირო პირველობაზე მხოლოდ მასპინძლებთან წააგო და მე-2 ადგილი დაიკავა. იმ გუნდს როსტომ ჩაჩავა ხელმძღვანელობდა. ჩემთან ერთად იყვნენ გივი ჩიქვანაია, ზურაბ ჩუბინიძე, გივი ქარცივაძე, რეზო ჯანაშვილი, რამაზ ჩიკვაიძე. სამწუხაროდ, ყველას გვარს ვერ ვიხსენებ. დიდ წყალბურთს მხოლოდ მე და ჩიქვანაია შემოვრჩით.

**— თბილისის „დინამოში“ როგორ მოხვდით?**

— მოსკოვში სპარტაკიადაზე სამი წყალბურთელი გამოგვარჩიეს: საუკეთესო მცველი გახდა ბორის გრიშინი, თავდამსხმელი — სემიონოვი, ხოლო საუკეთესო მეკარის პრიზი მე გადმომცეს. საბჭოეთის დედაქალაქიდან დაბრუნების შემდეგ როსტომ ჩაჩავას ინიციატივით „დინამოს“ მეორე მეკარედ მიმიწვიეს. 1958 წლიდან როგორც ჩვენთან, ისე საკავშირო ნაკრების ძირითადში დავიმკვიდრე ადგილი.

**— ბატონო ლერი, ოლიმპიური თამაშები ყველა სპორტსმენისთვის გამორჩეულია.**

— არც ჩემთვისაა გამონაკლისი. რომში საბჭოთა ნაკრებს ფავორიტად მიიჩნევდნენ. მანამდე ნებისმიერ შეჯიბრებაზე ოთხი ქვეყანა გამოირჩეოდა — უნგრეთი, იტალია, საბჭოთა კავშირი და იუგოსლავია. მარადიულ ქალაქშიც ამ ოთხეულიდან ერთ-ერთი უნდა ასულიყო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. სამწუხაროდ, მეორე ადგილზე გავედით, არადა, საჩემპიონო გუნდი გვყავდა. პირველი შეხვედრა არგენტინელებს მოვუგეთ 7:4. კარებში მე ვიდექი. პირველი სუსტი ბურთი გავუშვი, რაც არა მარტო ჩემთვის, მთლიანად ნაკრებისთვისაც საბედისწერო გამოდგა. მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე შეუძლოდ ვიგრძენი თავი, ამიტომ სამედიცინო პუნქტს მივაშურე. ექიმებმა გამსინჯეს და მითხრეს, ცოტა გადაღლის ბრალია, დაისვენე და ყველაფერი რიგზე იქნებაო. ძირითადი შემადგენლობის დასახელებისას მთავარმა მწვრთნელმა ვიტალი უშაკოვმა ჩემი გვარი ამოიკითხა. მეორე მწვრთნელი ნიკოლაი მალინი აღშფოთდა — რატომ ხმას არ იღებ, დილით ხომ ექიმებთან იყავიო. თავი მოიკლა, კარებში გოიხმანი უნდა ჩადგესო. მატჩის წინ მოთელვისას აუზში არ ჩავსულვარ. სათადარიგოთა სკამიდან ვუყურებდი ბიჭებს. მოულოდნელად უშაკოვმა მიხმო — ჩადი წყალში, კარებში შენ დადგებიო, და გოიხმანი აუზიდან გაიხმო. დავიბენი, მაგრამ უარს ხომ არ ვეტყოდი. ის ბურთიც ამ გაურკვევლობის ბრალი იყო. მერე კი ვიხსენი ჩვენი გუნდი რამდენიმე აშკარა გოლისგან, მაგრამ მალინმა სწორედ ის ეპიზოდი დაიხვია ხელზე მატჩის განხილვისას. ბრაზილიელებთან ორთაბრძოლისას გოიხმანი დააყენეს კარში. მწვრთნელთა მოსაზრებაც ასეთი იყო — მორიგეობით უნდა გვეთამაშა, რადგან მაშინ შეცვლის წესი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ არსებობდა. ნახევარფინალური ჯგუფის სამ მატჩშიც კარის დარაჯობა გოიხმანს ანდეს შეუცვლელად. საბჭოთა ნაკრებმა გერმანიას და რუმინეთს, შესაბამისად, 5:4 და 3:2 მოუგო, იტალიასთან კი 0:2 დამარცხდა. არადა, აპენინელებთან პაექრობის წინ დიდხანს ბჭობდნენ, კარში ვინ ჩამდგარიყო. მალინმა თავისი გაიტანა. მართალია, გოიხმანი შესანიშნავი მეკარე იყო, მაგრამ, ეტყობა, ზედიზედ სამმატჩიან დატვირთვას ვერ გაუძლო. ამიტომაც გაუშვა იტალიელებთან ორი გოლი. ორ ფინალურ მატჩში მე ვიყავი მეკარე: უნგრელებს დავუზავდით — 3:3, ხოლო იუგოსლავიას 4:3 ვძლიეთ. სამი ბურთი გივი ჩიქვანაიამ გაიტანა. იტალიელებმაც ფინალში ერთი მატჩი მოიგეს, ერთიც ფრედ დაამთავრეს და ჩემპიონები გახდნენ. ჩვენი გუნდი, რომლის შემადგენლობაში სამი ქართველი ვთამაშობდით (ლერი გოგოლაძე, გივი ჩიქვანაია, პეტრე მშვენიერაძე), მეორე ადგილზე გავიდა.

**ჩვენი გუნდი, რომლის შემადგენლობაში სამი ქართველი ვთამაშობდით (ლერი გოგოლაძე, გივი ჩიქვანაია, პეტრე მშვენიერაძე), მეორე ადგილზე გავიდა.**

**— გვსმენია, რომ ნაკრების მწვრთნელ მალინს თქვენ ნაძლევი მოუგეთ.**

— დიახ, იყო ასეთი შემთხვევაც: ერთ-ერთ ვარჯიშზე წასვლის წინ ფეხს ვითრევდი, რადგან ტელევიზიით სიმაღლეზე მხტომელთა პაექრობას აჩვენებდნენ. რობერტ შავლაყაძის ჯერი ახლოვდებოდა და მისი ყურება მინდოდა. წამოგეწევით-მეთქი, შევძახე თანაგუნდელებს. მალინმა ჩემი ჩამორჩენის მიზეზი რომ გაიგო, შენც ერთი, ჩემპიონი არ გახდესო, მითხრა ირონიულად. რატომაც არა-მეთქი. ქართველები ტრაბახა ხართო. დამენაძლევა. ვარჯიშიდან რომ დავბრუნდით, სოფელში შევიტყვეთ, რობერტ შავლაყაძე ჩემპიონი გამხდარა. გახარებულმა მაშინვე მალინი მოვძებნე — გამარჯვებას გილოცავთ-მეთქი. დამცინიო, მითხრა გაბრაზებულმა. იმ დღეს სამმაგად ვიყავი ამაყი: ჯერ ერთი, რომ ჩემი თანამემამულე ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, ნაძლევი მოვიგე და რუსებს დავუმტკიცეთ, რომ ქართველები სიტყვის ხალხი ვართ.

**— სხვაც ბევრი იქნებოდა საინტერესო ოლიმპიურ სოფელში.**

— რა თქმა უნდა. მაშინ ხომ რამდენიმე ქართველმა სპორტსმენმა მოიპოვა ოლიმპიური ჯილდო; მათ შორის მელბურნის გმირმა გივი კარტოზიამ, ოღონდ იგი რომში ბრინჯაოს დასჯერდა... ოლიმპიადაზე ბატონმა გივიმ, სხვა მეტოქეთა შორის, უნგრელი პეტერ პიტიც დაამარცხა, ამის შემდგომ გადამწყვეტი შეხვედრა თურქ ტოვფიკ კიშთან ჰქონდა. მეტოქემ თურმე პირველსავე წუთზე ერთი ქულა აუღო და ამის შემდეგ, მთელი შეხვედრის განმავლობაში, აშკარად გაურბოდა, გივიმ მისთვის ხელის მოკიდებაც ვერ შეძლო რიგიანად. მოწინააღმდეგის არასპორტული საქციელისა და მსაჯთა არაობიექტურობის გამო, გივი კარტოზიას, ოლიმპიური ოქროს ნაცვლად, ბრინჯაოს მედალი ერგო. ამან ჩვენი დიდი აღშფოთება გამოიწვია, წარმოდგენილი მქონდა, რას განიცდიდა სახელოვანი ფალავანი. ვესაუბრებოდი და ვღელავდი, ბრაზი მახრჩობდა.

გივიმ ეს შეამჩნია და მითხრა: „იცი, რაზე მწყდება გული?“ მე მეგონა, თურქთან შეხვედრით გამოწვეულ წყენასა და უსამართლობაზე დამიწყებდა ლაპარაკს, მან კი განაგრძო: „ვნანობ, უნგრელი რომ დავამარცხე, ვაჟკაცურად ჭიდაობდა, ჩემპიონობა მას უფრო ეკუთვნოდა“. გაოცებული შევცქეროდი ფალავანთა ფალავანს, ჭეშმარიტ რაინდს და არ ვიცოდი, რა მეთქვა...

**— ბატონო ლერი, კერპი თუ გყავდათ?**

— როცა წყალბურთში პეტრე მშვენიერაძე და ნოდარ გვახარია, მოგვიანებით კი გივი ჩიქვანაია ბრწყინავდნენ, კერპის ძებნა რა საჭირო იყო.

**— ვის წინააღმდეგ გიჭირდათ თამაში?**

— სამი ასეთი მეტოქე მყავდა: მოსკოვის დინამოელი პეტრე მშვენიერაძე, იუგოსლავი მირკო სანდიჩი და იტალიელი ერალდო პიცო.

■ ■ ■

ლერი გოგოლაძე საბჭოთა კავშირის ნაკრებში 1964 წლამდე თამაშობდა და საიმედოდ იცავდა კარს. 1963 წელს საბჭოთა წყალბურთელებმა იუგოსლავიელებს სძლიეს 1:0. ფეხბურთელებმა ასეთივე ანგარიშით ინგლისელებს მოუგეს. „სოვეტსკი სპორტმა“ დაწერა — ჩვენების სახმელეთო და საწყლოსნო საზღვრები კარგად იყოო დაცული — ლევ იაშინი და ლერი გოგოლაძე შეაქო.

დიდ სპორტთან განშორების შემდეგ სახელოვანმა წყალბურთელმა სპეციალობით განაგრძო მუშაობა. 1969 წელს საკანდიდატო, 1985 წელს სადოქტორო დისერტაციები დაიცვა. 1985-1987 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი გახლდათ, 1986 წლიდან კი დედაუნივერსიტეტში 20 წლის განმავლობაში ზოგადი მათემატიკის კათედრას ედგა სათავეში. საგულისხმოა ისიც, რომ ლერი გოგოლაძის ხელმძღვანელობით საქართველოს ნორჩ მათემატიკოსთა ნაკრებმა საერთაშორისო ოლიმპიადებში 11-ჯერ მიიღო მონაწილეობა და ერთი ოქროს, 10 ვერცხლისა და 28 ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. ამაგდარი პიროვნება დღესაც გზას უკვალავს ახალგაზრდებს მეცნიერების მწვერვალებისკენ, თუმცა არც ჭაბუკობის სიყვარულს ივიწყებს.

**განსაკუთრებით ის მსიამოვნებს, რომ პერიფერიებშიც დაიწყეს ამ ულამაზესი სპორტის სახეობის დანერგვა-აღორძინება.**



— წყალბურთელთა კლუბ „ივერიაში“, რომელსაც სახელოვანი სპორტსმენები ნოდარ კურტანიძე და რევაზ ჩომახიძე უდგანან სათავეში, კონსულტანტად მიმიწვიეს, უმთავრესად მეკარეებს ვაძლევ რჩევა-დარიგებებს, — გვითხრა ლერი გოგოლაძემ. — ქართულ წყალბურთს კარგი მომავალი ეზრდება. ჩვენი ფედერაციაც ძალ-ღონეს არ ზოგავს. განსაკუთრებით ის მსიამოვნებს, რომ პერიფერიებშიც დაიწყეს ამ ულამაზესი სპორტის სახეობის დანერგვა-აღორძინება. საჩხერეში ქუთაისელი მწვრთნელები მუშაობენ, კურტანიძე და ჩომახიძე თვეში ორ-სამჯერ ჩადიან იქ კონსულტაციების გასაწევად. სასიამოვნო სიურპრიზია, რომ 2000-2001 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა საქართველოს პირველობაში სწორედ საჩხერელთა გუნდი ლიდერობს.

ქართული წყალბურთის ბოლოდროინდელი წინსვლა ახარებს ბატონ ლერი გოგოლაძეს, რომელსაც რამდენიმე დღის წინათ დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა, თუმცა მხნედ გამოიყურება და კვლავაც ჭაბუკური შემართებითაა.

სახელოვან წყალბურთელსა და ცნობილ მეცნიერს კიდევ ერთხელ ვულოცავთ იუბილეს.

**ვაჟა დანელია**

ძიუდო. აღიარება

# დიდი დაფასება

**საქართველოს** ძიუდოს ფედერაციის აღმასრულებელი მდივანი **ანზორ (ფირუზ) მარტყოფლიშვილი** ერთ-ერთი ის იშვიათი გამონაკლისია, ქართულ სპორტს დღემდე რომ შემორჩა დამოუკიდებელი სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელთა სულ პირველი თაობიდან. მას თამამად შეიძლება ვუწოდოთ ძიუდოში ჭიპმოჭრილი კაცი - 1960 წლიდან მოყოლებული, ამ სამყაროში ტრიალებს სპორტსმენის, მწვრთნელის, მსაჯის თუ ფუნქციონერის ამპლუაში. საბედნიეროდ, დასაკვეხნიც მოეძევება - 1968 წელს გახდა ევროპის ჩემპიონი, 1971 წელს იმავე შეჯიბრებაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და მოიგო თბილისის საერთაშორისო ტურნირი, რომელსაც მაშინ მსოფლიოს არაოფიციალურ პირველობას უწოდებდნენ; არის ყოფილი საბჭოთა კავშირისა თუ საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ძიუდოში, სამბოში. ამასთან, გამოდიოდა სხვა საჭიდაო სახეობებში - ქართულში, თავისუფალსა და ბერძნულ-რომაულში, თანაც - ასევე წარმატებით. სამწვრთნელო ასპარეზზეც ნაყოფიერად მუშაობდა - მის აღზრდილთა შორის ბლომადაა ტიტულოვანი ფალავანი, თვითონ კი იყო საქართველოს ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრებების უფროსი მწვრთნელი, ამავე ასაკის საკავშირო გუნდების მწვრთნელი, შეკრებების უფროსი, ამდენს კი რიგით პიროვნებას არავინ ანდობდა.


ანზორ მარტყოფლიშვილი

ერთი სიტყვით, მარტყოფლიშვილს ქართულ ძიუდოსთან ერთად დალხინებაც ბევრი უნახავს და - გაჭირვებაც. სპორტის რამდენიმე სახეობას ჰყავს კოლორიტული ფიგურები, რომლებიც იქნებ არენის მიღმა იდგნენ, მაგრამ მათი როლი განუზომელი იყო. ძიუდოში ასეთი ფიგურა ბევრი ქარტეხილის მომსწრე მარტყოფლიშვილია. კალათბურთში თუ „დეიდა ლიზა“ ქულებს „იპარავდა“, მარტყოფლიშვილი თურმე როგორც ერთი უცხოელი მწვრთნელი იგონებდა ადრინდელ ამბავს, საერთაშორისო ტურნირზე სასწორს ყოველთვის უტოვებდა ზედმეტ 1-2 კილოგრამს. წონის კლებით ისედაც განამებულ ხალხს საერთოდ ბოლოს გვილებდა ზედმეტი დაკლებით, ფეხზე ველარ ვიდექითო, ხუმრობდა ის კაცი.

მარტყოფლიშვილი 76 წლისაა, მაგრამ კვლავაც ენერგიულად მუშაობს ძიუდოს ფედერაციაში. ამ დღეებში მისი გარჯა საერთაშორისო ფედერაციამაც დააფასა და საპატიო მსაჯის წოდება მიანიჭა. ახლახან სამსუნიდან ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა **დავით ქევხიშვილმა** ჩამოუტანა ამის დამადასტურებელი სამკერდე ნიშანი, წიგნაკი და დიპლომი, რომელსაც ხელს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი **მარიუს ვიზერი** და მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარე **ხუან კარლოს ბარკოსი** აწერენ. ამასთან დაკავშირებით კომენტარი მარტყოფლიშვილს ვთხოვეთ, რომელმაც მიღწევებთან ერთად ქართული ძიუდოს სადღეისო პრობლემაზეც ისაუბრა.

*- ამდენი წელიწადი ვემსახურე ძიუდოს, 37 წლის განმავლობაში მსოფლიოს 40-ზე მეტ ქვეყანაში მიმსაჯია და დამაფასეს. მეშვიდე დანიც უნდა გამოეგზავნათ, მაგრამ იმას სხვა კომისია ანიჭებს და, ეტყობა, დააგვიანდა. საქართველოს ძიუდოს ფედერაციაში ვმუშაობ 1991 წლიდან, დღიდან. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ერთ-ერთი დამაარსებელი ვარ. თავიდან ვიცე-პრეზიდენტად ვმუშაობდი და იმ გაჭირვების წლებში, როცა ფედერაციის პრეზიდენტი დილარ ხაბულიანი პოლიტიკური მიზეზების გამო საქართველოში არ იმყოფებოდა, იმ ყველაზე გაჭირვებულ წლებშიც კი - 1991-94-ში საერთაშორისო ტურნირი არ ჩამიგდია. არც დენი გვქონდა, არც - გაზი, წყალი, მაგრამ მაინც ვმართავდით. მახსოვს, საბეჭდი მანქანაც ვიყიდე და მთელ იმ ოფიციალურ მიმოწერას ვბეჭდავდი. ფაქტობრივად, მარტო ვწვალობდი რამდენიმე წელიწადი, მერე კი გამოსწორდა ვითარება, ახლა რა შედარებაა. მაშინ ნასესხები ფულით ვატარებდით იმ შეჯიბრებას და სამინისტროს წინამორბედს დღემდე არ დაუბრუნებია 9-ათასდოლარიანი ვალი. თავის დროზე შოთა ხაბარელის დაბრუნებაზეც ბევრი წინააღმდეგობა შემხვდა, მაგრამ ვეუბნებოდი, პასუხისმგებელი მე ვარ და იმიტომ მოვიყვანე, რომ შედეგი მინდა-მეთქი. კიდეც მიაღწია წარმატებებს - 5 ჯერ ევროპისა და მსოფლიოს პირველობები მოიგო, ოთხჯერ საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს. საერთოდ, მიხარია, რომ დამიფასდა ის წვალება და დღეს ძიუდო საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სპორტის სახეობაა. ჩემი სამომავლო გეგმები კვლავაც ძიუდოს უკავშირდება, რადგან ვერ ველევი და თან შემიძლია საქმის კეთება. ფიზკულტურის ინსტიტუტიც დავამთავრე, აგრონომიულიც, პოლიციის მაიორიც ვიყავი, მაგრამ არ წავედი პოლიციაში და ძიუდოში დავრჩი. 1968 წელს ევროპის ჩემპიონატი რომ მოვიგე, იქ საკავშირო ნაკრების მწვრთნელის პირად შეგირდს მოვუგე, რის გამოც ამითვალწუნა, არც კი მომილოცა ის წარმატება. იძულებული გავხდი, ჭიდაობისთვის თავი დამენებებინა. მაშინ უკვე ვმუშაობდი მწვრთნელად და ეს საქმე გავაგრძელე, პარალელურად, მსაჯობა დავიწყე. გული მხოლოდ იმაზე მწყდება, რომ ამხელა ტრადიციების მქონე ძიუდოს საქართველოში ერთი დარბაზიც არ აქვს. ვაკეში უმძიმესი წლები გამოვიარეთ და როცა მოვაწყვეთ იქაურობა, აქ გადმოგვიყვანეს იმ პირობით, რომ ეს უკეთესი იყო და თან ფედერაციას გადმოგვეცემოდა. შედეგად, ღია ცის ქვეშ აღმოვჩნდით - აქ ქირას ვიხდით. არადა, ჩვენს ტატამს სხვები იყენებენ - კვირაში რამდენიმე ღონისძიება ტარდება სპორტის სხვადასხვა სახეობაში თუ კულტურის სფეროში, ფულსაც სხვები იღებენ, ჩვენ კი ქირას ვიხდით - წელიწადში 73 500 ლარს, ჩვენივე სპორტსმენები რომ ვავარჯიშოთ.*

**ირაკლი თავაძე**
ავტორის ფოტო

კალათბურთი. საქართველო. U 20. 1/2 ფინალი



# გათანაბრდა

**რუსთავი-ოლიმპი 84:78**

29:16, 18:19, 17:17, 20:26

**რუსთავი:** ლორთქიფანიძე (23ქ), ქიტოშვილი (9ქ, 16პ), ოქროჭელიძე (10ქ, 12მ), დვალი (17ქ), ურიდია (16ქ, 15მ), ნარჩომაშვილი (9ქ, 7მ), ხატიაშვილი.

**ოლიმპი:** ბრაგვაძე (2ქ), იაშვილი (3ქ), გოგოძე (9ქ, 5პ), ესებუა, ცირეკიძე (12ქ, 13მ), ბაქრაძე, ფხაკაძე (4ქ), ბიჭაშვილი (8ქ, 11მ), ლობჟანიძე (27ქ, 7მ), მიქელაძე (13ქ, 7მ, 5პ).

**სერიაში ანგარიშია 1:1**

**შსს აკადემია-სოხუმი 61:54**

12:17, 18:17, 12:14, 19:6

**შსს:** რ. როგავა (28ქ, 6მ, 6პ), გორდულაძე (7ქ), ლოლიშვილი (7ქ, 9მ), მირზიაშვილი, პულუზაშვილი (5ქ, 8მ), დ. როგავა (3ქ), კვანტალიანი (11ქ, 8მ), მაჭავარიანი, მოშიაშვილი.

**სოხუმი:** გაგნიძე (3ქ, 7მ), მეგენეიშვილი (4ქ), გაფრინდაშვილი (4ქ), ჯინჭარაძე (22ქ, 9მ), მუიჟნიექსი (8ქ), ბულიავა (11ქ), არაბული (2ქ, 8მ).

**სერიაში ანგარიშია 1:1**

**საქართველოს** ახალგაზრდულ პირველობაზე ნახევარფინალური სერიის ორი შეხვედრა გაიმართა. რუსთავში ადგილობრივმა გუნდმა „ოლიმპი“ დაამარცხა, ხოლო ვაკეში „შსს აკადემიამ“ „სოხუმს“ სძლია. ორივე სერიაში ანგარიში გათანაბრდა და ამ გუნდების მესამე შეხვედრები დღეს გაიმართება.

ხშირი შემთხვევა როდია, როცა ორივე ნახევარფინალში გამარჯვებულის გამოვლენას გადამწყვეტი მატჩი სჭირდება, მაგრამ 20-წლამდელთა ჩემპიონატში თანაბარი გუნდებია შეკრებილი და სერიაში ანგარიშის გათანაბრებაც ლოგიკურია.

დაველოდოთ გადამწყვეტ მატჩებსა და ფინალისტების ვინაობის გამოვლენას.

**ვაჟა სიმონიშვილი**

კალათბურთი. სუპერლიგა 2012-13. XX ტური

# დასავლური ლოგიკა

**სუპერლიგაში** რეგულარული ეტაპის ბოლოსწინა ტურის შეხვედრები გაიმართა. ერთმანეთს „ბათუმი“ და „არმია“, „ქუთაისი“ და თსუ დაუპირისპირდნენ. რა შედეგებით დასრულდა შეხვედრები, ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ. აქ კი გეტყვით, რომ ბათუმელებს მოქმედ ჩემპიონთან გამარჯვება ჰაერივით სჭირდებოდათ, რათა მეოთხედფინალისთვის ბრძოლაში თსუ-სთვის ღირსეული წინააღმდეგობა გაეწიათ, მაგრამ წინასწარ ცხადი იყო, არმიელები აჭარლებს გამარჯვებას არ დაანებებდნენ.

ასევე ლოგიკური შედეგით დასრულდა „ქუთაისისა“ და თსუ-ს შეხვედრა. სადღეისოდ ქუთათურებს უფრო ძლიერი შემადგენლობა ჰყავთ და მეხუთე ადგილზე მოხვედრისთვის იბრძვიან. ამ გზაზე სტუდენტებთან მოგება წინგადადგმული ნაბიჯი უნდა იყოს. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჯერ გაურკვეველია, რომელი გუნდი გავა მესამე ადგილზე. ამ პოზიციისთვის „არმია“ და „რუსთავი“ იბრძვიან. ასევე გაურკვეველია მეხუთე და მეექვსეადგილოსნების ვინაობა. ამ ადგილებს „დინამო“ და „ქუთაისი“ გაინაწილებენ.

ასე რომ, დაველოდოთ დარჩენილ მატჩებს. ბევრი რამე დღეს, „შსს აკადემია“-“დინამოს“ და ბოლო ტურში „არმია“-“ოლიმპის“ შეხვედრებში გადაწყდება.

არმიელებს ბოლო ტურებში, „რუსთავთან“ და „დინამოსთან“ ფარქვეშ უპირატესობის მოპოვება გაუჭირდათ, გუშინ კი ბათუმში ამ კომპონენტში მეტოქესთან შედარებით დიდი ფორა ჰქონდათ. თავად განსაჯეთ: „არმიამ“ ბურთი 60-ჯერ მოხსნა, ხოლო „ბათუმმა“ - 33-ჯერ. ასეთი სხვაობა ანგარიშშიც უნდა ასახულიყო. ასეც მოხდა, თბილისელებმა სტუმრად 88:61 იმარჯვეს.

გამარჯვებულთაგან ორმაგი დუბლი შეასრულა **ვახტანგ მინაშვილმა** (11 ქულა, 10 მოხსნა), ხოლო **გიორგი შარაბიძემ** 13 მოხსნას 8 ქულა შეუფარდა.

**მიხეილ კობეშავიძე** („ბათუმის“ მწვრთნელი):

- „არმია“ ძლიერი კალათბურთელებით დაკომპლექტებული გუნდია, კლასში სხვაობა ძალიან დიდია და ეს იყო მარცხის ძირითადი მიზეზი. რეგულარული სეზონის ბოლო მატჩი „რუსთავთან“ გველის, სადაც როგორც ყოველთვის, ბოლომდე ვიბრძოლებთ.

**კოტე ტულუში** („არმიას“ მწვრთნელი):

- რეგულარული სეზონი დასასრულს უახლოვდება და ყველა გუნდი ცდილობს დარჩენილი შეხვედრები მაქსიმალურად გამოიყენოს. „ბათუმს“ ახალგაზრდა და პერსპექტიული კალათბურთელები ჰყავს, რომლებმაც დღეს სერიოზული წინააღმდეგობა გაგვიწიეს, თუმცა საბოლოოდ გამარჯვება ჩვენ მოვიპოვეთ. ბოლო ტურში „ოლიმპს“ ვეთამაშებით და ამდენი წაგების შემდეგ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ეს გამარჯვება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მომავალ მატჩს ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან გაირკვევა ჩვენი საბოლოო ადგილი სატურნირო ცხრილში.

რუსთავში თამაში იოლი არ არის. უნდა ვივარაუდოთ, რომ პლეი ოფში ქვემო ქართლში ჩასვლას ბევრი გუნდი მოერიდება. სწორედ ამიტომ „ქუთაისს“ თსუსთან გამარჯვება სჭირდებოდა (თუმცა ისიც საკითხავია, „არმია“-“ოლიმპის“ შეხვედრაში გამარჯვებული ვინ გამოვა).

მოკლედ, ამ ეტაპზე „ქუთაისმა“ გამარჯვებისთვის ძალა არ დაიშურა და შედეგსაც მიაღწია. წარმატებაში ლომის წილი სუპერლიგის ერთ-ერთმა გამორჩეულმა ცენტრმა **რიჩარდ მათიაშვილმა** შეიტანა, რომლის ანგარიშზე 31 ქულა და 16 მოხსნაა.

**დავით უსტიაშვილი** („ქუთაისის“ მწვრთნელი):

- დაძაბული და საინტერესო შეხვედრა გამოვიდა, თსუ-მ კარგი თამაში აჩვენა. მატჩი კარგად დავიწყეთ, თუმცა ცუდად გავაგრძელეთ. კოჭის ტრავმა მიიღო დავით ბარბაქაძემ, რომელიც სავარაუდოდ მომდევნო შეხვედრაში ვერ დაგვეხმარება. რაც შეეხება „სოხუმთან“ მატჩს, ეს ერთ-ერთი მორიგი თამაში იქნება, რომელსაც პლეი ოფისთვის მოსამზადებლად გამოვიყენებთ.

**გიორგი ჩხეიძე** (თსუ-ს მწვრთნელი):

- მიუხედავად მარცხისა, დღევანდელი შეხვედრით კმაყოფილი ვარ. სამი მეოთხედის განმავლობაში მეტოქეს დიდ წინააღმდეგობას ვუწევდით და რამდენჯერმე წინაც გავედით. ეს ზონური დაცვის დამსახურება იყო. ბოლო შეტევებში შესანიშნავად იასპარეზეს რიჩარდ მათიაშვილმა და ზაურ ფაშაევმა. ვფიქრობ, „ქუთაისის“ გამარჯვებაში მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. ჩვენი გუნდიდან სერჟ ასელაინის კარგ თამაშს აღვნიშნავდი. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ბიჭებს, რომლებმაც მაქსიმუმი გააკეთეს და დიდი მონდომებით იასპარეზეს. ვეცდებით, პლეი ოფში მეტოქეს დიდი წინააღმდეგობა გავუწიოთ.

**ბათუმი 61 – არმია 88**

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| ბათუმი-რსუ | 16 | 14 | 14 | 17 |
| არმია | 31 | 19 | 16 | 22 |

| ბათუმი | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ემირიძე | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| მაისურაძე | 27 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 7 |
| რამიშვილი | 35 | 2 | 4 | 5 | 4 | 0 | 11 |
| ნანიტაშვილი | 25 | 1 | 2 | 0 | 0 | 0 | 7 |
| ელიაშვილი | 33 | 7 | 0 | 0 | 1 | 6 | 13 |
| ყველაშვილი | 17 | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 8 |
| კეშელავა | 27 | 9 | 0 | 0 | 2 | 0 | 13 |
| ნინუა | 28 | 1 | 1 | 0 | 2 | 0 | 2 |
| კოკოზინაძე | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |

| არმია | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გამყრელიძე | 19 | 4 | 2 | 3 | 0 | 0 | 13 |
| ბაბიაშვილი | 20 | 3 | 0 | 1 | 1 | 0 | 12 |
| ბოისა | 20 | 8 | 1 | 0 | 0 | 0 | 9 |
| მინაშვილი | 19 | 10 | 1 | 3 | 0 | 0 | 11 |
| წიწვიძე | 20 | 1 | 6 | 1 | 0 | 0 | 6 |
| გ. ლეჟავა | 19 | 5 | 1 | 0 | 1 | 0 | 11 |
| საყვარელიძე | 19 | 2 | 2 | 2 | 0 | 0 | 3 |
| შარაბიძე | 22 | 13 | 2 | 0 | 1 | 2 | 8 |
| ჯგერენაია | 17 | 4 | 0 | 3 | 1 | 2 | 5 |
| ფარღალავა | 20 | 6 | 5 | 2 | 1 | 0 | 10 |

*მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, მალხაზ ანდღულაძე, მიხეილ ვართანოვი*

**ქუთაისი 73 – თსუ 63**

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| ქუთაისი | 20 | 8 | 18 | 27 |
| თსუ | 12 | 19 | 19 | 13 |

| ქუთაისი | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფაშაევი | 34 | 4 | 3 | 2 | 1 | 0 | 14 |
| ბაბუნაშვილი | 18 | 1 | 1 | 2 | 0 | 0 | 3 |
| დიდია | 33 | 8 | 6 | 1 | 0 | 1 | 6 |
| ბრძელიძე | 7 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 |
| კვიმსაძე | 26 | 4 | 5 | 1 | 1 | 0 | 1 |
| ლომინაშვილი | 6 | 2 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 |
| ძ. ბარბაქაძე | 33 | 7 | 4 | 0 | 0 | 0 | 14 |
| კოლუაშვილი | 6 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 2 |
| მათიაშვილი | 33 | 16 | 0 | 4 | 2 | 2 | 31 |

| თსუ | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გ. ბაქრაძე | 30 | 3 | 6 | 3 | 2 | 1 | 4 |
| ასელაინი | 32 | 12 | 1 | 1 | 1 | 0 | 12 |
| თავამაიშვილი | 5 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 4 |
| ხანიაშვილი | 19 | 0 | 2 | 1 | 0 | 0 | 6 |
| კოზიძე | 12 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 |
| ვახანია | 11 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 2 |
| ნ. ბაქრაძე | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ბერუაშვილი | 36 | 11 | 3 | 2 | 1 | 2 | 11 |
| ჩქარეული | 28 | 1 | 3 | 1 | 3 | 0 | 10 |
| ხიზანიშვილი | 20 | 5 | 2 | 0 | 1 | 0 | 9 |

*მსაჯები: მაკა კუპატაძე, ზაზა მაჩალაძე, გურამ მიქელაძე*

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. შსს აკადემია | 18 | 16 | 2 | 1473/1188 | 34 |
| 2. ოლიმპი | 18 | 15 | 3 | 1570/1296 | 33 |
| 3. არმია | 19 | 14 | 5 | 1688/1281 | 33 |
| 4. რუსთავი | 19 | 13 | 6 | 1627/1408 | 32 |
| 5. ქუთაისი | 19 | 11 | 8 | 1506/1375 | 30 |
| 6. დინამო | 17 | 11 | 6 | 1330/1258 | 28 |
| 7. თსუ | 20 | 6 | 14 | 1392/1601 | 26 |
| 8. სოხუმი | 17 | 7 | 10 | 1320/1396 | 24 |
| 9. ბათუმი | 19 | 5 | 14 | 1318/1561 | 24 |
| 10. სამედიცინო | 18 | 2 | 16 | 1170/1630 | 20 |
| 11. სტუ | 18 | 1 | 17 | 1188/1588 | 19 |

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჩოგბურთი

# მეოთხედფინალს ვერ გასცდა

**თბილისელი ოქსანა კალაშნიკოვა**, რომელიც ანთალიის ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) ერთეულთა ბადეში მე-5 ნომრად იყო განთესილი (მანამდე მან ამ ზღვისპირა ქალაქში წყვილთა შორის ზედიზედ ორი ტურნირი მოიგო), მეოთხედფინალს ვერ გასცდა - გუშინ შვეიცარიელ ვიქტორია გოლუბიჩთან 6:7, 2:6 დამარცხდა და შეჯიბრებას გამოეთიშა, რადგან ამჯერად წყვილებში არ თამაშობს. შვეიცარიელი ნახევარფინალში პეტრა კრეიშოვას (ჩეხეთი) დაუპირისპირდება, მეორე ნახევარფინალურ წყვილში კი მელის სეზერი (თურქეთი) და ელენ ალგურინი (შვედეთი) გაარკვევენ ერთმანეთთან ურთიერთობას.

**ვაჟა დანელია**

● ლეგიონერები

# ევროთასებს თერთმეტი ქართველი შეუტევს

**ევროთასების გათამაშებაში ხვალ და ზეგ ბოლო ეტაპის, პლეი ოფის მატჩები გაიმართება. წლეულს ქართველ მორაგბეთა გუნდებმა არნახულად წარმატებით იასპარეზეს და მთავარი ჯილდოების უმთავრესი პრეტენდენტები არიან.**

თავად განსაჯეთ, ყველაზე პრესტიჟულ ჰაინეკენის თასის გათამაშებაში მეოთხედფინალში სამი „ქართული გუნდი" ითამაშებს. ესენია: „კლერმონი", „მონპელიე" და „ტულონი". ამათგან რეალურად ნახევარფინალში გასვლის შანსი ორს აქვს, რადგან **დავით ზირაქაშვილისა და ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონი" შინ ეთამაშება **მამუკა გორგოძის, მიხეილ ნარიაშვილისა და გიორგი ჟღენტის** „მონპელიეს". შეგახსენებთ, რომ პლეი ოფში გუნდები ერთმანეთს თითოჯერ ხვდებიან.

„ვულკანებს" დიდი შანსი აქვთ, საკუთარი მოედნის ფაქტორით ისარგებლონ დანახევარფინალში გაალწიონ. მით უფრო, რომ **ვერნ კოტერის** სამწყსოს შინ ორ წელიწადზე მეტია არ წაუგია. მონპელიელები, რომლებისთვისაც „ჰაინეკენის თასის" გათამაშებაში მეოთხედფინალში გასვლა უკვე მიღწევაა, ცხადია, მაქსიმალურად გაირჯებიან, რათა კიდევ უფრო წინ წავიდნენ.

ზირაქაშვილი და გორგოძე ძირითად შემადგენლობაში არიან, კოლელიშვილი, ჟღენტი და ნარიაშვილი განაცხადში ვერ მოხვდნენ. საგულისხმოა, რომ საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი მამუკა გორგოძე მიმდინარე გათამაშების 15 საუკეთესო მორაგბეთა სიაში მოხვდა, რომელთაგან სეზონის მიწურულს ყველაზე უკეთესს დაასახელებენ. ამდენად, „მონპელიეს" მიერ კლერმონში ნაჩვენებ შედეგზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული, გახდება თუ არა გორგოძე 2013 წლის ევროპის საუკეთესო მორაგბე.

ქართველ მორაგბეთა კიდევ ერთი გუნდი, **დავით ქუბრიაშვილის, ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონი" შინ მიიღებს ინგლისურ „ლესტერ ტაიგერზს". ჩვენებურთა ეს გუნდი საბრძოლო შემადგენლობით დაუხვდება ლესტერელებს და, სავარაუდოდ, ნახევარფინალში გასვლა არ უნდა გაუჭირდეს. „ტულონის" მულტიმილიონერმა პრეზიდენტმა **მურად ბურჯელალმა** ჯერ კიდევ სეზონის დაწყების წინ განაცხადა, რომ საფრანგეთის ჩემპიონობასთან ერთად, „ჰაინეკენის თასსაც" უმიზნებს. ტულონელები „აბეზარი პატრონის" გულისწადილს ნელ-ნელა, მიზანმიმართულად ახორციელებენ.

საინტერესოა, რომ „ტულონისა" და „ლესტერ ტაიგერზის" მატჩში ინგლისელი მგეზავების **ჯონი ვილკინსონისა** და **ტობი ფლუდის** დუელი შედგება. ისინი წლების განმავლობაში ერთად იცავდნენ „პომების" ღირსებას. ტობი მეტწილად „ვილკოს" დუბლიორი იყო.

ქართველი მორაგბეებიდან მატჩში მხოლოდ ჩილაჩავა ითამაშებს, ის სათადარიგოთა შორისაა, მიქაუტაძე და ქუბრიაშვილი განაცხადში არ არიან.

**ჰაინეკენის თასი**

**მეოთხედფინალი**

**კლერმონი-მონპელიე, სარასენზი-ალსტერი, ჰარლიქვინზი-მანსტერი, ტულონი-ლესტერი**

„ემლინ ჩელენჯ კაპის" გათამაშებაში ქართველ მორაგბეთა ორი გუნდი ასპარეზობს და ორივეს თამაში სტუმრად უწევს. საფრანგეთის ჩემპიონმა **ჯაბა ბრეგვაძისა** და **ვასილ კაკოვინის** „ტულუზმა" „ჰაინეკენის თასის" ჯგუფური ეტაპი ვერ დასძლია და „ემლინ ჩელენჯ კაპის" გათამაშებაში გადაერთო. ტულუზელებისთვის წლეულს მთავარი ამოცანა ქვეყნის ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებაა და ამიტომ „პერპინიანთან" საასპარეზოდ გუნდის თავკაცმა **გი ნოვემ** ოდნავ გადახალისებული შემადგენლობა დააყენა. ბრეგვაძე და კაკოვინი ძირითად შემადგენლობაში არიან.

საფრანგეთის ჩემპიონატში პლეი ოფში მოხვედრის შანსი დაკარგა **ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსემ", რომელმაც „ემლინ ჩელენჯ კაპის" ჯგუფური ტურნირი უდანაკარგოდ განვლო და ეცდება, პარიზში ეს თასი მაინც ჩაიტანოს. ჩვენებურის გუნდს მეოთხედფინალში სტუმრად უწევს თამაში ინგლისურ „ბასისთან". ჟვანია სათადარიგოთა შორისაა.

**ემლინ ჩელენჯ კაპი**

**მეოთხედფინალი**

**გლოსტერი-ბიარიცი, ლონდონ ვოსფსი-ლენსტერი, პერპინიანი-ტულუზი, ბასი-სტად ფრანსე**



ბურთით მამუკა გორგოძე

● ზერაგბი

# ბრამბიზი მეფეებს დაუზავდა

**ზე რაგბის გათამაშების მე-8 ტური ავსტრალიის კონფერენციის ლიდერის კანბერას „ბრამბიზის" საშინაო მატჩით გაიხსნა. „გაუხედნავი ცხენები" ტურნირის დებიუტანტს, სამხრეთაფრიკულ „საუთერნ კინგზს" მასპინძლობდნენ და მხოლოდ ფრეს დასჯერდნენ 28:28.**

„სამხრეთელი მეფეებისთვის" ავსტრალიაში მიღწეული ეს შედეგი გმირობის ტოლფასია. კანბერელები წლეულს შესანიშნავად ასპარეზობენ და მათთან თუნდაც ფრედ თამაში ნებისმიერი გუნდისთვის წარმატებად შეიძლება მივიჩნიოთ. სტუმრებმა მასპინძლებს ოთხი ლელო გაუტანეს, აქედან ორი 21 წლის მესამეხაზელის **კორნელ დუ პრის** ანგარიშზეა. საბოლოოდ ფრეს სამხრეთაფრიკელებმა სწორედ მის მიერ მატჩის ბოლო წუთზე გატანილი ლელოს წყალობით მიაღწიეს.

ავსტრალიის კონფერენციაში გასამართ კიდევ ერთ მატჩში ერთმანეთის პირისპირ აუტსაიდერები დადგებიან. პერთის „ფორსი" შინ მიიღებს „მელბურნ რებლზს".

**ავსტრალია**

**ბრამბიზი-საუთერნ კინგზი 28:28, ფორსი-მელბურნ რებლზი**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ბრამბიზი - 29 ქულა, 2. რედსი - 22, 3. ვორათაზი - 17, 4. ფორსი - 10, 5. მელბურნ რებლზი - 9.**

ერთი მატჩი გაიმართა ახალი ზელანდიის კონფერენციაშიც, სადაც პირველობისთვის მებრძოლმა ოქლენდის „ბლუზმა" შინ დაამარცხა აუტსაიდერი დანიდინის „ჰაილენდერზი" - 29:18. მასპინძლების შემადგენლობაში გამორჩეული ცხრა ნომერი **პირი ვიპუ** იყო, რომელმაც მეტოქეს ორი ლელო გაუტანა.

ამავე კონფერენციაში ველინგტონის „ჰარიკეინზის" მეტოქე ავსტრალიის კონფერენციის მესამეადგილოსანი სიდნეის „ვორათაზი" იქნება.

**ახალი ზელანდია**

**ბლუზი-ჰაილენდერზი 29:18, ჰარიკეინზი-ვორათაზი**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ჩიფსი - 25 ქულა, 2. ბლუზი - 22, 3. კრუსეიდერზი - 20, 4. ჰარიკეინზი - 18, 5. ჰაილენდერზი - 6.**

ტურის ცენტრალური მატჩი კი დურბანში გაიმართება, სადაც სამხრეთ აფრიკის კონფერენციის ლიდერი „ნატალ შარქსი" ზე რაგბის ყველაზე ტიტულოვან გუნდს, ახალზელანდიურ ქრაისტჩერჩის „კრუსეიდერზს" უმასპინძლებს.

არანაკლებ საინტერესო იქნება ამავე კონფერენციის მეორე და მესამე ადგილოსნების, ბლუმფონტეინის „ჩიტაზისა" და კეიპთაუნის „სტორმერზის" დაპირისპირება.

**სამხრეთ აფრიკა**

**ნატალ შარქსი-კრუსეიდერზი, ჩიტაზი-სტორმერზი**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ნატალ შარქსი - 21 ქულა, 2. ჩიტაზი - 18, 3. სტორმერზი - 15, 4. ბლუ ბულზი - 15, 5. საუთერნ კინგზი - 8.**

● საქართველოს ჩემპიონატი



ლელო-არმაზი

# ბოლო ტურში ყველაფერი დალაგდება

**დღეს და ხვალ საქართველოს ჩემპიონატის რეგულარული გათამაშების ბოლო ტურის შეხვედრები გაიმართება. მართალია, პლეი ოფში გასული ექვსი გუნდის ვინაობა გარკვეულია, მაგრამ დასადგენია, ისინი როგორ დაწყვილდებიან. ცნობილია ერთი ხელმოცარული გუნდიც, რომელსაც უმაღლეს ლიგაში დასარჩენად გადათამაშებაში მოუწევს ასპარეზობა. ეს თბილისის „ყოჩებია". მეორეს კი ბოლო ტური გამოავლენს.**

რეგულარულ გათამაშებას, სავარაუდოდ, პირველ ადგილზე დაასრულებს საქართველოს ჩემპიონი და თასის მფლობელი „არმია", რომელიც ბოლო ტურში სტუმრად ეთამაშება უმოტივაციოდ დარჩენილ „ბათუმს". არმიელებმა სეზონი სტაბილურად განვლეს. მიუხედავად იმისა, რომ წამყვან მოთამაშეთა უმრავლესობა დაშავებულია, სათადარიგოთა გრძელი სკამი გუნდს საშუალებას აძლევს სათამაშო დონე შეინარჩუნოს.

საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპის დაწყების წინ „არმია" ცხრა ნომერმა **ბიძინა სამხარაძემ** და შერკინების ბურჯმა **გიორგი ხოსიტაშვილმა** დატოვეს. თუმცა გუნდს საკმარისი რესურსი აღმოაჩნდა, რათა ეს დანაკლისი სათანადოდ შეევსო. არმიელებმა დღემდე ორი მატჩი წააგეს და სამართლიანად ითვლებიან ჩემპიონობის უმთავრეს პრეტენდენტებად.

„არმიას" ერთი ქულით ჩამორჩება და მეორე ადგილზეა თბილისის „ლელო", რომელიც ბოლო ტურში სტუმრად ითამაშებს რუსთავის „ხარებთან". ლელოელებისთვის ეს შეხვედრა პლეი ოფის მატჩებისთვის მზადების ეტაპი იქნება. მასპინძლებმა კი, რომლებიც 18 ქულით მე-9 ადგილზე არიან, როგორც მინიმუმ პრემიალური ქულით წაგება უნდა მოახერხონ, რადგან უახლოესი მდევარი, ბოლოსწინა ადგილზე მყოფი თბილისის „აკადემია" მათ ოთხი ქულით ჩამორჩება.

„ლელომ", ისევე როგორც „არმიამ" 17 მატჩში მხოლოდ ორჯერ წააგო, ოღონდ ერთი პრემიალური ქულით ნაკლების აღება მოახერხა. შესარჩევ ფინალში სწორედ ეს ორი გუნდი ითამაშებს და, სავარაუდოდ, მომავალი ჩემპიონის ვინაობაც მათ შორის უნდა ვეძებოთ.

„ხარების" კონკურენტი „აკადემია" ბოლო ტურში ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონ თბილისის „ლოკომოტივს" დაუპირისპირდება. რკინიგზელებს შანსი აქვთ, პრემიალური ქულით გამარჯვების შემთხვევაში შეჯიბრების დებიუტანტს თბილისის „ჯიქებს" გაუსწრონ, რაც საშუალებას მისცემს, ნახევარფინალის შესარჩევ მატჩში მესამეადგილოსან ქუთაისის „აიას" ასცდეს, რომელსაც სტუმრად უნდა დაუპირისპირდეს.

თავის მხრივ, რკინიგზელებთან მატჩში გამარჯვების მოპოვებას ეცდება „აკადემიაც", რომელმაც სეზონის დაწყების წინ მოთამაშეთა დიდი ჯგუფი დაკარგა და საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მარცხის შემთხვევაში აკადემიელები ბოლოსწინა ადგილს დაიკავებენ და უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის პირველი ლიგის მეორე გუნდს დაუპირისპირდებიან.

ცალკე უნდა ვთქვათ „ლოკომოტივზე", რომელიც ასევე რთულ მდგომარეობაში იმყოფება. ცხადია, მას უმაღლესი ლიგიდან გავარდნა არ ემუქრება, მაგრამ რკინიგზელებს მეექვსე ადგილზე გასვლა აქტივში არაფრით ჩაეწერებათ. 17 თამაშიდან შვიდის მოგება, რვის წაგება და ორის ფრედ დასრულება „ლოკომოტივისთვის" შეუფერებელი შედეგია.

რკინიგზელების მეტოქე „აია" იმ შემთხვევაში იქნება, თუ „ჯიქებმა" მეოთხეადგილოსან „არმაზთან" დაპირისპირებაში, რომელიც უმოტივაციოდაა დარჩენილი, ერთი პრემიალური ქულის მოპოვებას მაინც შეძლებს. გათამაშების დებიუტანტი „ჯიქები" მიმდინარე ჩემპიონატის ყველაზე დიდი მოულოდნელობაა. ეს ახალგაზრდული და, როგორც აღმოჩნდა, საკმაოდ ამბიციური გუნდი ბოლომდე თავდადებული ბრძოლით გამოირჩევაა და, რაც მთავარია, სწორი, გამართული რაგბის თამაშს ცდილობს.

„ჯიქებისთვის" პლეი ოფში გასვლა უკვე თამამად შეიძლება წარმატებად ჩაითვალოს, თუმცა მათ მიღწეულზე შეჩერება არ სურთ. ცხადია, დანებებას არც „არმაზი" აპირებს, რომელიც წლეულს თავის ისტორიაში საუკეთესო სეზონს ატარებს. ერთი სიტყვით, ბოლო ტური ყველას დამსახურებულ ადგილს მიუჩენს და მერე, პლეი ოფში მოედანზე გამოჩნდება, ვისი ამბიციები უფრო საფუძვლიანია.

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არმია | 17 | 15 | 0 | 2 | +277 | 70 |
| 2. ლელო | 17 | 15 | 0 | 2 | +221 | 69 |
| 3. აია | 17 | 12 | 2 | 3 | +252 | 59 |
| 4. არმაზი | 17 | 10 | 0 | 7 | +27 | 44 |
| 5. ჯიქები | 17 | 9 | 0 | 8 | +73 | 43 |
| 6. ლოკომოტივი | 17 | 7 | 2 | 8 | +8 | 38 |
| 7. ბათუმი | 17 | 6 | 0 | 11 | -40 | 30 |
| 8. ხარები | 17 | 4 | 0 | 13 | -144 | 22 |
| 9. აკადემია | 17 | 4 | 0 | 13 | -338 | 18 |
| 10. ყოჩები | 17 | 1 | 0 | 16 | -336 | 7 |

**XVIII ტური**

**6 აპრილი**

**ლოკომოტივი-აკადემია, არმაზი-ჯიქები, ხარები-ლელო**

**7 აპრილი**

**ბათუმი-არმია, აია-ყოჩები**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

## კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. XIV ტური

### E ჯგუფი

**ჟალგირისი–ბამბერგი 90:81**

26:25, 24:20, 16:18, 24:18

ჟ: კ. ლავრინოვიჩი (20+8 მოხსნა), კუზმინსკასი (13+9 მოხსნა), პოპოვიჩი (12+6 პასი), კაუკენასი (12).

ბ: ჰაველი (20), ნახბარი (14+5 მოხსნა), ჯეიკობსონი (14), ოგილვი (13+3 დაფარება), ფორდი (10+7 მოხსნა).

**პანათინაიკოსი–ცსკა 63:69**

11:14, 23:19, 16:14, 13:22

პ: ბრამოსი (18+5 მოხსნა), ლასმე (11).

ც: ხრიაპა (13+7 მოხსნა+6 პასი), კაუნი (11+6 მოხსნა).

**რეალი–ეფესი 86:66**

25:14, 22:16, 18:18, 21:18

რ: ლიული (16+6 პასი), ფერნანდესი (15+4 ჩაჭრა), კეროლი (14), მიროტიჩი (11+7 მოხსნა), სლოტერი (10+5 მოხსნა).

ე: ფარმარი (11), ლუკასი (10).

| | მ | წ | სხვ |
|---|---|---|---|
| 1. ცსკა | 11 | 3 | 114 |
| 2. რეალი | 10 | 4 | 64 |
| 3. ეფესი | 9 | 5 | -3 |
| 4. პანათინაიკოსი | 9 | 5 | 33 |
| 5. უნიკახა | 7 | 7 | -27 |
| 6. ჟალგირისი | 6 | 8 | 25 |
| 7. ალბა | 4 | 10 | -77 |
| 8. ბამბერგი | 0 | 14 | -129 |

### F ჯგუფი

**უნიკახა–ალბა 55:68**

13:24, 14:16, 11:12, 17:16

უ: ზორიჩი (12), ურტასუნი (12).

ა: ფოსტერი (13+4 პასი), ბაიარსი (12+5 მოხსნა).

**ოლიმპიაკოსი–ხიმკი 79:70**

22:20, 23:18, 15:19, 19:13

ო: პაპანიკოლაუ (21+12 მოხსნა), სპანულისი (15+5 პასი), ლოუ (10+8 პასი).

ხ: ოგასტინი (19+8 მოხსნა), დევისი (13+6 მოხსნა), პლანინჩიჩი (12+7 მოხსნა+4 პასი).

**კ. ლაბორალი–მონტეპასკი 76:64**

15:11, 24:16, 18:15, 19:22

კ-ლ: ლამპე (27+9 მოხსნა), ნოჩიონი (13+13 მოხსნა), სან ემეტერიო (13+5 პასი).

მ: ბრაუნი (24+6 პასი).

**ბარსელონა–მაკაბი 74:71**

19:19, 17:13, 15:24, 23:15

ბ: აბრინესი (21), ტომიჩი (13+8 მოხსნა), ნავარო (12).

მ: სმიტი (16+7 მოხსნა), ჰიკმენი (16), ლოგანი (11), ჯეიმსი (10+7 მოხსნა).

| | მ | წ | სხვ |
|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 13 | 1 | 165 |
| 2. ოლიმპიაკოსი | 9 | 5 | 35 |
| 3. მაკაბი | 8 | 6 | 93 |
| 4. კახა ლაბორალი | 8 | 6 | 48 |
| 5. ხიმკი | 7 | 7 | 82 |
| 6. მონტეპასკი | 7 | 7 | -21 |
| 7. ფენერბაჰჩე | 2 | 11 | -184 |
| 8. ბეშიქთაში | 1 | 12 | -218 |

### 1/4 ფინალი

ბარსელონა-პანათინაიკოსი
რეალი-მაკაბი
ცსკა-კახა ლაბორალი
ოლიმპიაკოსი-ეფესი

**მეოთხედფინალური ეტაპი 9 აპრილს დაიწყება. ყოველ წყვილში სერია სამ მოგებამდე გაგრძელდება.**

## ველოსპორტი

# წყალში არ ჩაუშვეს

დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია სკანდალურად ცნობილი ამერიკელი ველომრბოლის **ლენს არმსტრონგის** განცხადებამ იმის თაობაზე, რომ დოპინგის მიღებისთვის სამუდამოდ დისკვალიფიცირებული სპორტსმენი ცურვაში აპირებს ძალების მოსინჯვას.

არმსტრონგს განაცხადი ჰქონდა შეტანილი ტურნირზე, რომელიც არაკომერციული ორგანიზაციის U.S. Masters Swimming-ის ეგიდით ტარდება. ეს ორგანიზაცია აშშ-ში 60 ათასამდე მოცურავეს აერთიანებს.

მაგრამ ლენსს აუზში ვერ ვიხილავთ. ის არ დაუშვეს ტურნირზე ცურვის საერთაშორისო ფედერაციის (FINA) მოთხოვნით. FINA-ს წერილში მითითებულია იმის შესახებ, რომ ტურნირ U.S. Masters-ს კურირებს მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტო, ამიტომაც ამ ორგანიზაციის მიერ დისკვალიფიცირებულ არმსტრონგს არ აქვს აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობის უფლება.

ლენსი U.S. Masters-ზე სამ დისტანციაზე აპირებდა გამოსვლას 40-44 წლის ასაკის მოცურავეების კატეგორიაში.

## ჩოგბურთი

# ბრიტანეთმა პირველი ნომერი დაკარგა

სერიოზული პრობლემები შეექმნა ბრიტანეთის ქალთა ჩოგბურთის პირველ ნომერს **ჰიზერ უოტსონს**. მისი სისხლის ანალიზმა მონონუკლეოზის ბოლო სტადია აჩვენა. ჯერჯერობით უცნობია, რა დროს წაილებს გამოჯანმრთელების პროცესი.

*„ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში, ძალიან მიჭირდა ვარჯიში და თამაში, რადგან სრულიად გამოფიტული ვიყავი, - განაცხადა უოტსონმა. - ახლა გასაგები გახდა, რომ გარკვეული ხანი ამ ავადმყოფობით ვთამაშობდი. მოხარული ვარ, რომ ექიმებმა იპოვეს ჩემი მდგომარეობის მიზეზი. დიდ შვებას ვგრძნობ: ახლა ვიცი, რაშიც არის საქმე. ჩემს მდგომარეობაში მკურნალობის მხოლოდ ერთი მეთოდი არსებობს - სრული სიმშვიდე და დასვენება. უფრო მეტს ვიძინებ და იმედია, მალე ჩავდგები მწყობრში. სახლში გატარებული ერთი კვირის შემდეგ, თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობ“.*

*„მთელი გუნდი უსურვებს ჰიზერს სწრაფად გამოჯანმრთელებას, - განაცხადა ბრიტანეთის ჩოგბურთის ასოციაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **ინ ბეიტსმა**. - დარწმუნებული ვარ, ის უფრო ძლიერი დაბრუნდება, ვიდრე ადრე იყო. ახლა მისთვის მთავარია - სრულად აღდგენა, ჩვენ კი მხარს დავუჭერთ და ყველაფერში დავეხმარებით“.*



ჰიზერ უოტსონი

## კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ოკლაჰომა პირველობას უმიზნებს

პლეი ოფის პირველი რაუნდის შესაძლო რეპეტიცია შედგა ბრუკლინში და სტუმრების - ჩიკაგოელი „ხარების“ გამარჯვებით დასრულდა. **ნოას, ჰემილტონის, ბელინელის, გიბსონისა** და **როუზის** გარეშე მოთამაშე „ბულზმა“ მეორე მეოთხედში წარმოქმნილი 16-ქულიანი ჩამორჩენის გაბათილება შეძლო და დაძაბულ მეოთხე მეოთხედში აჯობა „ნეტსს“.

ბოლოსკენ, არც ერთი გუნდის მხრიდან არ დაფიქსირებული 4-ქულიანზე დიდი სხვაობა. **ნეიტ რობინსონმა** და **კარლოს ბუზერმა** ყველაფერი გააკეთეს „ჩიკაგოს“ მოგებისთვის, **ბრუკ ლოპესმა** კი, რომელმაც შესანიშნავად ითამაშა პირველ ტაიმში,ააცილა ორი სროლა, რომელსაც შეიძლება გამარჯვება მოეტანა მასპინძლებისთვის. თუ პირველ სამ მეოთხედში „ბრუკლინმა“ მხოლოდ რვა შეცდომა დაუშვა, ბოლო 12-წუთეულში ამდენჯერვე დაკარგა ბურთი. „ბულზმა“ მეტოქის ეს შეცდომები 10 ქულაში გარდასახა. საერთო ჯამში, სტუმრებმა კარგად დაიჭირეს საკუთარი თამაში და ბოლო მეოთხედში 61-პროცენტიანი სიზუსტით ისროლეს.

■ ■ ■

„დენვერს“ კვლავ წინ მიუძღვის **კორი ბრიუერი**. საშინაო მატჩში „დალასის“ წინააღმდეგ, რომელიც, როგორც ჩანს, საბოლოოდ დემორალიზებულია, „მავერიქსის“ ყოფილმა კალათბურთელმა მაქსიმუმი გააკეთა იმისთვის, რომ „დენვერის“ საშინაო მოგებათა სერია 19 მატჩამდე აეყვანა. „ნაგეტს“ კიდევ ერთი მოგება სჭირდება საკუთარ მოედანზე, რათა 30 წლის წინანდელი საკლუბო რეკორდი გაიმეოროს.

ბოლოსკენ „დენვერს“ მატჩის გადარჩენა მოუწია და ეს ბრიუერის დაცვაში ბრწყინვალე თამაშის წყალობით მოახერხა. მან ჯერ ბურთი მოპარა **დირკ ნოვიცკის**, შემდეგ მეტოქის ფარზე აიღო მოხსნა და აგრეთვე, დააფარა **მოროუს** ტყორცნას, რომელსაც შეიძლებოდაა მატჩი ოვერტაიმში გადაეყვანა. შეტევაში კი იმავე ბრიუერის გარდა, კარგად ითამაშეს **იგუოდალამ** და **მილერმა**. ამ უკანასკნელმა მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა, როცა „დალასი“ სამი ქულით იყო დაწინაურებული, იგუოდალამ კი ურთულესი შესვლის შემდეგ გამარჯვების მომტანი ბურთი ჩააგდო. ახლა, მხოლოდ სასწაული თუ მოხდება და „დალასი“ გავა პლეი ოფში. თუმცა ეს ნაკლებად სავარაუდოა და ბოლო 13 წლის განმავლობაში პირველად, ეს გუნდი რეგულარულის შემდეგ დაასრულებს სეზონს. „დენვერი“ კი, რომელმაც, როგორც ჩანს, დიდი ხნით დაკარგა **გალინარი** (მან მუხლის ტრავმა მიიღო და სავარაუდოდ, ჯვარედინი მყესები აქვს გაწყვეტილი. ასე რომ, ამ სეზონში იტალიელის თამაში გამორიცხულია), ყველაფერს აკეთებს კონფერენციაში მესამე ადგილის დასაკავებლად.

■ ■ ■

„ოკლაჰომას“ ძალიან უნდა დასავლეთში პირველი ადგილის დაკავება. „თანდერმა“ თავის მოედანზე ზედიზედ მეხუთედ დაამარცხა „სან ანტონიო“, თანაც ისე, რომ მინიმუმ 100 ქულას აგროვებდა მატჩში. თავის მხრივ, **გრეგ პოპოვიჩის** გუნდისთვის ეს იყო სეზონის მინურულს ზედიზედ მეოთხე წაგება.

„ოკლაჰომამ“ ტრადიციული შტურმით დაიწყო, მაგრამ შემდეგ მოდუნდა და მეტოქეს დაწევის საშუალება მისცა. მეორე მეოთხედში მასპინძლების უპირატესობამ 20 ქულა შეადგინა, მაგრამ ინტრიგა თითქმის ბოლომდე შენარჩუნდა. მეოთხე მეოთხედში, **დანკანმა** და კომპანიამ სამ ქულამდე შეამცირა სხვაობა და თითქოს მატჩს დაძაბული ფინალი გარანტირებული ჰქონდა, მაგრამ იქვე **დურანტმა** და **უესტბრუკმა** 11:2 გაქცევა მოაწყვეს და ახლა, დასავლეთის ცხრილში ამ გუნდებს შორის სხვაობა მხოლოდ ერთი მოგებაა.

აღვნიშნავთ, რომ „თანდერის“ 20-ქულიანი უპირატესობა არ იქნებოდა, რომ არა „მკვდრეთით აღმდგარი“ **დერეკ ფიშერი**, რომელმაც 14 წუთში 17 ქულა დააგროვა (შვიდიდან ხუთი სამქულიანი გამოიყენა). ისიც არ უნდა გამოგვრჩეს, რომ მატჩის მსვლელობისას პოპოვიჩმა სათადარიგოთა სკამზე დასვა **ტონი პარკერი**, რომელიც შესამჩნევად კოჭლობდა.

**ბრუკლინი–ჩიკაგო 90:92**

26:13, 21:23, 20:29, 23:27

ბ: უილიამსი (30+10 პასი), ლოპესი (28+5 მოხსნა), ჯონსონი (12), რ. ევანსი (0+13 მოხსნა)

ჩ: ბუზერი (29+18 მოხსნა), დენგი (18+7 მოხსნა), ბატლერი (16+10 მოხსნა), რობინსონი (12+5 პასი), ჰაინრიხი (10+6 პასი).

**დენვერი–დალასი 95:94**

19:23, 28:24, 23:30, 25:17

დენ: ბრიუერი (23), მილერი (22+7 პასი), ფარიდი (12+19 მოხსნა+4 დაფარება), იგუოდალა (8+9 მოხსნა+8 პასი).

დალ: რაიტი (16+6 მოხსნა), კამანი (13+9 მოხსნა), ნოვიცკი (13+6 მოხსნა+3 დაფარება), კარტერი (11+6 მოხსნა+6 პასი), კოლისონი (11+5 პასი), მერიონი (10+6 მოხსნა).

**ოკლაჰომა–სან ანტონიო 100:88**

29:18, 23:26, 25:27, 23:17

ო: უესტბრუკი (27+7 მოხსნა+7 პასი+3 ჩაჭრა), დურანტი (25+9 მოხსნა+6 პასი+3 დაფარება), ფიშერი (17), იბაკა (11+11 მოხსნა+3 დაფარება), სეფოლოშა (11+5 მოხსნა).

ს-ა: ლეონარდი (24+14 მოხსნა+6 პასი), დანკანი (24+11 მოხსნა+3 დაფარება), ნილი (14).



ოკლაჰომელები

## ამბები

**კალათბურთი**

### ტიბოდო: კიდევ ოთხი წელი ხარებში

„ჩიკაგო ბულზის“ მთავარმა მწვრთნელმა **ტომ ტიბოდომ** ოფიციალურად გააფორმა გუნდთან ახალი კონტრაქტი, რომლის ვადა ოთხი წელია. მხარეებმა ახალი ხელშეკრულების დეტალები ჯერ კიდევ ზაფხულში შეათანხმეს, მაგრამ გარიგების შესახებ მხოლოდ ახლა გახდა ცნობილი, რისი მიზეზიც ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რამდენიმე წესია.

შეგახსენებთ, რომ ტიბოდომ „ჩიკაგო“ 2010 წელს ჩაიბარა. მანამდე ეს სპეციალისტი 21 წელი მუშაობდა „მინესოტას“, „სან ანტონიოს“, „ფილადელფიას“, „ნიუ იორკის“, „ჰიუსტონისა“ და „ბოსტონის“ სამწვრთნელო შტაბებში. 2011 წელს, ტიბოდომ NBA- ის საუკეთესო მწვრთნელის ჯილდო მოიპოვა.

### პეიტონი დიდების დარბაზში

ლეგენდარულ მცველს **გერი პეიტონს** 2013 წელს, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის დიდების დარბაზში შეიყვანენ, - იტყობინება NBA.com-ის მიმომხილველი **სკოტ ჰოვარდ-კუპერი**. ოფიციალურად ამის შესახებ ორშაბათს გამოაცხადებენ.

გერი პეიტონმა NBA-ში 17 სეზონი ითამაშა „სიეტლის“, „მილუოკის“, „ლეიკერსის“, „ბოსტონისა“ და „მაიამის“ შემადგენლობაში. მან ცხრაჯერ მიიღო მონაწილეობა „ყველა ვარსკვლავის მატჩში“, 2006 წელს კი „მაიამისთან“ ერთად მოიგო NBA-ის ტიტული.

**კრივი**

### ჰეის ჩარი ერგება?

როგორც უკვე ვწერდით, ორ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, 32 წლის ბრიტანელი **დევიდ ჰეი** 29 ივნისს გავა რინგზე. ჯერჯერობით უცნობია ჰეის მეტოქის ვინაობა. სახელდება **კუბრატ პულევის, იოვო პუდარის, რობერტ ჰელენიუსის, ვიაჩესლავ გლაზკოვის, მანუელ ჩარისა** და **დენის ბოიცოვის** კანდიდატურები. ამასთან, ბრიტანულ პრესაში წერენ, რომ მთავარ კანდიდატად მიიჩნევა სირიული წარმოშობის გერმანელი მანუელ ჩარი.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე ჰეიმ განაცხადა, რომ სურს მოიპოვოს აუცილებელი პრეტენდენტის სტატუსი **ვიტალი** ან **ვლადიმერ კლიჩკოსთან** შესახვედრად.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## ფორმულა 1


ბერნი ექლსტოუნი

# ბაჰრეინი აუცილებლად იქნება

ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ ბაჰრეინში გრძელდება საპროტესტო გამოსვლები, მათ შორის, ფორმულა 1-ის ეტაპის გაუქმების მოთხოვნით. გასულ წელს, რბოლის ჩატარების დროს, პოლიციას დიდი ძალებით მოუწია ავტოდრომის დაცვამ, 2011 წელს კი რბოლა საერთოდ გაუქმდა. ბაჰრეინში ამჟამად მიმდინარე მოვლენების კომენტირებისას, **ბერნი ექლსტოუნმა** განაცხადა, რომ ვერ ხედავს მიზეზს, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს გრანპრის ჩატარებას.

*„არანაირი ნეგატიური ინფორმაცია არ მიმიღია. გუშინ ველაპარაკე ადამიანს, რომელიც ბაჰრეინში ცხოვრობს. მან მითხრა, რომ სიტუაცია აბსოლუტურად ნორმალურია. მხარეებმა მოლაპარაკებები დაიწყეს და არ მგონია, რომ საპროტესტო დემონსტრაციები განახლდეს. გასულ წელს, მოლაპარაკებებმა შედეგი ვერ გამოიღო. იმედია, დემონსტრანტები - ჭკვიანი ადამიანები არიან და მოლაპარაკებებს გააგრძელებენ“*, - ამბობს ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერი.

კითხვაზე - არსებობს თუ არა ბაჰრეინის გრანპრის გაუქმების რისკი პროტესტისა და საერთაშორისო ზეწოლის გავლენით - ბერნიმ უპასუხა: *„სრულიადაც არა. ჩვენ არანაირი პრობლემა არ გვაქვს“.*

ბაჰრეინის გრანპრის პერსპექტივებზე საუბრისას, ბერნი ექლსტოუნმა განაცხადა, რომ ამ რბოლას გარანტირებული ადგილი ექნება კალენდარში: *„ამას აბსოლუტურად დაზუსტებით ვამბობ. ბაჰრეინში ყველაფერი უმაღლეს დონეზეა ორგანიზებული. ისინი შესანიშნავად ატარებენ რბოლას, ეტაპს მხარდაჭერა აქვს მთავრობის მხრიდან. ასე რომ, არანაირი პრობლემა არ არსებობს“.*

შეგახსენებთ, რომ წელს, ბაჰრეინის გრანპრი 24 აპრილს გაიმართება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი–ნიუ ჯერსი 1:0**

0:0, 1:0, 0:0

**გოლები:** 1:0 იაგრი-15 (მარჩანდი-16, ხარა-10).

**კაროლინა–ტამპა ბეი 0:5**

0:3, 0:2, 0:0

**გოლები:** 0:1 პურსელი-8 (მ. კარლი-11), 0:2 პიატი-8 (კილორნი-10, ბრიუერი-7), 0:3 ოლი-2 (სტემკოსი-22, სან ლუი-36), 0:4 სან ლუი-9 (პულიო-9, მ. კარლი-12), 0:5 პულიო-7 (სტემკოსი-23, სან ლუი-37).

**ვაშინგტონი–აილენდერსი 2:1 (ბ)**

1:0, 0:0, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 მაიკ გრინი-8 (მ. იოჰანსონი-10, ბექსტრიომი-30), 1:1 ოკსოპო-4 (ნილსენი-18, ბეილი-6).

**ბულიტები გაიტანეს:** ოვეჩკინი (ვაშინგტონი).

**ნეშვილი–კოლამბუსი 1:3**

0:0, 1:1, 0:2

**გოლები:** 0:1 ვიშნიევსკი-4 (დუბინსკი-9, გაბორიკი-11), 1:1 კლაინი-3 (ჰორნკვისტი-9, ლეგუანდი-12), 1:2 გაბორიკი-10 (დუბინსკი-10, კალვერტი-6), 1:3 კალვერტი-7 (ტიუტინი-15).

**ჩიკაგო–სტ. ლუისი 3:4 (ბ)**

0:1, 2:0, 1:2, 0:0

**გოლები:** 0:1 კრაკნელი-1 (პორტერი-2, რივსი-2), 1:1 ტეივზი-18 (სიბრუკი-11, პ. კეინი-25), 2:1 საადი-8 (ტეივზი-20), 2:2 კრაკნელი-2 (პორტერი-3), 2:3 ბეკსი-4 (ბოუმისტერი-10, სტინი-17), 3:3 სტალბერგი-7 (როუსივალი-10, ბიკელი-12).

**ბულიტები გაიტანეს:** ტეივზი (ჩიკაგო), კ. სტიუარტი (სტ. ლუისი), პ. კეინი (ჩიკაგო), ენდი მაკდონალდი (სტ. ლუისი), მარიან ჰოსა (ჩიკაგო), სტინი (სტ. ლუისი), შატენკირკი (სტ. ლუისი).

**ფინიქსი–დეტროიტი 4:2**

0:1, 3:0, 1:1

**გოლები:** 0:1 ფილპულა-7 (ნიკუისტი-3, ბ. სმიტი-5), 1:1 სტოუნი-4 (იენდლი-14, ბოდკერი-16), 2:1 კონერი-1 (ბოდკერი-17, ვერმეტი-8), 3:1 დოუნი-12 (ჰანზალი-8, იენდლი-15), 3:2 ქლირი-9 (ფრანცენი-14, ზეტერბერგი-25), 4:2 ჰანზალი-10 (სტოუნი-2).

**ლოს ანჯელესი–მინესოტა 3:0**

2:0, 1:0, 0:0

**გოლები:** 1:0 ჯასტინ უილიამსი-9, 2:0 ჯ. კარტერი-21 (მ. რიჩარდსი-15, დაუტი-14), 3:0 ჯასტინ უილიამსი-10 (კოპიტარი-23, რეგერი-3).

**ვანკუვერი–ედმონტონი 4:0**

1:0, 1:0, 2:0

**გოლები:** 1:0 ბაეკსა-6 (ჰ. სედინი-23, გარისონი-4), 2:0 ჰ. სედინი-10 (დ. სედინი-20, ჰამჰუისი-15), 3:0 ჰიგინსი-10 (დ. როი-19, ჰანსენი-14), 4:0 კასიანი-6 (ლაპიერი-5, გარისონი-5).

**ტორონტო–ფილადელფია 3:5**

2:2, 0:2, 1:1

**გოლები:** 0:1 საიმონ განიე-4 (გუსტაფსონი-3, ფედოტენკო-9), 1:1 კულემინი-7 (ლუპული-6, ფანოფი-15), 2:1 ლაილსი-2 (გრაბოვსკი-7, მაკლარენი-2), 2:2 ვორაჩეკი-16 (კუტურიე-8, რიდი-10), 2:3 ბ. შენი-7, 2:4 როუზჰილი-1 (კუტურიე-9), 3:4 ვან რიმსდიკი-15 (ფანოფი-16, ფრენსონი-17), 3:5 ლ. შენი-3 (გუსტაფსონი-4, ჟირუ-26).

**მონრეალი–ვინიპეგი 4:1**

1:1, 2:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ბურმისტროვი-4 (კლიტსომი-9, ლედი-19), 1:1 რაიდერი-14 (ბ. ჯონსა-11, ელერი-14), 2:1 რაიდერი-15 (საბენი-19, ბუიონი-8), 3:1 ბ. ჯონსა-11 (ელერი-15, საბენი-20), 4:1 გალჩენიუკი-4 (მოენი-3, რაიდერი-16).


იაგრმა ბოსტონში პირველი გოლი გაიტანა

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **II ლიგა** | |
| პორტ ვეილი-ბარტონი | 7:1 |
| **კონფერენსი** | |
| კემბრიჯი-ნიუპორტი | 0:0 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| რეჯინა-ბარი | 1:0 |
| **სერია C1/B** | |
| გუბიო-აველინო | 2:3 |
| **ესპანეთი** | |
| გრანადა-ბეტისი | 1:5 |
| **გერმანია** | |
| ჰოფენჰაიმი-ფორტუნა | 3:0 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ბოხუმი-აუე | 0:3 |
| კაიზერი-კიოლნი | 3:0 |
| აალენი-ინგოლშტადტი | 2:1 |
| **III ბუნდესლიგა** | |
| დარმშტადტი-ალემანია | 0:0 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| კლოპენბურგი-ჰანოვერი II | 1:1 |
| სტ. პაული II-ობერნოილანდი | 0:0 |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| ფორტუნა II-ობერჰაუზენი | 0:2 |
| **რეგიონალლიგა (ს–დ)** | |
| აინტრახტი II-ვორმატია | 0:1 |
| ტრირი-კასელი | 1:0 |
| ჰომბურგი-ობერშტაინი | 3:0 |
| პფიულენდორფი-კობლენცი | 1:2 |
| ზონენჰოფი-კაიზერი II | 1:1 |
| **რეგიონალლიგა (ბაიერნი)** | |
| ზელიგენპორტ.-ინგოლშტადტი II | 1:2 |
| **საფრანგეთი** | |
| მარსელი-ბორდო | 1:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ანჟერსი-ნანტი | 2:0 |
| არლი-ნიმი | 1:1 |
| დიჟონი-შატორუ | 1:1 |
| გფკო აიაჩო-ოსერი | 0:0 |
| ისტრი-ლავალი | 2:2 |
| ლე მანი-ტური | 1:0 |
| ლანსი-სედანი | 2:2 |
| მონაკო-ნიორი | 1:1 |
| **ნასიონალი** | |
| შერბური-პარიზი | 0:1 |
| კრეტეი-ამიენი | 1:1 |
| ვანი-რედ სტარი | 0:0 |
| მეცი-კოლმარი | 1:1 |

| | |
|---|---|
| **ჰოლანდია** | |
| ფეიენოორდი-ვენლო | 1:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ალმერი-ეინდჰოვენი | 3:2 |
| კამბური-ტოპ ოსი | 4:1 |
| ემენი-ვოლენდამი | 0:2 |
| დორდრეხტი-სპარტა | 1:2 |
| ფორტუნა-გრააფსხაპი | 1:0 |
| იგლზი-მაასტრიხტი | 0:0 |
| ტელსტარი-დენ ბოში | 1:1 |
| **ბელგია** | |
| ლოკერენი-ბრიუგე | 1:4 |
| **II დივიზიონი** | |
| ლომელი-მუსკრონი | 4:1 |
| **პორტუგალია** | |
| მარიტიმუ-ფერეირა | 1:1 |
| **შოტლანდია** | |
| ინვერნესი-სტ. ჯონსტონი | 0:0 |
| **დანია** | |
| აგფ ორჰუსი-ესბერგი | 0:1 |
| **ნორვეგია** | |
| ოდ გრენლანდი-ვოლერენგა | 2:0 |
| **შვედეთი** | |
| ატვიდაბერგი-მალმიო | 1:3 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ალტახი-ჰარტბერგი | 2:0 |
| აუსტრია (ლ)-ლუშტენაუ | 1:0 |
| სტ. პოლტენი-ბრაუ ვაისი | 2:1 |
| ჰორნი-ვენა | 2:3 |
| გრიოდიგი-კაპფენბერგი | 0:1 |
| **თურქეთი** | |
| ანტალია-ქასიმფაშა | 3:2 |
| **ირლანდია** | |
| ბოჰემიანსი-დერი | 0:4 |
| ბრეი-სტ. პატსი | 0:1 |
| კორკი-უნივერსიტი | 2:1 |
| დანდალკი-ლიმერიკი | 2:2 |
| შემროკი-დროგედა | 1:1 |
| **II დივიზიონი** | |
| სოლტჰილი-კობ რამბლერსი | 1:1 |
| უოტერფორდი-ეთლონი | 1:0 |
| ფინ ჰარპსი-უექსფორდი | 0:0 |
| **ჩეხეთი** | |
| ბუდეიოვიცე-პრშიბრამი | 0:1 |
| სლავია-დუკლა | 0:0 |
| **რუსეთი** | |
| ამკარი-დინამო | 1:1 |
| **უკრაინა** | |
| ზორია-ჩერნომორეცი | 1:1 |

| | |
|---|---|
| **პოლონეთი** | |
| რუხი-პოდბესკიცე | 1:3 |
| ლეხი-ლეჩია | 4:2 |
| **ხორვატია** | |
| ზაგრები-დინამო | 0:3 |
| **უნგრეთი** | |
| უიპეშტი-კაპოშვარი | 1:0 |
| პეჩი-დიორი | 0:2 |
| **რუმინეთი** | |
| ასტრა-უნივერსიტატეა | 1:2 |
| ბრაშოვი-ჩახლაული | 1:0 |
| ტურნუ-ვასლუი | 2:0 |
| **ლატვია** | |
| მეტა-სპარტაკსი | 0:1 |
| **ლიტვა** | |
| დაინავა-ჟალგირისი | 0:3 |
| **ავსტრალია** | |
| მელბურნ ვ-პერტი | 1:1 დ.დ. 2:1 |

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| ბეშიქთაში-ფენერბაჰჩე | 80:73 |
| **საფრანგეთი** | |
| პარიზი-ნანსი | 73:79 |

### ჰოკეი

| | |
|---|---|
| **ავსტრია** | |
| კლაგენფიურტი-ვენა | 5:3 |
| **გერმანია** | |
| აისბარენი-კრეფელდი | 5:2 |
| ვოლფსბურგი-კიოლნი | 0:1 |
| **დანია** | |
| ფრედერიკშავნი-სონდერიისკი | 4:3 |
| **ფინეთი** | |
| ტაპარა-ლუკო | 3:0 |
| იუვიასკიულა-ესეტი | 1:4 |
| **შვედეთი** | |
| შელეფტეო-ლინჩოპინგი | 3:1 |

### ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **WTA. ჩარლსტონი** | |
| ლეპჩენკო-ვ. უილიამსი | 2:6, 6:4, 2:6 |
| მატეკი-**კისი** | 6:7, 4:6 |
| კირსტეა-**საფაროვა** | 3:6, 7:5, 1:6 |
| **ს. უილიამსი**-ბურდეტი | 6:4, 6:2 |
| **იანკოვიჩი**-ბუშარი | 6:2, 6:1 |
| **დევისის თასი** | |
| კუკუშკინი-**ჰაიეკი** | 3:6, 2:6, 4:6 |
| გოლუბევი-**როსოლი** | 6:4, 4:6, 2:6, 6:7 |
| ბერლოკი-**ცონგა** | 6:4, 2:6, 3:6, 7:5, 2:6 |
| **მონაკო**-სიმონი | 7:6, 6:2, 6:4 |
| ისნერი-**ჯოკოვიჩი** | 6:7, 2;6, 5:7 |

## TV პროგრამა

### 6 აპრილი. შაბათი

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXVIII ტური. ჰოფენჰაიმი-ფორტუნა.
**12:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. XVII ტურის მიმოხილვა.
**12:30** ინგლისის ჩემპიონატი. XXXII ტურის წინ.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
**15:45** ინგლისის ჩემპიონატი. XXXII ტური. რედინგი-საუთჰემპტონი (LIVE).
**18:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXXII ტური. ვესტ ბრომვიჩი-არსენალი (LIVE).
**20:00** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**20:30** გერმანიის ჩემპიონატი. XXVIII ტური. ჰამბურგი-ფრაიბურგი (LIVE).
**22:45** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXIX ტური. ვილემი-ეინდჰოვენი (LIVE).
**00:45** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. პსჟ-ბარსელონა.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**11:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ინდიანა-ოკლაჰომა.
**14:30** საფეხბურთო პროგრამა - იმედის ფსონი.
**15:30** კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. XIV ტური. ოლიმპიაკოსი-ხიმკი.
**17:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XXVIII ტური. აინტრახტი-ბაიერნი (LIVE).
**19:30** რაგბი. ჰაინეკენის თასი. 1/4 ფინალი. კლერმონი-მონპელიე.
**21:30** რაგბი. ჰაინეკენის თასი. 1/4 ფინალი. სარასენი-ალსტერი (LIVE).
**23:00** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**23:55** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. VIII ტური. რასინგი-რივერ პლეიტი (LIVE).
**01:50** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ინდიანა-ოკლაჰომა.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/4 ფინალი. ამერიკა-სერბეთი.
**15:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბრუკლინი-სან ანტონიო.
**17:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XXVIII ტური. დორტმუნდი-აუგსბურგი (LIVE).
**19:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-ლეიკერსი.
**21:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
**23:40** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

### 7 აპრილი. კვირა

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXXII ტური. ვესტ ბრომვიჩი-არსენალი.
**12:00** არგენტინის ჩემპიონატი. VII ტურის მიმოხილვა.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. XVIII ტური. სანტოსი-სან კაეტანო.
**16:00** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**16:30** ინგლისის ჩემპიონატი. XXXII ტური. ლივერპული-ვესტ ჰემი (LIVE).
**18:30** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXIX ტური. აიაქსი-ჰერაკლესი (LIVE).
**20:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBRAZIL.
**21:15** არგენტინის ჩემპიონატი. რივერ პლეიტი-რასინგი (LIVE).
**23:15** ინგლისის ჩემპიონატი. XXXII ტური. ტოტენჰემი-ევერტონი.
**01:15** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ვილემი-ეინდჰოვენი.
**12:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დენვერი-ჰიუსტონი.
**14:30** პროგრამა - იმედის ფსონი.
**15:30** კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
**16:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**17:05** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. XXXII ტური. ტოტენჰემი-ევერტონი.
**19:00** ყველაზე სწრაფები.
**19:30** რაგბი. ჰაინეკენის თასი. 1/4 ფინალი. ტულონი-ლესტერი (LIVE).
**21:30** რაგბი. ჰაინეკენის თასი. 1/4 ფინალი. ჰარლიქვინსი-მანსტერი.
**23:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. კლიპერსი-ლეიკერსი (LIVE).
**01:45** NBA ACTION.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/4 ფინალი. ამერიკა-სერბეთი.
**13:00** კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. XIV ტური. ოლიმპიაკოსი-ხიმკი.
**15:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
**18:00** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**18:40** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**19:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XXVIII ტური. ჰანოვერი-შტუტგარტი (LIVE).
**21:30** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
**23:00** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. XVIII ტური. პონტე პრეტა-პალმეირასი (LIVE).

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 10 | 23 | (მზე) |
| ქუთაისი | 10 | 26 | (მზე) |
| ბათუმი | 10 | 24 | (მზე) |
| ფოთი | 11 | 24 | (მზე) |
| ზუგდიდი | 8 | 24 | (მზე) |
| გორი | 8 | 22 | (მზე) |
| თელავი | 9 | 25 | (მზე) |
| სიღნაღი | 10 | 23 | (მზე) |
| გუდაური | 3 | 12 | (მზე) |
| ბაკურიანი | 2 | 17 | (მზე) |
| ბორჯომი | 5 | 22 | (მზე) |
| მესტია | 3 | 20 | (მზე) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1339 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6514 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5143 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2225 |

მოტოგრანპრი. 2013 წლის სეზონის პრევიუ

# ჰონდა თუ იამაჰა?



2013 წლის ჩემპიონატის მონაწილეები

ამ უქმეებზე, კატარში ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში ერთვებიან მსოფლიოს საუკეთესო მოტომრბოლები.

საყოველთაო შეფასებით, ახალ სეზონში გამარჯვება ორი საუკეთესო საქარხნო გუნდის რომელიმე წარმომადგენელს შეხვდება, დანარჩენ გუნდებს კი მინიჭებული აქვთ უიმედო მდევრების სტატუსი. გარდა ამისა, წელს პელოტონში ვერ ვიხილავთ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ **კეისი სტოუნერს**, რომელმაც გასულ წელს გამოაცხადა კარიერის დასრულების შესახებ.

## Repsol Honda Team

„ჰონდას" საქარხნო გუნდის ღირსებას დაიცავენ **დანი პედროსა** და **მარკ მარკესი**. როგორც ვხედავთ, ყოველწლიურად იზრდება სანავთობო კომპანია Repsol-ის გავლენა, რომელიც ესპანელ პილოტებს უჭერს მხარს. პედროსაზე რაიმე ახალის თქმა რთულია. 27 წლის მოტომრბოლი პირველად სტარტზე 12 (!) წლის წინ გავიდა. თუმცა, 15 წლის დანი მაშინ 125 კუბურ კლასში გამოდიოდა, მთავარ კატეგორიაში კი დებიუტი 2006 წელს ჰქონდა და მას შემდეგ, მინიმუმ ერთ გამარჯვებას ახერხებდა სეზონში, სულ კი 22 მოგებული ეტაპი დაუგროვდა.

გასულმა სეზონმა აჩვენა, რომ პედროსა უკვე მზად არის ტიტულისთვის საბრძოლველად. ესპანელი, რომელმაც, როგორც იქნა, მოიშორა „სტოუნერის კომპლექსი", შარშან შვიდი ეტაპი მოიგო, რაც მის კარიერაში აქამდე არ მომხდარა. მაგრამ ყველაფერი გენერალურ კლასიფიკაციაში მორიგი მეორე ადგილით დასრულდა.

გუნდის მეორე ნომერი იქნება 20 წლის მარკესი. მაგრამ, დასჯერდება კი ეს ამბიციური ახალგაზრდა მეორე პილოტის როლს?! მას შარშან დაუჯერებელი სეზონი ჰქონდა Moto2-ის კლასში - 17 რბოლიდან ცხრა მოიგო. ეს სტატისტიკა გარკვეულ მოსაზრებებს წარმოშობს. თუმცა ნაკლებად წარმოსადგენია, რომ მარკესი ღიად ჩაერთოს თანაგუნდელთან კონფლიქტში. აი,. თუ პედროსა შეცდომების დაშვებას დაიწყებს, მაშინ... მაგრამ, მარკს ამის ნაკლები იმედი უნდა ჰქონდეს. დებიუტანტის მთავარი ამოცანაა - პედროსასგან სწავლა, გამოცდილების მიღება და „ჰონდასთვის" დახმარება გუნდურ ჩათვლაში გამარჯვების მოსაპოვებლად.

## Yamaha Factory Racing

სულ სხვა სიტუაციაა „იამაჰაში", სადაც, ისევე როგორც 2008 და 2010 წლებში, მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **ხორხე ლორენსო** და ლეგენდარული **ვალენტინო როსი** გამოვლენ. ეს უკანასკნელი დაბრუნდა გუნდში „დუკატიში" დაკარგული ორი სეზონის შემდეგ. ხორხესა და ვალენტინოს შორის არანაირი დაყოფა არ არსებობს. ლორენსომ ბოლო წლებში საბოლოოდ მოიპოვა ყველაზე სტაბილური და განონასწორებული პილოტის რეპუტაცია. აკურატული და თითქმის უშეცდომო პილოტაჟის წყალობით, ის პრაქტიკულად იდეალურ მოტომრბოლად ჩამოყალიბდა. ისეთ ტრასებზეც კი, რომელიც ამა თუ იმ მიზეზით „იამაჰას" არ აწყობს, ესპანელი მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძვის და აღწევს კიდეც მიზანს, ყოველ შემთხვევაში, პოდიუმზე მას აუცილებლად ვხედავთ.

როსის მიღწევებზე დაუსრულებლად შეიძლება ლაპარაკი, თუმცა მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის შესახებ, ისედაც ყველამ ყველაფერი იცის. როსისა და ლორენსოს შორის დაპირისპირებაში მცირე უპირატესობა მაინც იტალიელის მხარესაა. მართალია, მათი ბოლო ერთობლივი სეზონი ხორხეს გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ იმ ჩემპიონატის შუაში ვალენტინომ ტრავმა მიიღო და რამდენიმე რბოლა გამოტოვა.

თუ როსი თავისი გამოცდილების ხარჯზე აპირებს ფონს გასვლას, ლორენსოს მთავარი კოზირი - შედარებით ახალგაზრდა ასაკია. ასე რომ, ამ წყვილში შეუძლებელია პირველი ნომრის გამოყოფა.

## სხვები

პელოტონში არის კიდევ ერთი საქარხნო გუნდი, რომელსაც „დუკატი" ჰქვია. ამ გუნდის ღირსებას დაიცავენ **ანდრეა დოვიციოზო** და **ნიკი ჰეიდენი**. საკმაოდ კარგი პილოტები, რომელთა შორის ერთ-ერთი - ჰაიდენი 2006 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. სამწუხაროდ, „დუკატის" ამჟამინდელი ფორმა პილოტებს არ აძლევს უმაღლესი ჯილდოსთვის ბრძოლის საშუალებას. ამასთან დაკავშირებით, უფრო საინტერესო იქნება თვალი მივადევნოთ Monster Yamaha Tech 3-ს, რომელსაც **კელ კრატჩლოუ** და Moto2-ის ყოფილი პილოტი **ბრედლი სმიტი** წარმოადგენენ. გასულ წელს, ამ კერძო გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა გუნდურ ჩათვლაში და დიდი მანძილით ჩამოიტოვა უკან „დუკატი". თუმცა ამაში დიდი როლი სწორედ დოვიციოზომ ითამაშა, რომელიც Tech 3-ის კონკურენტის რიგებში გადავიდა...

■ ■ ■

წინასასეზონო ტესტებმა გვიყვენეს, რომ მცირე ტექნიკური უპირატესობა „ჰონდას" გააჩნია, რომელიც სტაბილურად უსწრებდა „იამაჰას" (თუმცა ხერესის ბოლო ტესტებზე უკეთ „იამაჰა" გამოიყურებოდა). სწორედ ამიტომაც, პილოტთა შანსების შეფასებისას, ბუკმეიკერებმა აზრი შეიცვალეს და მთავარ ფავორიტად პედროსა დაასახელეს. კოეფიციენტის მიხედვით მეორეზე გავიდა ლორენსო, მესამე ადგილი კი, რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, არა როსიმ, არამედ მარკესმა მიიღო.

### კატარის გრანპრი

**ჩატარების ადგილი:** ლოსეილი (კატარი)
**წრის სიგრძე:** 5380 მ
**წრის რეკორდი:** 1:55,153 (კეისი სტოუნერი, 2008)

### უქმეების განრიგი

**4 აპრილი, 20:55 - I პრაქტიკა**
**5 აპრილი, 19:00 - II პრაქტიკა**
**5 აპრილი, 21:55 - III პრაქტიკა**
**6 აპრილი, 21:35 - კვალიფიკაცია**
**7 აპრილი, 23:00 - რბოლა**

**გია თვალაბეიშვილი**




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

**მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ირაკლი თავაძე**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:20

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608